# არსენალი

„კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. №2 (7). თებერვალი. 2005. ფასი 1,5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1425/2
2005



## რა იარაღს გვჭირდება იუშჩენკოს უკრაინა

## „თბილისი" — ავიამზიდი, რომელსაც მოსკოვმა სახელი დაუწუნა

## ვისი დაზვერვა „ავერბოვკებს" ქართველ სტუდენტებს

## "მირაჟის" ვირაჟი საქართველოს თავზე

## სანადირო ფრინველები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესროლე კედლის კუთხიდან...

16



„სტეჩკინი" — ვისთვის „სამარიაჟო", ვისთვის საბრძოლო...

54



პარკეტზე დავაქკაცებული ყველგანმავალი BMW X5

50

ავიამზიდი „თბილისი", რომელსაც მოსკოვმა სახელი დაუწუნა

18





ცეცხლის დანთება ექსტრემალურ სიტუაციაში

16



სენბერნარი — მაშველი წმინდა ბერნარის თავშესაფრიდან

34

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

სიახლე
4 სტრუქტურული ცვლილებების კასკადი ძალოვან სამინისტროებში
ახალი ამბები
6 მოკლე ინფორმაციები
პერსპექტივა
8 რა სარგებლობას მოუტანს ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობა საქართველო-უკრაინის სამხედრო თანამშრომლობას?
საგამოფენო დარბაზი
10 შპიონაჟის უდიდესი მუზეუმი (ნაწილი II)
სპეცსამსახურები
13 უმაღლესი განათლების სისტემა „კლონდაიკი" სპეცსამსახურებისათვის
სპეციარაღი
16 ყველაფერი მოლუნულლულიანების შესახებ
ისტორიული ექსკურსი
18 ავიამზიდი „თბილისი", რომელსაც მოსკოვმა სახელი დაუწუნა
ნადირობის მოყვარულთათვის
20 რატომ უყვართ ტყუილი მონადირეებსა და მეთევზეებს
22 მთიელის გმირული გული
24 საქართველოში გავრცელებული სანადირო ფრინველები
იარაღი
26 „მირაჟი" ვირაჟიდან გამოდის
ცხოვრების წესი
30 სპეციალური დანიშნულების რაზმი იორდანულად
კონსულტაცია
33 კვალიფიციური რჩევები
33 სამხედრო ლექსიკონი
კომპანიონი
34 სენბერნარი – მაშველი წმინდა ბერნარის თავშესაფრიდან
36 რისთვის დაუდგეს სენბერნარს ძეგლი
37 ტორტის მოყვარული შერი
კატასტროფა
38 „კურსკი" ამერიკელებს „შემოაფეთქდათ"?!
საქართველოს ისტორია
40 ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან
თავგადასავლების მაძიებლები
43 პირამიდების ამოუცნობი საიდუმლო
კროსვორდი
47 არსენალკვორდი
გადარჩენის სკოლა
48 ელიტური მებრძოლი
საწყისი ვარჯიშები
49 ცეცხლის დანთება ექსტრემალურ სიტუაციაში
სროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან
სუპერმობილი
50 პარკეტზე დავაჟკაცებული ყველგანმავალი
„არსენალის" იარაღის მაღაზია
54 ავტომატური „სტეჩკინი" – ვისთვის „სამარიაჟო", ვისთვის საბრძოლო

## რედაქტორის სვეტი

წლევანდელი წელი საქართველოს სამხედრო წრეებში კარდინალური ცვლილებებით, სკანდალებითა და დაპირისპირებებით დაიწყო. ვერ ვიტყვით, რომ ყველა პრობლემა თითიდან გამოწოვილი და ხელოვნურად გაბუქებულია, მაგრამ მათი უმრავლესობა ჩვეულებრივ, რიგით ხასიათს ატარებს და მათი საქვეყნოდ გამომზეურება არა მარტო ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მთლიანად ქართულ ჯარს ვნებს. ამიტომ ვფიქრობთ, მასმედიამ იაფფასიანი „სენსაციებით" არ უნდა გამოვუჭედოთ მოსახლეობას ყურები. მათ კი ვინც ქართულ ჯარს ხელმძღვანელობს, მოვუწოდებთ, ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისგან თავი შეიკავონ და ქართული არმიის საკეთილდღეოდ დინჯად „იჩქარონ", ვინაიდან ცუდად გაკეთებული საქმე გაუკეთებელზე უარესია.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

**ყურადღება!**
სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება
რედაქციის მისამართია:
თბილისი, აკურის ქუჩა №8.
(სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46
ფაქსი: 98-74-44
**email:**
**arsenali@kvirispalitra.com**
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

# სტრუქტურული ცვლილებების კასკადი ძალოვან სამინისტროებში



*ახალი 2005 წლის პირველი დღეებიდანვე დაიწყო სერიოზული სტრუქტურული ცვლილებები, როგორც თავდაცვის, ისე გაერთიანებულ პოლიციასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროში.*

ცვლილებების დაწყება გასაგებია, რადგან ორივე სამინისტრო ახალ წელს ახალი მინისტრებით – ირაკლი ოქრუაშვილითა და ვანო მერაბიშვილით შეხვდა.

ახალი წლის დასაწყისისთვის ახალი თავდაცვის მინისტრი არ მოერიდა, გაეკრიტიკებინა თავისი წინამორბედისა და მისი თანაგუნდელების ნახევარწლიანი მოღვაწეობა ქვეყნის მთავარ უწყებაში. ამას გია ბარამიძის კონტრკრიტიკა მოჰყვა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ქვეყანის უმაღლესმა მთავარსარდალმა ორივე მინისტრი მსუბუქად „დატუქსა". ეს საზოგადოების თვალისთვის, თორემ თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი, ეტყობა, აგრძელებს ახალი, ამჯერად უფრო დასაბუთებული კომპრომატების ძებნას წინამორბედის გუნდის საქმიანობაზე.

ზემოხსენებულ სკანდალს ორ კვირაში ახალი მოჰყვა, როდესაც კადეტთა კორპუსის 300-მდე კურსანტმა და მათმა მშობლებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ კადეტთა კორპუსის ლიკვიდაციისთვის ახალი თავდაცვის მინისტრს გასული წლის დეკემბრის ბოლოსთვის მოუწერია ხელი.

ერთი მხრივ, შეიძლება გასაგები იყოს თავდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის სურვილი, რომ ამ უწყებაში მაქსიმალურად შეამციროს იმ კადრების რიცხვი, რომლებიც არ არიან ჩართულნი უშუალოდ საბრძოლო მზადებაში და ამით ქვეყანას დაუზოგონ გაუმართლებელი დამატებითი ხარჯები. მაგრამ კადეტთა კორპუსის მომავალი ბედი მარტო თავდაცვის მინისტრის გადასაწყვეტი არ გახლდათ, რადგან აქ სწავლობს ის 300-ზე მეტი პირტიტველა ბიჭი, რომელთა უდიდესი ნაწილი მომავალი ოფიცრები უნდა გახდნენ და ოფიცრის ღირსების ინსტიტუტი უნდა ჩამოაყალიბონ მომავალი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. მათი ასე უცერემონიოდ გაყრა იმას მოასწავებს, რომ დღევანდელი კადეტების ნაწილი ქუჩაში შეიძლება აღმოჩნდეს და ჩვენი ქვეყნის დამნაშავეთა არმიას უფრო გააძლიერებს, ვიდრე საქართველოს დამცველ ოფიცერთა რიგებს.

ასევე ცოტა გაუგებრად მოჩანს სარიტუალო სამხედრო ნაწილში კონტრაქტის მომსახურეებისთვის ხელფასის მნიშვნელოვნად შემცირება. როგორც ამ ნაწილის წარმომადგენლებმა ჟურნალ „არსენალს" განუცხადეს, მათი პირვანდელი ხელფასი 440 ლარიდან თითქმის 100 ლარამდე შემცირდა, რის გამოც მათი უმრავლესობა ნაწილის დატოვებას ან სხვა ადგილზე გადასვლას აპირებს.

თავდაცვის სამინისტროს ეს გადაწყვეტილება – რიტუალებში მონაწილე წარმოსადეგი გარეგნობის სამხედრო მოსამსახურეებისთვის ხელფასის მნიშვნელოვანი შემცირება – არ ჯდება იმ ჩარჩოში, რასაც პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მთელი განვლილი წლის გან-



**26 მაისის აღლუმის მონაწილე კადეტებიდან ვერავინ იფიქრებდა, რომ კადეტთა კორპუსი რამდენიმე თვის შემდეგ შეწყვეტდა არსებობას**

**სარიტუალო ნაწილის ჯარისკაცები გმირთა მოედან-ზე, საქართველოს ერთიანობი-სათვის დაღუპულთა მემორიალთან**



მავლობაში ქართული არმიისთვის წარმატებული პიარის პროცესი ჰქვია. საქართველოს პრეზიდენტის პირადი ინიციატივით თბილისში გმირთა მოედანზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალთან საპატიო ყარაულის გაწევა სწორედ ამ რიტუალების პოლკის სამხედრო-მოსამსახურეებმა დაიწყეს, ისინივე უწყობდნენ აეროპორტში საზეიმო დახვედრას უცხო ქვეყნების პირველ პირებს, რაც საქართველოს ოფიციალურ სახეს ქმნიდა. თუ მათ მართლაც შეუმცირეს ხელფასი, რის გამოც ბევრი მათგანი ალბათ დატოვებს სამსახურს, გამოუყენებელი რჩება ის 78 სააღლუმო სამხედრო ფორმა, რომლებიც რიტუალებში მონაწილე სამხედროებს სპეციალურად მათ ტანზე შეუკერეს.

რთული სიტუაციაა იმ ოფიცრების შემდგომ დასაქმებასთან დაკავშირებითაც, რომლებიც შინაგანი ჯარების შეიარაღებულ ძალებთან შერწყმის შემდეგ შეიძლება უფუნქციოდ დარჩნენ. ყოფილი შინაგანი ჯარების მცირე ნაწილი პოლიციასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროში განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოდ ჩამოყალიბდა. ხოლო დანარჩენი გადავიდა თავდაცვის სამინისტროში და მის ბაზაზე იქმნება მეოთხე მოტომსროლელი ბრიგადა. რამდენიმე ასეული ოფიცერი და ზემდეგი ჰაერში გამოკიდებული რჩება, რადგან მათი ადგილი არც ერთ სამინისტროში არ მოიძებნა. ბევრ მათგანს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთის ბრძოლების გამოცდილება აქვთ და ისინი უკვე აღარც მალავენ თავიანთ უკმაყოფილებას და უიმედობას.

ასევე ცოტა უცნაურად მოჩანს ის გაურკვეველი სიტუაცია, რაც სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბთან დაკავშირებით ბოლო თვეებში შეიქმნა.

ეს შტაბი წლების განმავლობაში ქ. ფოთში, სამხედრო კატარღების პირსთან ახლოს ფუნქციონირებდა. ბარამიძის მინისტრობისას გადაწყდა სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის და იქ მომუშავე რამდენიმე ათეული ოფიცრისა და ზემდეგის თბილისში გადმოყვანა. მაშინ ეს გადაწყვეტილება იმით აიხსნა, რომ სამხედრო მეზღვაურების სარდლობის შტაბს უჭირდა ფოთიდან ყოველდღიური მჭიდრო ურთიერთობა თბილისში დისლოცირებულ შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბთან. წინა ხელმძღვანელობის მოსაზრებით, თუ სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბიც თბილისში, თავდაცვის სამინისტროს შენობაში გადმოვიდოდა, საკმაო თანხები დაიზოგებოდა, განსაკუთრებით საწვავთან დაკავშირებით. ასეც მოხდა და გასული წლის 20 სექტემბერს მეზღვაურების თეთრფორმიანი ოფიცრები თბილისში მომრავლდნენ.

ახლა კი ირკვევა, რომ ახალი თავდაცვის მინისტრი აუქმებს თავისი წინამორბედის გადაწყვეტილებას და სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბს კვლავ ფოთში აბრუნებს იმ მოტივით, რომ მეზღვაურების შტაბი მათსავე საზღვაო დივიზიონებთან ახლოს უნდა იყოსო. ამ პრობლემის ორივე მხრიდან ხედვას აქვს თავისი პლუსები და მინუსები, მაგრამ აქ მიუღებელი ის არის, რომ ასე არ შეიძლება ოფიცრებსა და ზემდეგების გაადსროლა ერთი ქალაქიდან მეორეში თუნდაც იმიტომ, რომ მათ უკან ოჯახები დგას, რომლებსაც სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნა სჭირდებათ.

ჩვენთვის გასაგებია, რომ ასეთი ძირეული გარდაქმნების პერიოდში მართლაც ძნელია ყველა პროცესის უმტკივნეულოდ ჩატარება. თუმცა დაფიქრებაც აუცილებელია, თუ თავდაცვის სამინისტროს მაღალ ეშელონებში ასე ერთპიროვნულად და ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, ჩნდება ეჭვი, რომ ასეთი ცვლილებებით უკეთესობისკენ კი არა, შეიძლება უარესობისკენ მიგვყავს ქართული არმია. ■

**მეზღვაურთა შტაბი ჯერ ფოთიდან თბილისში გადმოიტანეს, ახლა კი თბილისიდან ფოთში აბრუნებენ...**



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „მოსადი“ ირანს უთვალთვალებს

იანვრის უკანასკნელ დღეებში ისრაელის დაზვერვის „მოსადის“ დირექტორმა მერი დაგანმა ქვეყნის კნესეტის დეპუტატებს მოახსენა, რომ მისი მონაცემებით, ისლამური რესპუბლიკა ირანი უკვე 3 წელიწადში შეძლებს საკუთარი ატომური ბომბი შექმნას.

შეგახსენებთ, რომ ურანის გამდიდრებაზე მუშაობა ირანელებმა 2004 წლის სექტემბერში დაიწყეს, ხოლო ნოემბერში აშშ-ისა და ევროკავშირის ზეწოლის შედეგად პროცესი დაკონსერვდა.

„მოსადის“ ხელმძღვანელის თქმით, თუ ირანმა წელს გააგრძელა ცდები გამდიდრებული ურანის მისაღებად და წარმატებასაც მიაღწია, მაშინ ირანის ბირთვული პროგრამა მიაღწევს იმ წერტილს, რომლიდანაც უკან დაბრუნება აღარ ეგების.

# უზარმაზარი სამხედრო ხარჯები აშშ-ს გააკოტრებს?!

მას შემდეგ, რაც თეთრმა სახლმა კონ-
გრესისგან ერაყსა და ავღანეთში წარმოე-
ბული სამხედრო კამპანიებისთვის დამ-
ატებით 80 მილიარდი დოლარის გამოყო-
ფა მოითხოვა (კონგრესმა მანამდე დაამტ-
კიცა სამხედრო ბიუჯეტის 25 მილიარ-
დით გაზრდა), ეკონომიკურმა ექსპერტებმა
განგაში გამოაცხადეს. მათი მოსაზრებით,
თუ ასე გაგრძელდა, უახლოესი 5 წლის
განმავლობაში აშშ-ს ერაყსა და ავღანეთ-
ში ჯარების შენახვა 285 მილიარდი
დაუჯდება. ეს კი მძიმე ტვირთად დააწვე-
ბა აშშ-ის ეკონომიკას. ინფორმაციისთვის,
პირველი მსოფლიო ომი აშშ-ს დღევან-
დელი კურსით „სულ რაღაც“ 200 მილ-
იარდი დაუჯდა, კორეის ომი კი – 350
მილიარდი. 2001 წლის 11 სექტემბრიდან
მოყოლებული, აშშ-ის სამხედრო ქმედებე-
ბის ღირებულება უკვე 300 მილიარდს
გადასცდა და ასეთი ტენდენციის გაგრ-
ძელების შემთხვევაში 2005 წლისთვის
ამერიკის ბიუჯეტის დეფიციტი, უკანასკნე-
ლი 20 წლის მანძილზე სარეკორდო ნიშ-
ნულს – 425 მილიარდს გადააჭარბებს.

ჯორჯ ბუშის აზრით, ეს ფული აუცი-
ლებელია აშშ-ის არმიისთვის. „ჩვენი
სამხედროები მიიღებენ ყველაფერს, რაც
სჭირდებათ, რათა ეფექტიანად დაიცვან
აშშ-ის ინტერესები და შეასრულონ დაკ-
ისრებული მისია“ – ამბობს ბუში. აქვე
ცნობილი ხდება, რომ კონგრესში,
დემოკრატები მხარს დაუჭერენ ბიუჯე-
ტის გაზრდას, ოღონდ თეთრი სახლის
წარმომადგენლებს ძალიან მკვეთრ დებატებს
ჰპირდებიან. უკვე გადაწყვეტილია, რომ
გამოყოფილი თანხიდან 75 მილიარდი
მოხმარდება ერაყსა და ავღანეთში წარ-
მოებულ ოპერაციებს, მილიარდ-ნახევარი
დაიხარჯება ბაღდადში აშშ-ის ახალი
საელჩოს მშენებლობისთვის(!), რომელიც
მომავალში აშშ-ის უდიდესი დიპლომა-
ტიური წარმომადგენლობა იქნება; მილ-
იარდი მოხმარდება ახალი ბაზების შენებას;
650 მილიონს სხვადასხვა ჰუმანიტარულ
მისიებზე გაანაწილებენ, მათ შორის აზი-
ური ცუნამის მსხვერპლთა დასახმარე-
ბლად. დარჩენილი თანხის შესახებ სხ-
ვადასხვა მოსაზრება არსებობს. მუსირებს
აზრი, რომ დარჩენილი თანხა მოხმარდე-
ბა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ახ-
ალგადემოკრატებული მთავრობების დახ-
მარებას...

# რუსეთმა საჯაშუშო თანამგზავრი დაკარგა

რუსული პრესა იტყობინება, რომ ამ ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ დაკარგა „კობალტის“ სისტემის ფოტოდაზვერვის თანამგზავრის დამშვები აპარატი. ეს აპარატი, დროზე ადრე, 9-10 იანვარს ორენბურგის მახლობლად დაეშვა. თანამგზავრი, რომელსაც ოფიციალურად „კოსმოს 2410“ (რატომღაც „ვოლგა“ გაზ 24-10-ის ასოციაციას იწვევს) ეწოდება, გასული წლის 24 სექტემბერს პლესეცკის კოსმოდრომიდან გაუშვეს. მან ორბიტაზე 107 დღე-ღამე დაჰყო და დაგეგმილზე 13 დღით ადრე დაუბრუნდა დედამიწას. სამხედროებს ჯერაც ვერ უპოვიათ ვერც აპარატი და ვერც მისი დაშვების ადგილი. ეჭვობენ, რომ ამაში ორენბურგის ოლქის მაცხოვრებლების ხელი ურევია. თანამგზავრი საკმაოდ დიდი წონისაა და ჯართის მიმღებ პუნქტში საკმაოდ ძვირსაც გადაიხდიდნენ მასში...



# პენტაგონის უფროსს სექს-მოადგილე ეყოლება

პენტაგონში ახალი თანამდებობა გამოჩნდა – არმიაში სექსუალური შევიწროების საკითხების კოორდინატორი. ამ პოსტის შემოღებით პენტაგონს სურს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს ისეთ პრობლემას, როგორიცაა არასწესდებო (ძალდატანებითი სექსუალური) ურთიერთობები სამხედროებს შორის, აუცილებლად დასაჯოს მსგავს ქმედებებში შემჩნეული პირები და პროფილაქტიკური სამუშაოები გასწიოს არმიის რიგებში. კოორდინატორის დაქვემდებარებაში სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების (ფსიქოლოგები, იურისტები და სხვ.) მთელი გუნდი იქნება. კოორდინატორის მოვალეობაში შედის ნებისმიერ სექსუალურ დანაშაულზე 24 საათის განმავლობაში მოახდინოს რეაგირება.

# იარაღის შავი ბაზრის პრაისლისტი



ევროპული საინფორმაციო საშუალებები ერთმანეთის მიყოლებით აქვეყნებენ საგანგაშო ცნობას, რომ ერთ-ერთ ბრიტანულ ინტერნეტაუქციონზე იყიდება საბჭოთა წარმოების სარაკეტო კომპლექსი „СКАД“-ი. საინტერესოა, რომ ლოტის ფასი ძალიან დაბალია – 40.000 დოლარი. დაუდასტურებელი ინფორმაციით, კომპლექსს უკვე მყიდველიც გამოუჩნდა. ამ როლში რომელიღაც კინოკომპანია მოგვევლინა. ყველაზე საინტერესოა, როგორ მოხვდა მრისხანე რაკეტა კერძო მფლობელის ხელში. მართალია, იარაღის შავი ბაზრისთვის წარმოუდგენელი არაფერია, მაგრამ სარაკეტო კომპლექსი – ეს უკვე მეტისმეტია. იარაღით მოვაჭრეების წრეში ყველაზე პოპულარულად საბჭოთა წარმოების იარაღი ითვლება. ჯერ ერთი, რომ შედარებით იაფი და მარტივია და მეორეც – ადვილად იშოვება. ასე, მაგალითად, ევროპის შავ ბაზარზე პისტოლეტები ТТ და ПМ-ი 300-700$ ღირს, ავტომატი АК – 1000-1500$, ხოლო ხელყუმბარა Ф-1 – 100-150$. ექსპერტების გათვლებით, იარაღის უკანონო ბიზნესში ჩადებულ ყოველ დოლარს 12 დოლარის მოგება მოაქვს. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ვიღაც ბრიტანელმა ვიღაც ამერიკელს სარაკეტო კომპლექსი მიჰყიდა...

# უკრაინა სარაკეტო სროლებს განაახლებს




2005 წელს უკრაინელი სამხედროები პოლიგონებზე სარაკეტო სისტემებს – Оса-სა და Бук-ს გამოცდიან. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე უკრაინელ სამხედროებს არც ერთი რაკეტა არ გაუსვრიათ. სწავლებების პროცესის შეჩერება კარგად ცნობილმა ტრაგიკულმა შემთხვევამ გამოიწვია. 2001 წელს სისტემა С200-ის საწვრთნელი სროლების დროს უკრაინულმა რაკეტამ შავი ზღვის თავზე სამოქალაქო Ту-154 ჩამოაგდო, რის შედეგადაც ისრაელისა და რუსეთის 78 მოქალაქე დაიღუპა. ამ ექსცესის გამო, კომპენსაციის სახით უკრაინამ ისრაელს 7.5 მილიონი, ხოლო რუსეთს – 7.8 მილიონი დოლარი გადაუხადა.



# კვლავ იპარავენ...

წინა ნომერშიც ვწერდით და ახლაც გვინდა თქვენი ყურადღება რუსი სამხედროების უცნაურ ქცევას მივაპყროთ. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის ბალტიის ზღვის ჩრდილოეთ ფლოტის გემებზე ბოლო თვეებში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. კერძოდ, სადარაჯო და მტრალავ კატარღებზე ძრავებს ცვლიან. ოფიცრები უფროსობას მექანიზმების წარმატებული შეცვლის შესახებ უპატაკებდნენ და თითქოს ყველა კმაყოფილი იყო, თუმცა, შემთხვევითმა შემოწმებამ ცხადყო, რომ 17 სამხედრო ხომალდს ისევ ძველი, ნამუშევარი ძრავა ეყენა. შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ ამ გემებისთვის განკუთვნილი დიზელები უკვე კარგა ხანია პოლონურ სათევზაო სეინერებზე მუშაობს. მაქინაციის მექანიზმი ძალიან მარტივი აღმოჩნდა, რამდენიმე ხელმძღვანელი ოფიცრის მეშვეობით ხუთი(!) წლის განმავლობაში ფლოტის გემებზე გამუდმებით მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ხომალდებზე აყენებდნენ ახალ ძრავებს, ხოლო ძველს ჯართად ყიდდნენ. თითქოს კრიმინალი არ არსებობს, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მექანიკოსებს ახალი და ძველი ძრავები ყოველთვის ერეოდათ ერთმანეთში, მაშინ...

# რუსეთი ინდოეთს უახლეს ბომბდამშენებს აძლევს




შორეული ავიაციის ბომბდამშენები Ту-22М3, რომლებიც რუსეთმა ინდოეთს უნდა მიაწოდოს, მოქმედი რუსული ესკადრილიების რიგებიდან უნდა გამოიყვანონ. საუბარია მინიმუმ 2 თვითმფრინავზე. როგორც დაუსახელებელი წყარო იტყობინება, გადაწყვეტილია, ინდოეთს მიაწოდონ მაქსიმალურად „ახალგაზრდა“ მანქანები. ეს გადაწყვეტილება, ნაწილობრივ გამოწვეულია დელის დაჟინებული მოთხოვნით, ნაწილობრივ კი – რუსების ეკონომიურობით. მათ არ უნდათ მოძველებულ მანქანებს მოდერნიზაცია გაუკეთონ ან სარეზერვოებს შემოწმება ჩაუტარონ, ამიტომ თვითმფრინავებს პირდაპირ საბრძოლო მორიგეობიდან მოხსნიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა სარგებლობას მოუტანს ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობა საქართველო-უკრაინის სამხედრო თანამშრომლობას?

***საქართველო-უკრაინის სამხედრო თანამშრომლობა, რომელიც მეექვსე წელია, აღმავალი ხაზით ვითარდება, ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობის პერიოდში კიდევ უფრო დიდ პროგრესს მიაღწევს. ამის შესახებ ხმამაღალ პროგნოზებს დამოუკიდებელი ქართველი ექსპერტების გარდა, სამხედრო მაღალჩინოსნებიც გამოთქვამენ. მათ მხედველობაში აქვთ ის გარემოება, რომ დღესდღეობით უკრაინა საქართველოსთვის იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მომწოდებელია, ხოლო უკრაინის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში სულ უფრო მეტი ქართველი ოფიცერი ეუფლება სამხედრო ხელოვნებას.***

საქართველო-უკრაინის სამხედრო თანამშრომლობაში, რომელსაც ბიძგს ორ ქვეყანას შორის ისტორიულად კეთილმეზობლური და სტრატეგიული პოლიტიკური თანამშრომლობა აძლევს, თავის დროზე ბზარი ვერც ანტისარაკეტო სისტემა „კოლჩუგებთან" დაკავშირებულმა საერთაშორისო სკანდალმა შეიტანა და ვერც „ნარინჯისფერთა" რევოლუციაში ქართული პოლიტიკური დესანტის მონაწილეობამ. მიუხედავად უკრაინაში ქართული რევოლუციის ექსპორტის მცდელობისა და პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას გარემოცვის გაღიზიანებისა, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მძიმე საბრძოლო ტექნიკის მსხვილი პარტია სწორედ ნოემბერ-დეკემბერის თვეში მიიღო.

აქ იგულისხმება ის ძირითადი საბრძოლო საშუალებები, დაახლოებით 40-მდე ერთეული ჯავშანტექნიკა, რომლებითაც ხდება ქართული არმიის გადაიარაღება და რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს არმიის ჯავშანსატანკო პოტენციალი. ინფორმაცია ჯერჯერობით სახელმწიფო დონეზეა გასაიდუმლოებული. ამ სტრიქონების ავტორმა ეს უტყუარი ინფორმაცია კიევში ჟურნალისტური მივლინებების დროს უკრაინის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან დაახლოებული წყაროებისგან შეიტყო. ისე, აქ დიდად დასამალიც არაფერია, რადგან საქართველო უკვე მეექვსე წელია, იძენს სხვადასხვა სახის საბრძოლო ტექნიკას უკრაინიდან (გავიხსენოთ გარემონტებული ვერტმფრენებისა და კატარღების შემოტანა უკრაინიდან მარტის თვეში, რომელთა გამოჩენამ აჭარის ადმინისტრაციულ საზღვარზე წონასწორობიდან გამოიყვანა ასლან აბაშიძე).

ამგვარი ურთიერთანამშრომლობის პროცესი საქართველო-უკრაინას შორის განსაკუთრებით 1998 წლიდან დაიწყო. მაშინდელი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე მიიჩნევს, რომ ეს იყო ყველაზე წარმატებული სამხედრო თანამშრომლობა, როგორც პირადად, ისე სხვადასხვა სტრუქტურის დონეზე. თუმცა ჩვენთან სატელეფონო საუბარში დავით თევზაძემ განაცხადა, რომ თავდაპირველად ძირითადი აქცენტი არა უკრანის მხრიდან სამხედრო-ტექნიკურ დახმარებაზე, არამედ რეგიონულ გაერთიანება სუუამის ფარგლებში სამხედრო თანამშრომლობაზე კეთდებოდა და გაიხსენა ერთობლივი ქართულ-აზერბაიჯანულ-უკრაინული სამხედრო სწავლება კრწანისის პოლიგონზე.



***2004 წ. უკრაინაში შეკეთებული ქართული შვეულმფრენები სამშობლოში გამომგზავრებამდე***

„ის, რომ ამ სუუამის ფარგლებში ჩვენ პრაქტიკულად ჩავატარეთ სწავლება აზერბაიჯანთან ერთად ნავთობსადენის ავარიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ეს იყო მთლიანად უკრაინის ინიციატივა", — აღნიშნავს დავით თევზაძე.

სამწუხაროდ, სამხედრო თანამშრომლობა სუუამის ფარგლებში ამ ერთი სწავლებით დასრულდა. სავარაუდოდ, ამ რეგიონული გაერთიანების წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ ლიდერებზე რუსეთის ზეწოლის გამო. თუმცა საქართველო-უკრაინის ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობა შემდგომში კიდევ უფრო გაფართოვდა. ამ თანამშრომლობას ზემოხსენებული სამხედრო-ტექნიკური პროექტების გარდა, რაც საქართველოსთვის შეღავათიან ფასებში საბრძოლო ტექნიკის მოწოდებას გულისხმობს, დაემატა კონტაქტები საგანმანათლებლო ხაზით. უკრაინის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია მეექვსე წელია ამზადებს უფროს ოფიცერთა და მეთაურთა კადრებს საქართველოს სამხედრო უწყებებისთვის. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის დავით სიხარულიძის თქმით, მომავალში უკრაინის სამხედრო სასწავლებელში სხვადასხვა სახის ტექნიკური კადრების მომზადებაც იგეგმება.

„ჩვენ ერთი ტიპის სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება გვაქვს, ამიტომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი სპეციალისტებისა და ტექნიკური პერსონალის მომზადება უკრაინის სამხედრო უმაღლეს სასწავლებელში", — აცხადებს დავით სიხარულიძე.

ნიშანდობლივია, რომ უკრაინის გენერალური შტაბის აკადემიის წარჩინებული კურსდამთავრებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, რაც ერთადერთი შემთხვევაა საქართველოს სამხედრო ძალების ისტორიაში. მანამდე ამ თანამდებობას რუსეთის სამხედრო სასწავლებელდამთავრებული უმაღლესი რანგის ოფიცრები იკავებდნენ (დათუაშვილი, ცქიტიშვილი, თათარაშვილი, მეფარიშვილი, ფირცხალაიშვილი, იუკურიძე). თუმცა ზოგიერთი დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსეთის გენერალური შტაბის აკადემიისა და უკრაინის ანალოგიურ უმაღლეს სამხედრო სასწავლებლის სასწავლო პროგრამები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ანუ ორივე მეტწილად საბჭოთა რუსულია,



„ნატო“-სა და უკრაინის კარგი ურთიერთობა საქართველოს-თვისაც მომგებიანი იქნება. უკრაინის პრეზიდენტი და „ნატო“-ს გენერალური მდივანი




საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებს საქმიანი ურთიერ-თობის გარდა პირადი მეგობრობაც აკავშირებთ. ეს ფაქტორიც სერიოზულ გავლენას იქონიებს საქართველოს ინტერესებზე.

ვიდრე დასავლური. ფაქტია ისიც, რომ უკრაინის გენერალური შტაბის კურს-დამთავრებული ბევრი ოფიცერი საქართველოში დაბრუნების შემდეგ საერ-თოდ უადგილოდ დარჩა დაბალი კვალი-ფიკაციის გამო. თუმცა ეს უკვე საქართვე-ლოს პრობლემაა და არა უკრაინის, რომელ-იც მზად არის იმდენი ოფიცერი მოამზა-დოს, რამდენიც საქართველოს სჭირდება.

თანაც ერთიცაა: სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობაშიც და კადრების მომზა-დებაშიც უკრაინა და საქართველო არა-თანაბარი პარტნიორები არიან. როგორც ყველა სხვა პარტნიორ სახელმწიფოსთან ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის შემთხვევაშია, უკრაინა გასცემს, საქართვე-ლო ამ დახმარების მხოლოდ მომხმარებ-ლის როლშია. ამიტომ მკითხველს ბუნე-ბრივია, დააინტერესებს, ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობისა და საქართველოსთვის შელავათიანი სამხედრო პროექტების განხორციელების გარდა, რით შეიძლება თავის მხრივ საქართველოს სამხედრო-სამრეწველო პოტენციალმა დააინტერესოს თავად უკრაინა?

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ამ მხრივ ოპტიმიზმის საფუძველი ნაკლებად არ-სებობს. სამოქალაქო ომებითა და საეჭვო ეკონომიკური ექსპერიმენტების (ამის აღ-სანიშნავად ხშირად ტერმინ „პრიხვატი-ზაციასაც“ ხმარობენ) შედეგად, საქართვე-ლოს ტერიტორიაზე დარჩენილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარ-მოები ისეა განადგურებული, რომ უახ-ლოეს წლებში ეს დისბალანსი სამხედრო თანამშრომლობაში უცვლელი დარჩება. ანუ სამხედრო ტექნიკის თვალსაზრისით, საქართველო დახმარების მიმღები ქვეყა-ნა, ანუ იარაღის გასაღების ბაზარი იქნე-ბა მისი პარტნიორებისთვის. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს საწარმო გაერ-თიანება „თბილავიამშენი“, რომელსაც შეუ-ძლია უკრაინელ კოლეგებს შესთავაზოს მომსახურება მოიერიშე სამხედრო თვით-მფრინავ Су-25-ების რემონტისთვის ან შელავათიან ფასად მიჰყიდოს ამავე ქარხნის მიერ გამოშვებული Су25КМ-ის მოდ-ერნიზებული ქართულ-ებრაული მოდე-ლი. თუმცა პრეზიდენტ კუჩმას ეპოქა ისე დასრულდა, რომ უკრაინის შეიარ-აღებულ ძალებს საქართველოში ერთი შეკვეთაც არ განუხორციელებია. შესა-ბამისად, დამოუკიდებელ სამხედრო ექსპერტებსა და ქართველ იარაღის მკეთე-ბლებს იმედი აქვთ, რომ ვიქტორ იუშჩენ-კოს პრეზიდენტობის პერიოდში, თუ ქართველი კონსტრუქტორების გამოშვე-ბული თვითმფრინავები ვერა, მათ მიერ გარემონტებული მოიერიშეები მაინც იფრენენ უკრაინის ცაზე.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სხვა ქვეყნების წარმო-მადგენლებთან ერთად უკრაინული სამხედრო გემებიც აქტი-ურად მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში გამართულ სწავლებებში



კობა ლიკლიკაძე,
„რადიო თავისუფლება“
სპეციალურად
„არსენალისთვის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შპიონაჟის უდიდესი მუზეუმი

ნაწილი II. დასაწყისი იხ. „არსენალი“ №1

**ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და კეთილმოწყობილ შპიონაჟის საერთაშორისო მუზეუმს თამამად შეიძლება ვუწოდოთ შეცდომების მუზეუმი, რადგან სწორედ შეცდომების გამო ხმაურდება სხვადასხვა აგენტის სახელი, მერე კი ისინი სამუზეუმო ექსპონატებად იქცევა და კოლექციას ავსებს.**





## ჯაშუშომანია

მუზეუმში დიდი ადგილი უჭირავს ჯაშუშურ ომებს, შპიონაჟის ისტორიას. აქ გიამბობენ ლეგენდარულ იაპონელ ნინძებზე. გაჩვენებენ ჯაშუშური შენილბვის უძველეს მაგალითს – ტროას ცხენს. გაიგებთ, რომ ჰანიბალმა ალპების გადალახვა და დიდი ალალითა და სპილოებით აპენინის ნახევარკუნძულზე შეჭრა დეზინფორმაციის წყალობით მოახერხა. ეტყობა, მას კარგი ჯაშუშური ქსელი ჰყავდა და ა.შ.

თქვენ აღმოაჩენთ, რომ ერის მამებმა – ჯორჯ ვაშინგტონმა და ბენჯამინ ფრანკლინმა არა მარტო საფუძველი ჩაუყარეს ამერიკულ დემოკრატიასა და სახელმწიფოებრიობას, არამედ მთელი სისტემა შექმნეს დეზინფორმაციისა, რომელიც თავგზას უბნევდა ბრიტანელ მზვერავებს. თომას ჯეფერსონმა კი მე-18 საუკუნის 90-იან წლებში გამოიგონა გამშიფრავი ცილინდრი (ის გამოფენილია მუზეუმში), რომლის პრინციპი მეორე მსოფლიო ომის დროსაც გამოიყენებოდა. აქ თვით დანიელ დეფოც კი „ბრიტანული სპეცსამსახურის მამამთავრადაა“ წარმოდგენილი. მან ხომ საკუთარი ნებით იკისრა თემთა პალატაში შტატიანი მზვერავის მოვალეობა. სხვათა შორის, „რობინზონ კრუზოს“ გამოქვეყნების შემდეგ მან ჯაშუშურ საქმიანობას თავი დაანება.

პატარა დარბაზში, რომელიც ბუდუ-

**მუზეუმში უახლესი მოდის საჯაშუშე ტანისამოსის გამოფენაც ეწყობა**




დამთვალიერებლები აურაცხელი მონიტორების წინ ჩერდებიან და დიდი ყურადღებით უსმენენ ათასგვარ საჯაშუშო ისტორიას...

არს ჰგავს, ჯაშუშ ქალებზე გიამბობენ. მათი საქმიანობის მთავარი იარაღი მიმზიდველობა იყო. აქ მთავარი გმირი, რა თქმა უნდა, მატა ჰარი გახლავთ.

ცალკე განყოფილება ეთმობა დრეიფუსის საქმეს. უდანაშაულო დრეიფუსს 1894 წელს გერმანიის სასარგებლოდ შპიონაჟისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. იგი 1899 წელს გაამართლეს ემილ ზოლას წერილის – „მე ბრალს ვდებ“ – წყალობით. ამ წერილმა საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია და დრეიფუსის საქმე გადაიხედა. ალბათ ამიტომაა, რომ შპიონომანიასთან ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის შპიონაჟის საერთაშორისო მუზეუმის დამაარსებლებმა მუზეუმის კომპლექსში არსებულ ძვირად ღირებულ რესტორანს დიდი ფრანგი მწერლის სახელი უწოდეს.

ნაკლებსაინტერესო და ორგანიზებულია პატარა დარბაზში გამოფენილი საბჭოთა სპეცსამსახურებისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია. აქ ყველაფერი ერთადაა დახვავებული – „წითელი ტერორი“, ინგლისელი ჯაშუშის, სიდნეი რეილის მხილება და დასჯა, სტალინის დროინდელი ციხეები, სადაც ჯაშუშობაში ბრალდებული ისააკ ბაბელი და კარლ რადეკი დაიღუპნენ. აქ რევოლუციური სიმღერებიც ჟღერს და რუსული ხალხური მელოდიებიც, რასაც შპიონაჟთან არავითარი კავშირი არა აქვს. ვიტრინებში გამოფენილია საბრძოლო ჯილდოები: მედლები „საბრძოლო მამაცობისთვის“ ან „მოსკოვის დაცვისთვის“, რომლებითაც, როგორც ეტიკეტებზეა მითითებული, „საბჭოთა ჯარისკაცებსა და „ნკვდ“-ს აგენტებს აჯილდოებდნენ ომის წლებში“. ერთი სიტყვით, საბჭოთა განყოფილება მეტად ღარიბულია. არადა, მამაც ჩეკისტებსაც ბევრი რამ აქვთ ისეთი, რაც ამ მუზეუმში წარმოდგენის ღირსია.

## დისნეი და „ენიგმა“

მუზეუმში პირდაპირ დახვავებულია ინფორმაციები და ექსპონატები ჯაშუშურ ომებზე. აქ შეგიძლიათ ნახოთ 1930-40 წლების პატრიოტული ქრონიკა, ფრაგმენტები მაშინდელი ცნობილი და მოდური ჯაშუშური ფილმებიდან და თვით დისნეის ფილმები, რომლებშიც იხვი დონალდი ჯაშუშების გამოვლენისა და ქვეყნის თავდაცვისკენ მოუწოდებს.

მეტად საინტერესოა ვიტრინები სამაგიდო თამაშებით, კომიქსებითა და სათამაშოებით, რომელთა მთავარი გმირი ჯიმენი ძიების ფედერალური ბიუროს აგენტია. ამბობენ, ძიების ფედერალური ბიუროს აგენტებს ჯი-მენები მას შემდეგ უწოდეს, როცა 1933 წელს ერთმა ცნობილმა განგსტერმა დაპატიმრებისას შესძახა: „Don't Shoot, G-men!“ – „არ ისროლოთ, ჯენტლმენებო!“

მეორე მსოფლიო ომი მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი სიუჟეტია. აქ გიამბობენ პერლ-ჰარბორზე, რომლის თავიდან აცილება, თუ ექსპოზიციას დავუჯერებთ, შეიძლებოდა. გაეცნობით ასევე ვარსკვლავების: მომღერალ ჟოზეფინა ბეკერის, კინორეჟისორ ჯონ ფორდის, მსახიობ მარლენ დიტრიხისა და ცნობილი ბეისბოლისტის, მო ბერგის ჯაშუშურ და სადაზვერვო საქმიანობას. მაგალითად, მო ბერგმა არცთუ მცირე წვლილი შეიტანა გერმანული ატომური პროექტის შეჩერებაში – მან პროექტზე მომუშავე ერთ-ერთი ფიზიკოსი დააშინა.

ცალკე დარბაზი ეთმობა „ენიგმას“ – ცნობილ გერმანულ გამშიფრავ მანქანას, რომელზეც დიდხანს ნადირობდნენ ამერიკელები და ინგლისელები. ბოლოს და ბოლოს, დიდი მსხვერპლის ფასად „ენიგმა“ მოიპარეს და დიდი წვალებით გაშიფრეს კოდი. ამაზე ცნობილი ინგლისელი მათემატიკოს-პროგრამისტი ალან ტიურინგი მუშაობდა. ანგლოამერიკელი



ეს მოწყობილობა მოსკოვში, მომწამვლელი გაზით დატუმბული კაფსულების სასროლად შეიქმნა



ქვანახშირის ნატეხად შენიღბული ასაფეთქებელი ნივთიერება და მსგავსი გრიმის გასაკეთებლად საჭირო მოწყობილობები

მუზეუმში ადგილი ბერლინის კედლის მოზრდილი ნაწილისთვისაც მოიძებნა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო ისტორიკოსები მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად დღემდე მიიჩნევენ „ენიგმას“ მოპოვებასა და მის გაშიფვრას.

## „ცივი ომის“ ცხელი წერტილები

„ატომური შპიონაჟი“ და მაკარტიზმის დროინდელი „კუდიანებზე ნადირობა“ შპიონაჟის მუზეუმის „აუცილებელი კერძია“. მთავარი დელიკატესი და ომის შემდგომი განყოფილების ატრაქციონია ბერლინი – „ჯაშუშების ქალაქი“ და „ცივი ომის“ ყველაზე ცხელი წერტილი. დარბაზში ბერლინური კაფეცაა წარმოდგენილი. ეს სხვადასხვა ქვეყნის ჯაშუშების შესახვედრი საყვარელი ადგილი იყო. აქ იმ გვირაბსაც ნახავთ, რომელიც ინგლისისა და ამერიკის სპეცსამსახურებმა გათხარეს აღმოსავლეთ ბერლინის ქვემოთ და მისაყურადებელი უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვეს. გვირაბი ერთი წლის შემდეგ, 1956 წელს, საბჭოთა და აღმოსავლეთბერლინელმა პოლიციელებმა გახსნეს. არსებობს ვერსია, რომ რუსებმა იმთავითვე იცოდნენ გვირაბის არსებობის შესახებ და დეზინფორმაციას აგზავნიდნენ. მაგრამ ინგლისელები და ამერიკელები მაინც ამაყობენ თავიანთი ქმნილებით. საკითხავია, ამ შემთხვევაში ვინ ჩაფლავდა და შეცდა – „კგბ “ თუ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო Mi6-თან ერთად. სხვათა შორის, გვირაბი საბჭოთა მზვერავმა და იმავდროულად ბრიტანეთის Mi6-ის მაღალჩინოსანმა ჯორჯ ბლეიკმა „ჩააბარა“. 1961 წელს ბლეიკს ინგლისში 42-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს – საბჭოთა კავშირში მისი გულისთვის დაღუპული ბრიტანელი აგენტებისთვის ბლეიკს თითო-თითო წელი „დაარიცხეს“ – სულ 42 გამოვიდა. 1966 წელს ბლეიკი ციხიდან გაიქცა (სავარაუდოდ, ირლანდიის რესპუბლიკური არმიის დახმარებით) და მოსკოვში დასახლდა.


„ენიგმას“ ოთახში ნებისმიერ დამთვალიერებელს შეუძლია გერმანული საიდუმლო შიფრის გახსნა სცადოს...

„ბერლინის განყოფილებაში“, სტილიზებულში, მაგრამ საკმაოდ პირქუშში, სხვა საინტერესო ატრაქციონებიც არის – მაგალითად, სატელეფონო ჯიხური, რომელშიც დროდადრო ტელეფონი-ავტომატი რეკავს. თუ ყურმილს აიღებთ, ერთი ცოლ-ქმრის სახალისო ისტორიას გიამბობენ – ჩინელი ქალი და გდრ-ის მოქალაქე მამაკაცი ერთდროულად სამი დაზვერვის აგენტები იყვნენ, რაც, ეტყობა, ბერლინში ჩვეულებრივი ამბავი იყო. გერმანელი – პეკინის უნივერსიტეტის ასპირანტი და ჩინელი სტუდენტი გოგონა 1966 წელს დაქორწინდნენ. ამ დროისთვის ასპირანტი „შტაზის“ აგენტი იყო, ქალი კი ჩინეთის მზვერავი. ერთი წლის შემდეგ ცოლ-ქმარი აღმოსავლეთ ბერლინში გადავიდა საცხოვრებლად, გადაიბირეს ერთმანეთი და უზრუნველად ცხოვრობდნენ ორი სპეცსამსახურის ფულით. მერე ორივე ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გადაიბირა – წყვილი დიპლომატიურ წრეებში ტრიალებდა და ბევრ იმფორმაციას ფლობდა. ამჯერად უფრო გაისქელეს ჯიბე. 1990 წელს ცოლ-ქმართან დაახლოება „კგბ“-მაც სცადა, მაგრამ გვიან იყო – ცოლ-ქმარი „დამსახურებულ პენსიაზე“ გავიდა.

## დიდების დარბაზი

მუზეუმების კურატორები ზოგიერთ ექსპონატს ჯანსაღი ირონიით უყურებენ. ამის დასტურია ოსტატურად დამონტაჟებული კინოფირი, რომელიც ჰიჩკოკის, ორსონ უელსისა და ოსტინ პაუერსის ფილმების პაროდიაა. მაგრამ, როცა ლაპარაკია პროფესიულ ნორმებსა და იდეალებზე, დამთვალიერებლებთან სავსებით სერიოზულად საუბრობენ. ექსპოზიციას აგვირგვინებს განყოფილება, რომელსაც შეიძლება ჯაშუშთა დიდების დარბაზი ვუწოდოთ. ვეებერთელა მონიტორებზე ოლდრიჩ ეიმსის მხილებაზე შექმნილ ფილმს ატრიალებენ, მუზეუმის დირექტორთა საბჭოს წევრები კი საკუთარი პრაქტიკიდან საინტერესო ამბებს ჰყვებიან. კედლებზე მხილებული ჯაშუშების ფოტოები კიდია. აქ ყველა თანასწორია – ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, „კგბ“-ს თუ „მოსადის“ აგენტები: ოლეგ პენკოვსკი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად აღკვეთა ბირთვული კატასტროფა; მხილებული და ჩამოხრჩობილი ებრაელი ჯაშუში ელია კოენი, რომელმაც სირიის მაღალ საზოგადოებაში შეღწევა მოახერხა. ჩინელი ჯაშუში ლარი ჩინი, რომელიც ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში მუშაობდა და 1986 წელს ამხილეს. ჩინმა ციხის საკანში პლასტიკატის ტომრით გაიგუდა თავი. ადოლფ ტოლკაჩოვი, ეიმსის „ჩაგდებული“ და შემდგომ დასჯილი; „კგბ-ს“ აქტივისტი ვასილ მიტროხინი, რომელმაც 1992 წელს ბრიტანეთის სპეცსამსახურებს 300000 საიდუმლო დოკუმენტი გადასცა და ბევრი სხვა.

## საჭირო ნივთები

მუზეუმის მაღაზია ყველაზე სიმპათიური და მიმზიდველი ადგილია. რას არ ნახავთ აქ. რა თქმა უნდა, ყველაფერს, რაც ჯეიმს ბონდს ჰქონდა – კოსტიუმებს, მის ქალებს, იარაღს, მუსიკას „ბონდიანას“ ფილმებიდან და თვით ფილმებს. ასევე უამრავ ნივთს ორმაგი ფსკერითა თუ სამალავით, კალმებს უხილავი მელნით, ღამის ხედვის მოწყობილობებს, დანა-ჩანგლის სახით შენიღბულ დიქტოფონებს, შიფრულ თამაშებსა და თავსატეხებს. გამყიდველების თქმით, დამთვალიერებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მაისური წარწერით – „ყველაფერი უარყავი“ და კეპი „ჯაშუში“. არის მაისური, რომელზეც მოსკოვში ქცევის წესებია ჩამოწერილი („შენ გითვალთვალებენ“, „ყოველთვის ენდე ინსტინქტს“).

მაღაზიაში ნამდვილი მისაყურადებელი მოწყობილობის ყიდვაც შეიძლება და ორთქლჩამხშობად შენიღბული სათვალთვალო კამერისაც...

...სანამ მუზეუმს დატოვებდეთ, ერთგვარ გარდამავალ ზონაში მოხვდებით. აქ კომპიუტერები შეგამოწმებენ, როგორ დაიმახსოვრეთ ლეგენდა და წყვეტენ საკითხს, გაგიშვან ქვეყნიდან თუ სპეცსამსახურებს ჩაგაბარონ. კედელზე კიდია სარკე წარწერით: „თქვენ უამრავი ჯაშუში ნახეთ, თავად თქვენ თუ ჰგავხართ ჯაშუშს?“ კითხვა სერიოზულია. სანამ ერთმნიშვნელოვან პასუხს მოვიფიქრებდი, უკან მივიხედე – მეორე კომპიუტერთან ორ პასტორს ამოწმებდნენ. იმას, რომ ორივე ღვთის მსახური იყო, მხოლოდ გრძელი, შავი პიჯაკები და თეთრი საყელოები ადასტურებდა. სხვა მხრივ კი, ძალზე საეჭვოდ გამოიყურებოდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უმაღლესი განათლების სისტემა „კლონდაიკი" სპეცსამსახურებისათვის

„უნდა იმუშაონ თუ არა საქართველოს სპეცსამსახურებმა უმაღლესი განათლების დაწესებულებებში?"— ეს კითხვა გასულ წელს მრავალ ჟურნალისტს, პოლიტიკოსსა და ქვეყნის უბრალო მოქალაქეს აღელვებდა. მიზეზი ნამდვილად იყო — სახელმწიფო უნივერსიტეტი, აზრთა და პიროვნებების დაპირისპირების შედეგად, ღელვაში მოყოლილი პატარა ნავივით ირყეოდა. განათლების სისტემის ძირეული რეფორმა და ახალი რექტორის არჩევნები — გარეგნულად ასე ჩანდა დაპირისპირების ძირითადი მიზეზები. „ფარდის" მიღმა კი უფრო სერიოზული სურათი იკვეთებოდა. სახეზე იყო ბევრი ისეთი ფაქტორის „შემთხვევითი" თანხვედრა, რომლებიც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის აქტიური ოპერატიული ჩარევის მცდელობებზე მიანიშნებდა. მათი დაინტერესება ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნათელი იყო: უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის სრულყოფით სტუდენტების გულწრფელი დაინტერესებისა და ემოციური გამოსვლების გამოყენება საკუთარი, შორსმიმავალი ოპერატიული მიზნებისათვის.

სპეცსამსახურების ანბანის მცოდნემაც კი იცის, რომ ზოგადად ძალზე იოლია საზოგადოების ყველაზე „რევოლუციური ფენის" — სტუდენტობის გამოყენება ოპერატიული ინტერესებისათვის. იმის მრავალი მაგალითიც არსებობს, თუ როგორ მოახერხეს უცხო სპეცსამსახურებმა სხვა ქვეყანაში მათთვის არასასურველი ხელისუფლების შეცვლა სტუდენტური გამოსვლების „აგორებით". XX საუკუნის ისტორიამ შემოგვინახა სპეცსამსახურების მიერ სტუდენტებისა და ლექტორების წრეში ოპერატიული მუშაობის მრავალი მაგალითი.

## შარლ დე გოლის შეცდომა

ამ ისტორიაში სტუდენტები მოქმედების ბოლოს გამოჩნდნენ, მაგრამ მოხუცი გენერლის ბედი სწორედ მათ გადაწყვიტეს.

დე გოლის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ერთდროულად დაუპირისპირდა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანას (ისრაელს, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს). ისრაელისა და არაბების მრავალწლიან დაპირისპირებაში გენერალი ღიად უჭერდა მხარს არაბებს. მას საერთოდ ისრაელის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნაც კი არასწორად მიაჩნდა. 1950-იანი წლების ბოლოს, საფრანგეთის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მან ფაქტიურად შეწყვიტა ისრაელთან დადებული ყველა სამხედრო ხელშეკრულება. ხოლო 1967 წლის გაეროს სხდომაზე გამოსვლისას ისრაელ-ეგვიპტის ომში ისრაელი გამოაცხადა აგრესორად, რითაც საბჭოთა კავშირის აღფრთოვანება და მოწონება დაიმსახურა.

ბუნებრივია, მსოფლიოში ყველაზე პატივმოყვარე სპეცსამსახური — „მოსადი" დე გოლის ანტიისრაელურ მოქმედებებს დიდხანს ვერ მოითმენდა. მას ამ საქმეში მოკავშირეც გამოუჩნდა. აშშ-ის ადმინისტრაცია დე გოლის მრავალწლიანი ანტიამერიკული პოლიტიკით დიდად უკმაყოფილო იყო. საფრანგეთის პრეზიდენტი საჯაროდ გმობდა აშშ-ის პოლიტიკას ვიეტნამში, დოლარის პრივილეგიურ მდგომარეობას, მოითხოვდა კანადის ფრანგულენოვანი პროვინციის — კვებეკის დამოუკიდებლობას. ხოლო 1965 წელს საფრანგეთი საერთოდ გაიყვანა „ნატო"-დან და ამის პარალელურად მჭიდრო კავშირი დაამყარა საბჭოთა კავშირთან.

დე გოლის საგარეო პოლიტიკით დიდი ბრიტანეთიც შეშფოთებული იყო, რადგანაც მან რამდენჯერმე დაბლოკა ამ ქვეყნის ევროსტრუქტურებში გაწევრიანება.

აშკარა დაპირისპირებას საერთაშორისო ასპარეზზე ემატებოდა საფრანგეთის შიდა ეკონომიკური პრობლემები (ინფლაციის მაღალი ტემპები, უმუშევრობის ზრდა და სხვ.) არქაული განათლების სისტემა და ა.შ. ყველაფერ ამას კი აგვირგვინებდა მოხუცი პრეზიდენტის მართვის ავტორიტარული სტილი, რომელიც უკვე მის თავდადებულ მომხრეებსაც კი აშფოთებდა.

ალბათ ეს ჩამონათვალი საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ თუნდაც სტრატეგიულ მოკავშირეს ეპატიოს. ამიტომ ცსს, მოსადი და „მი-6" შესაბამის მომენტს უცდიდნენ საფრანგეთის პრეზიდენტის პოზიციების შესარყევად. დე გოლის საბედისწერო საგარეო და საშინაო შეცდომების პიკი 1968 წლის მაისში დადგა. სტუდენტების გამოსვლები გახდა ის დეტონატორი, რომელმაც საბოლოო ჯამში დე გოლის პოლიტიკური კარიერა შეიწირა. პარიზის ერთ-ერთ გარეუბანში მდებარე ნანტერეს უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტზე (საინტერესო კანონზომიერებაა, რომ სტუდენტთა გამოსვლები ყველა ქვეყანაში ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე იწყებოდა) დაწყებულმა სტუდენტურმა გამოსვლებმა სულ მალე პარიზის სორბონის უნივერსიტეტში გადაინაცვლა და რამდენიმე დღეში საფრანგეთის სტუდენტთა ნახევარმილიონიან დემონსტრაციად იქცა. სოციალური და განათლების სისტემის ცვლილებების მოთხოვნები სულ მალე, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების „უხილავი ხელით" პოლიტიკურ — დე გოლის გადადგომის მოთხოვნაში გადაიზარდა. პრეზიდენტი ბოლომდე ცინიკურად ეკიდებოდა სტუდენტთა მოთხოვნებს: „ალბათ გამოცდების ჩაბარების შეეშინდათ ან სტუდენტური სასადილო არ მოსწონთო".


გენერალი შარლ დე გოლი

სტუდენტთა ქაოსური და სუმბურული გამოსვლები და მოთხოვნები ანარქისტული, ტროცკისტული, მაოისტური იდეებით იყო „შეზავებული". 1968 წლის 10 მაისს, საღამოს, პარიზში სტუდენტებმა ასამდე ბარიკადი აღმართეს. მათი შეიარაღება, ძირითადად, ქვები და „მოლოტოვის კოქტეილი" იყო. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ სტუდენტების მოქმედებებს აშკარად სპეცსამსახურების გამოცდილი ინსტრუქტორები ხელმძღვანელობდნენ. მას შემდეგ, რაც პარიზის პოლიციამ სასტიკად დაარბია სტუდენტთა ბარიკადები, დემონსტრანტების მოთხოვნები მხოლოდ საფრანგეთის პრეზიდენტ შარლ დე გოლის გადადგომას ეხებოდა. მაგრამ ჯიუტი გენერალი 1972 წლამდე ანუ პრეზიდენტობის ვადის გასვლამდე უარს აცხადებდა გადადგომაზე. თუმც ჯერ გაფიცვებმა, სტუდენტთა გამოსვლებმა და შემდეგ რეფერენდუმში დამარცხებამ აიძულა 79 წლის პრეზიდენტი 1969 წლის 27 აპრილს გადადგომის შესახებ განეცხადებინა. ასე დასრულდა ბოლომდე ამოუცნობი და იმპულსური დე გოლის პოლიტიკური კარიერა, რაშიც მას რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახური აქტიურად „დაეხმარა", თუმცა ამ ფაქტს დღესაც არ ახმაურებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „კგბ"-ს კვალი „ალმა მატერის" დერეფნებში

განათლების სისტემაში, უმთავრესად უმაღლეს სასწავლებლებში, ოპერატიული მუშაობა საბჭოთა სპეცსამსახურების შექმნის დღიდანვე მათი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო. დაზვერვა უცხოეთის უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში [illegible] მომავალ საბჭოთა აგენტებს, რომლებიც შემდგომ აგენტ-ინფორმატორებად ან „გავლენის აგენტებად" იზრდებოდნენ. „კგბ"-ს მეორე მთავარი სამმართველო (კონტრდაზვერვა) კი ქვეყნის შიგნით ცდილობდა მთელი განათლების სისტემის გაკონტროლებას.

საბჭოთა სპეცსამსახურებმა უცხოელი სტუდენტების გადმობირების ყველა „რეკორდი მოხსნეს" ცნობილი აგენტურული ქსელის ე.წ. „კემბრიჯის ხუთეულის" შექმნით.

1930-იანი წლების დასაწყისში ლონდონის კემბრიჯის უნივერსიტეტი და მისი თრინითი კოლეჯი, ასევე ოქსფორდის უნივერსიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის კონტრდაზვერვა (მი-5) აქტიურად მუშაობდა განათლების სისტემაში უცხო დაზვერვების შეღწევის თავიდან ასაცილებლად, საბჭოთა დაზვერვის აგენტების „სამჭედლო" გახდა. ეს უნივერსიტეტები შემთხვევით არ იყო შერჩეული — აქ განათლებას იღებდა დიდი ბრიტანეთის მომავალი პოლიტელიტა, დიპლომატიური კორპუსი და სპეცსამსახურების „ჯეიმს ბონდები". ინგლისში არსებული საკადრო პოლიტიკის ღრმა ანალიზის შედეგად საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მომავალი აგენტების მოსაძებნად კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტები საუკეთესო ვარიანტი იყო.

1934 წლის თებერვალში საბჭოთა დაზვერვის გამოცდილი თანამშრომელი 30 წლის არნოლდ დეიჩი („კგბ"-ს კადრების სამმართველოში აღრიცხული იყო, როგორც სტეფან ლანგი, ავსტრიელი ებრაელი, ოპერატიული ფსევდონიმი „ოტო", „სტეფანი") ფარული სადაზვერვო დავალებით ლონდონში ჩავიდა. მის წინაშე მეტად რთული ოპერატიული ამოცანა იდგა — დიდი ბრიტანეთის ინტელიგენციის ფენებში უნდა შეერჩია გადმობირების კანდიდატები და გარკვეული მოსამზადებელი სამუშაობის შემდეგ მოეხდინა მათი „დავერბოვკება" „კომუნისტური ინტერნაციონალის" საფარქვეშ აგენტურული მუშაობისათვის. ერთი შეხედვით, არისტოკრატიულ და კონსერვატორულ ინგლისში ამ ამოცანის შესრულება აბსურდული იყო, მაგრამ დეიჩმა ინგლისელ სტუდენტებთან მუშაობისას დიდი ნიჭი და ალღო გამოავლინა.

სამეცნიერო და სტუდენტური სფეროს უკეთ შესწავლის მიზნით, პირველ ეტაპზე საბჭოთა აგენტი ლონდონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1936 წელს მან დაიცვა ფსიქოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და შემდეგ კი უკვე თავად კითხულობდა ლექციებს. სულ ორ-სამ წელიწადში დეიჩმა გადმოიბირა 20-ზე მეტი აგენტი (მათ შორის, საბჭოთა დაზვერვის „მარგალიტები" — კემბრიჯის „შესანიშნავი ხუთეული": ბერჯესი, მაქლინი, ბლანტი, ფილბი და კერნკროსი). გარდა ამისა, ინგლისში საბჭოთა დაზვერვის არალეგალურ რეზიდენტ თეოდორ მალისთან ერთად „ნაყოფიერად იმუშავა" დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების მეორე ცენტრში — ოქსფორდში, სადაც მათ სტუდენტებისა და ლექტორების გადმობირებით შექმნეს საბჭოთა აგენტების („თხუნელების") იმდენად ღრმად კონსპირაციული ქსელი, რომ მათი ვინაობა დღემდე უცნობია.

უმაღლესი განათლების წრეში მუდმივი ტრიალი საბჭოთა აგენტს საშუალებას აძლევდა ახლოს გაეცნო სტუდენტები და ლექტორები, დაეფიქსირებინა მათი სისუსტეები და მავნე ჩვევები (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ჰომოსექსუალიზმი და სხვ.), რაც ძალზე ძლიერი იარაღი იყო მათ გადმოსაბირებლად. საბჭოთა დაზვერვის ინტერესს, პირველ რიგში, იწვევდნენ ის სტუდენტები და ლექტორები, რომლებიც მომავალში შესაძლებელია ქვეყნის ხელისუფლებაში მოსულიყვნენ. საბჭოთა დაზვერვას ერთგული ხალხი ლექტორთა წრეშიც ჰყავდა.

კემბრიჯის უნივერსიტეტის თრინითი კოლეჯის ეკონომიკის პროფესორი მორის დობი აქტიურ კომუნისტურ აგიტაციას ეწეოდა სტუდენტებს შორის და საბჭოთა სპეცსამსახურებს აგენტობის კანდიდატებზე „ნავოდკას" აძლევდა. აქედან კი უკვე ერთი ნაბიჯი იყო აგენტობამდე.

„კემბრიჯის ხუთეულმა" 45 წელიწადში უმნიშვნელოვანესი საკვანძო პოსტები დაიკავა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში — საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებში, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებში. მათ კარიერულ წინსვლას გეგმავდა და მაქსიმალურად ხელს უწყობდა საბჭოთა დაზვერვა. ამიტომაც ამ აგენტებმა შეძლეს რეკორდული დრო 20-30 წელი აქტიურად ემუშავათ და საბჭოთა მხარისათვის მიეწოდებინათ 25 ათასზე მეტი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი.

1960-იანი წლების ბოლოდან საბჭოთა კავშირის მასშტაბით უმაღლესი სასწავლებლების „ოპერატიულ მომსახურებას" ახორციელებდა მე-5 („იდეოლოგიური") მთავარი სამმართველოს მე-3 განყოფილება, რომლის სტრუქტურულ ერთეულებსაც რესპუბლიკებში შესაბამისი ქვეგანყოფილებები წარმოადგენდნენ. მათ ოპერატიული დამუშავების ობიექტის თვალთვალისთვის გამოყოფილი ჰქონდათ კონსპირაციული ბინა („ბაზა") კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის (მაგ. თსუ, სპი, პედაგოგიური ინსტიტუტი და ა.შ.) სიახლოვეს, საიდანაც ხორციელდებოდა მიმდინარე ოპერაციის ხელმძღვანელობა.

ისევე, როგორც „სახალხო მეურნეობის" სხვა დარგებში, უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში ოპერატიულ-აგენტურულ მუშაობას აწარმოებდნენ „კგბ"-ს თანამშრომლები — „მოქმედი რეზერვის ოფიცრები" ე.წ. „ოდეერები", რომლებიც საკმაოდ მაღალ და საკვანძო პოსტებზე (რექტორის ან პრორექტორის თანაშემწე, საგარეო ურთიერთობების ან კადრების განყოფილების უფროსი ან მოადგილე და ა.შ.) ინიშნებოდნენ, რაც საშუალებას აძლევდა ღრმა კონსპირაციულ საფარქვეშ მოქმედ საბჭოთა „პოლიტიკურ პოლიციას", გაეკონტროლებინა, თუ რა ხდებოდა განათლების სისტემის „მაღლა ცაში და დაბლა მიწისქვეშ". „კგბ", პირველ რიგში, არსებული ხელისუფლებისადმი ლოიალობას აკონტროლებდა, თორემ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სანტექნიკის ფაკულტეტზე ამერიკის აგენტი რომ არ შემოიპარებოდა, ეს ისედაც წინასწარ იყო ცნობილი.

„კგბ"-ს განათლების სისტემაში მუშაობის პრაქტიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც შენარჩუნდა. მაგალითად, რუსეთისა და ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში კვლავ ძველი „მოთხოვნებით" და „სერიოზულობით" აწარმოებენ ოპერატიულ-აგენტურულ საქმიანობას განათლების სისტემაში. კავშირზე ჰყავთ ძველი აგენტურაც და ძალზე შედეგიანად მუშაობენ ახლების „საპოვნელად".

ამის თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა „კგბ"-ს ის აგენტურა, რომელიც „დავერბოვკებული" იყო უცხოელი მოქალაქეების საბჭოთა კავშირში სწავლის პერიოდში. 1960-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში 600 000 უცხოელი (სტუდენტი, სტაჟიორი და ასპირანტი) სწავლობდა. ისინი, ძირითადად, განვითარებადი ქვეყნებიდან იყვნენ. მათგან 70%-ზე მეტი რუსეთის ფედერაციაში, 20%-მდე უკრაინაში, ხოლო ძალზე უმნიშვნელო ნაწილი სხვა რესპუბლიკებში სწავლობდა — მხოლოდ რუსული ენის შესწავლა და მხოლოდ რუსული კულტურის გაცნობა საბჭოთა „ნაციონალური" პოლიტიკის ნაწილი იყო, რომლის მთავარი მიზანი უცხოელთათვის საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ცნებების სინონიმებად ჩანერგვა იყო. საბჭოთა განათლება მიღებულთაგან შემდეგ წლებში მრავალი პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი და „უბრალო" მინისტრი გახდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ყველა „კგბ"-ს აგენტები იყვნენ, მაგრამ საბჭოთა სპეცსამსახურებს რომ მათი დიდი უმრავლესობა ოპერატიულ კავშირზე ჰყავდა და ამჟამადაც ჰყავს, ეს დამტკიცებული ფაქტია.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ „ნაციონალური კადრები" რუსეთის სპეცსამსახურებმა „გადმოიბარეს" და დღესაც თვალისჩინივით ზრუნავენ. ამის დასტურია 2003 წლის 14 მაისს მოსკოვში გამართული „რუსეთის (საბჭოთა კავშირის) უმაღლესი სასწავლებლების უცხოელ კურსდამთავრებულთა მსოფ-




ლიო ფორუმი“. ამ პომპეზურ და თეატრალურად დადგმულ შეხვედრაზე 120 ქვეყნის 800-ზე მეტ დელეგატს მიესალმა რუსეთის პრეზიდენტი პუტინი. მისი გამოსვლიდან ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო იყო იმის აღიარება, რომ 2003 წელს რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტში ორჯერ გაიზარდა უცხოელი სტუდენტების სწავლაზე გაწეული ხარჯები. რუსეთის სპეცსამსახურების მიერ უცხოელთა გადმობირებაზე დასახარჯი თანხების მოცულობის შესახებ პრეზიდენტს „სამწუხაროდ“ არაფერი უთქვამს.

ვინ ვინ და რუსეთის პრეზიდენტმა ბრწყინვალედ უწყის უმაღლესი განათლების სისტემაში სპეცსამსახურების მუშაობის მნიშვნელობა. 1990 წელს ლენინგრადის უნივერსიტეტის პრორექტორის (ხოლო შემდეგ „ლენსოვეტის“ თავმჯდომარის) თანაშემწედ დაინიშნა კგბ-ს „ყოფილი“ პოდპოლკოვნიკი, მაშინ ყველასთვის უცნობი ვლადიმერ პუტინი, რუსეთის მომავალი პრეზიდენტი. მხოლოდ მიამიტ და საქმეში ჩაუხედავ ადამიანს შეუძლია დაიჯეროს, რომ „კგბ“-ს ნომენკლატურული პოსტები ბატონ პუტინს, ვითომდა ოცდათვრამეტი წლის ასაკში „პენსიაზე გასვლის“ (?) შემდეგ, მისი ყოფილი ლექტორის, ანატოლი სობჩაკის პროტექციით შესთავაზეს.

საქმე უფრო მარტივად იყო – ბერლინის კედლის ნანგრევებს გადარჩენილ მომავალ პრეზიდენტს კვლავ ოპერატიული საქმიანობა დაევალა, ოღონდ საგარეო დაზვერვასთან შედარებით უფრო არაპრესტიჟულ უბანზე – უმაღლეს სასწავლებელში „ოდერად“. „კგბ“-მაც და მისმა სამართალმემკვიდრე რუსეთის „ფსბ“-მაც ისტორიული გამოცდილებით ბრწყინვალედ იციან, რომ სტუდენტობა ყველა დროსა და ქვეყანაში მმართველი ძალისთვის მეტად საშიში, მაგრამ ამავე დროს საზოგადოების ყველაზე ადვილად სამართავი ფენაა. შესაბამისი მიდგომისა და საჭირო „სიმების“ ამოქმედების შემთხვევაში სტუდენტობა და მთლიანად განათლების სისტემა ქვეყნის აღმშენებლობის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია, მაგრამ თუ ამ სფეროში აგენტურის „შეგზავნა“ მოხერხდა, მაშინ ალბათობა იმისა, რომ 100 წლის შემდეგაც ეს ქვეყანა „გავლენის აგენტებით“ იმართებოდეს, ძალზე რეალურია. აი, მერე კი დარიგდება „ფსბ“-ში წოდებები და ჯილდოები უხვად.

დღეისათვის საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში წყდება ქვეყნის მომავლისათვის ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი (ბუნებრივია, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და პატრიოტების მომზადების გარდა):

1. დაზვერვისთვის და კონტრდაზვერვისთვის ახალგაზრდა კადრების შერჩევა (ის სულელური პრაქტიკა, როცა უშიშროების სამინისტროს აკადემიაში 16-17 წლის პირტიტველა და „ცხვირმოუხოცავ“ ყმაწვილებს „იღებდნენ“ და დაზვერვის და კონტრდაზვერვის „ასებად“ ამზადებდნენ, საბედნიეროდ, წარსულს ჩაბარდა) მაღალკურსელებსა და კურსდამთავრებულთა შორის, რაც მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა;

2. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების განათლების სისტემაში ოპერატიულ-აგენტურული მოქმედებებისაგან.

წარმოიდგინეთ – თუ მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებში საკმაოდ იოლად მოხერხდა სტუდენტური ენერგიის „ვილაცისთვის“ საჭირო მიმართულებით წარმართვა, მაშინ რა მარტივი იქნება ამის გაკეთება ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით ჯერ კიდევ „დახუნძლულ“ საქართველოში, სადაც ოდითგანვე „ორი კაცი სამი პარტია“ იყო და სამწუხაროდ, კვლავ არის. ამიტომ 2004 წლის „ცხელი შემოდგომა“ ბევრ საფიქრალსა და სამუშაოს უჩენდა როგორც უცხოეთის სპეცსამსახურებს, ასევე მათ ქართველ კოლეგებს. საკმარისი იყო, რომ ოპერატიული მდგომარეობის შესასწავლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უშიშროების თანამშრომლები გამოჩენილიყვნენ, რომ მრავალი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი აღშფოთებას ვეღარ მალავდა: „რა უნდოდათ უშიშროების თანამშრომლებს უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და თუნდაც დერეფნებში? ისინი განსხვავებულ აზრს აკონტროლებენ! ოპოზიციურად განწყობილი სტუდენტების ოპერატიული დამუშავება დაიწყეს! უზარმაზარი მანქანა ამუშავდა განსხვავებული აზრის საწინააღმდეგოდ“ და ა.შ. აღელვებულები იმასაც კი ივიწყებდნენ, რომ პატარა პოლიტიკური ინტრიგებისთვის საკუთარი ქვეყნის უშიშროების სამსახურს ესხმოდნენ თავს. იმ სამსახურს, რომლის წარმომადგენლებსაც ვიზუალურად იცნობდნენ (ეს ცალკე საკითხია – უნდა იცნობ თუ არა სპეცსამსახურის ოპერატიული თანამშრომლები პოლიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა და საერთოდ გარეშე პირებმა), ხოლო იმაზე კი არ ფიქრობდნენ, რომ გაცილებით საშიში სწორედ უცხოეთის სპეცსამსახურების აგენტურაა, რომელთაც ბუნებრივია, სახეზე ვერ ცნობენ და რომლებიც წლების განმავლობაში ფარულად და თანაც ლაღად მოქმედებდნენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ უმაღლესი განათლების სისტემაში.

იმ კონკრეტულ შემთხვევაში კი ჩვენმა სპეცსამსახურმა რამდენიმე უზუსტობა დაუშვა. ჯერ ერთი, სანდო პირების არყოლის გამო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანთან მივიდნენ თავად ოპერატიული თანამშრომლები საფარი დოკუმენტაციის გარეშე(?), თანაც სტუდენტთა პირად საქმეებს ითხოვდნენ საკმაოდ არაპროფესიულად (სათანადო ლეგენდის გარეშე, უნიჭოდ შესრულებული წერილით – მიმართავენ ჟურნალისტიკის კათედრის გამგეს, მაშინ, როცა ეს დოკუმენტი დეკანატში მიაქვთ და რაც მთავარია, ამ „შედევრს“ ადგილზევე ტოვებენ და ა.შ.). ასე რომ, დასახვეწი ჯერ კიდევ ძალზე ბევრია. ეროვნული აზროვნებისთვის ისეთ ფაქიზ სფეროში, როგორიც განათლების სისტემაა, საქართველოს სპეცსამსახურების მოქმედება განსაკუთრებულ სიფრთხილესა და მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს.

ხოლო ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრი, რომ საზღვარგარეთის სპეცსამსახურებს, „ჩვენთვის არ სცხელათ“, რომ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებით (ლექტორებით და სტუდენტებით) არ ინტერესდებიან და მათ გადაბირებაზე არ მუშაობენ, ისეთივე თავის მოტყუებაა, როგორც მარწყვი ზამთარში.

ამიტომ სტატიის თავშივე დასმულ კითხვაზე, უნდა იმუშაონ თუ არა ქართულმა სპეცსამსახურებმა განათლების სისტემაში, პასუხი ერთია – უნდა იმუშაონ, იმიტომ, რომ ყველა უცხო ქვეყნის სპეცსამსახური აგენტურის ყველაზე „მსუყე ლუკმას“ – გავლენის აგენტებს, სწორედ განათლების სისტემაში და პირველ რიგში, უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე (განსაკუთრებით, მომავალ ჟურნალისტებს და იურისტებს აქვთ დიდი ფასი) ეძებენ და პოულობენ.

გარდა ამისა, საქართველოს სპეცსამსახურებს კანონი პირდაპირ ავალებს აქტიურ და, რაც მთავარია, შედეგიან კონტრდაზვერვით საქმიანობას უცხო ქვეყნების აგენტურული და ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის აღსაკვეთად. ხოლო რაც შეეხება დაშვებულ შეცდომებსა და კაზუსებს, ეს საპატიებელია ჯერ კიდევ რეფორმირებისა და ჩამოყალიბების გზაზე მდგარი საქართველოს სპეცსამსახურებისათვის.

ბესიკ ალადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ომის ამსახველ ვიდეოკადრებში კარგად ჩანს, როგორ ისვრიან ქართველი მებრძოლები თავს ზემოთ აწეულ ავტომატებს. ასეთი მეთოდით სროლისას დამიზნებით ზუსტ სროლაზე ლაპარაკი არც ღირს, რადგან ბეტონის ფილებს ამოფარებული მსროლელი სამიზნეს საერთოდ ვერ ხედავს.



ქართული მიგნება — ბოჭკოოპტიკური დრეკადი სამიზნის ერთი ბოლო „კალაშნიკოვზეა" დამაგრებული, მეორე — მსროლელის თვალთან...

## ყველაფერი მოღუნულლულიანების შესახებ

# ესროლე კედლის კუთხიდან!

დაუმიზნებელი სროლის ეს ავადმყოფობა მარტო ბრძოლაში გამოუცდელ ქართველ ჯარისკაცებს როდი სჭირდათ აფხაზეთის ომში. ეს ტენდენცია, ფაქტობრივად, პირველი მსოფლიო ომიდან წამოვიდა, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეები სანგრებში ჩასხდნენ და ბრძოლებმა პოზიციური ხასიათი მიიღო.

სწორედ მას შემდეგ მოდის მცდელობა, რომ მებრძოლმა დამიზნებით ისე გაისროლოს იარაღი, რომ თავადაც არ აღმოჩნდეს მოწინააღმდეგის სამიზნე.

იარაღის კონსტრუქტორებმა, ფაქტობრივად, ერთი საუკუნის განმავლობაში იარაღის რამდენიმე ნიმუში შექმნეს, რომელიც მოფარებული ადგილიდან დამიზნებით სროლის საშუალებას იძლევა.

ბევრი კამათობს — არსებობს თუ არა მოღუნულლულიანი იარაღი და, საერთოდ, როგორ უნდა „მოუხვიოს" ტყვიამ მოღუნულ ლულაში.

რეალურად მართლაც არსებობს ისეთი იარაღი, რომელსაც მოღუნული ლულა გააჩნია. ამგვარი იარაღის შექმნა სერიულად გერმანიის ვერმახტში მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყეს. თუმცა გერმანელმა კონსტრუქტორებმა თავად იარაღის ლულა კი არ მოღუნეს, არამედ ჩვეულებრივ ლულიან ავტომატურ შაშხანას წინ დამატებითი მოღუნული ლულა ჩამოაცვეს.

სანგრიდან მებრძოლი ასეთი „ჰიბრიდის" მხოლოდ წინა მოღუნულ ნაწილს ამოყოფდა, თავად კი მთლიანად სანგარში იყო მიმალული. დასამიზნებლად კი სპეციალური პრიზმა, ფაქტობრივად, ერთგვარი პერისკოპი გამოიყენებოდა, რომელიც მოღუნულ ლულაზე ზემოდან იყო დამაგრებული.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანელებმა 10 ათასზე მეტი ასეთი ჩამოსაცმელი გამოუშვეს, თუმცა მათი წარმატებული გამოცდა უშუალოდ ბრძოლების დროს ნაკლებად შეიმჩნეოდა, რადგან ასეთი მოწყობილობიდან გასროლისას უკუდარტყმის მიმართულება შესამჩნევად იცვლება (დამოკიდებულია ჩამოსაცმელი ლულის მოღუნვის კუთხზე) და მებრძოლს უჭირს იარაღის ხელში სწორედ დამაგრება, განსაკუთრებით, ავტომატური ჯერით სროლისას.

ამერიკულმა და საბჭოთა დაზვერვამ გერმანიის დამარცხების შემდეგ ნაცისტების ბევრი საიდუმლო ჩაიგდო ხელში, მათ შორის, მოღუნულლულიანი ჩამოსაცმელებიც. პენტაგონი თავდაპირველად ცდილობდა გერმანული გამოცდილება გამოეყენებინა, მაგრამ რამდენიმე მარცხის შემდეგ ამერიკელმა კონსტრუქტორებმა მიატოვეს მოღუნულლულიანი იარაღის თემაზე მუშაობა. სამაგიეროდ, უკან არ დაიხიეს რუსმა კონსტრუქტორებმა. გასული საუკუნის 60-იან წლებში შექმნეს ნამდვილად მოღუნულლულიანი ტყვიამფრქვევი „კალაშნიკოვის" ხელის ტყიამფრქვევის РПК-ს ბაზაზე.

ასეთი ტყვიამფრქვევები მოსკოვის გათვლით იმ ბუნკერებში უნდა განეთავსებინათ, რომლებიც იმ პერიოდში ძალზე დაძაბულ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე განთავსდებოდა. ჩვენი ინფორმაციით, მოღუნულლულიანი ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ანალოგიური ბუნკერები საქართველოსა და სომხეთის თურქეთთან საზღვრისპირა რაიონებშიც იყო დამონტაჟებული.

მეოცე საუკუნის ბოლოსთვის ებრაელი სამხედროები უფრო შორს წავიდნენ და მათ შექმნეს მართლაც ეფექტური — „კუთხიდან" სასროლი იარაღი — Corner Shot-ი. ამ მოწყობილობას არა აქვს მოღუნული ლულა. იგი ორი ნაწილისაგან შედგება, რომელიც შუაში გვერდზე მართი კუთხით გარდატყდება. წინა ნაწილში თავსდება ჩვეულებრივი იარაღი (მაგ. პისტოლეტი Beretta, Glock, Colt და სხვა), ვიდეოკამერა, ინფრაწითელი სამიზნე, მაყუჩი; ხოლო მეორე ნაწილში კი სასხლეტი, კონდახი და რაც მთავარია, ვიდეოკამერის მონიტორი.

სპეცრაზმელი შენობის კუთხიდან ამ მოწყობილობის მხოლოდ წინა გვერდზე მოხრილ ნაწილს ყოფს, თავად თითი სასხლეტზე უდევს და კედელს მოფარებული ვიდეოკამერის მონიტორით ეძებს სამიზნეს.



ასე გამოიყურება გვერდზე მოკეცილი Corner Shot-ი





საბჭოთა მოღუნულლულიანი ტყვიამფრქვევები მიწაში ჩაფლულ ბუნკერებში იყო დამონტაჟებული



კედელს ამოფარებული ებრაელი სპეცრაზმელი Corner Shot-ით უმიზნებს



მოღუნულლულიანი იარაღი ჩამოსაცმელი პერისკოპით, რომელსაც ვერმახტი იყენებდა



ასეთი ხერხით ისროდნენ გერმანული MP44 ტიპის ავტომატური შაშხანიდან სანგარში ჩამალული ჯარისკაცები

ებრაული Corner Shot-ი მართლაც გამოირჩევა ორიგინალობით და ალბათ ეფექტურიც იქნება შენობებში ბრძოლების დროს, მაგრამ იგი ამასთანავე, მნიშვნელოვანი ფასითაც „იკბინება“.

ამიტომაც ჩვენნაირი გაჭირვებული ქვეყნის კონსტრუქტორებმა უფრო მარტივ ხერხს მიაგნეს კუთხიდან სასროლად. 2000 წელს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში NATO-ს მიერ გამართულ გამოფენაზე, ქართულმა დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც ამ სტატიის ავტორიც გახლდათ, გაიტანეს ბოჭკოოპტიკური სამიზნე. ამ სამიზნის ერთი ბოლო ავტომატის სამიზნეზე მაგრდება, მეორე ბოლო კი — მსროლელის თვალთან. მსროლელი ავტომატს თავს ზემოთ წევს და ისვრის, ოღონდ აფხაზეთის ომისდროინდელი პრაქტიკისაგან განსხვავებით, დრეკადი ბოჭკოოპტიკური სამიზნე მსროლელს საშუალებას აძლევს დამიზნებით ისროლოს.

ასეთი ბოჭკოოპტიკური სამიზნეების დამზადება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს და არც ძალიან ძვირი ღირს, შესაბამისად, უპრიანი იქნებოდა ასეთი სამიზნეების შეძენა იმ ქართველი სპეცრაზმელებისთვის, ვისაც ხშირად მოუწევს მოწინააღმდეგესთან შეტაკება ქალაქის პირობებში, ბრძოლების დროს ახლო დისტანციაზე.

ირაკლი ალადაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ავიამზიდი „თბილისი“, რომელსაც მოსკოვმა სახელი დაუწუნა

80-იანი წლების შუახანებში ამერიკულმა სადაზვერვო თანამგზავრმა შავი ზღვის სანაპიროზე ქ. ნიკოლაევის გემთმშენებელი ქარხნის სტაპელებზე კოსმოსიდან უზარმაზარი მშენებარე ხომალდი დააფიქსირა. ეს იყო პირველი საბჭოთა, ნამდვილი (მისი გემბანიდან თვითმფრინავები გარბენით ფრინდებიან და არა ვერტიკალურად) ავიამზიდი. ცოტა ხანში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ვაშინგტონს გაუგო საბჭოთა გიგანტის ძალზე გასაიდუმლოებული სახელი — „თბილისი“. აშშ-ის ხელმძღვანელობა საგონებელში ჩავარდა, მსოფლიო ოკეანეების წყლებში მათ „ენტერპრაიზებსა“ და „ნიმიცებს“ შეიძლება „თბილისი“ დაპირისპირებოდა.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, 90-იანი წლებამდე ძლევამოსილ სუპერქვეყანას არც ერთი ავიამზიდი არ ჰყოლია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც სტალინმა კარგად დაინახა, თუ როგორ დაამარცხა ათასობით კილომეტრით დაშორებული იაპონია ამერიკამ სწორედ ავიამზიდების საშუალებით, თავადაც გასცა ბრძანება, საბჭოთა ავიამზიდების მშენებლობის შესახებ. მაგრამ ავიამზიდი ნავი არ არის, მის დაპროექტებას, აშენებასა და მწყობრში ჩაყენებას არანაკლებ 8-10 წელი სჭირდებოდა. სტალინი ველარ მოესწრო საბჭოთა ავიამზიდებს, მაგრამ ხრუშჩოვი რის ხრუშჩოვი იქნებოდა, რომ ჯინაზე თავისი დიდი მასწავლებლის ჩანაფიქრი არ შეეცვალა და 1959 წლისთვის ნიკიტას ბრძანებით, ყველა საბჭოთა მსხვილი სამხედრო ხომალდი ჯართად დაჭრეს.

სამაგიეროდ, ამავე პერიოდში „ცივი ომის“ მეორე სუბიექტმა — აშშ-მა შეიარაღებაში ზედიზედ ორ ათეულამდე ავიამზიდი ჩააყენა, მათ შორის ატომურძრავიანიც. სწორედ ამ ავიამზიდების საშუალებით ატარებდა ვაშინგტონი თავის ძალისმიერ პოლიტიკას შორეულ ქვეყნებში — კორეაში, ვიეტნამში და სხვ.

ავიამზიდის ყველაზე დიდი პლუსი ის არის, რომ უზარმაზარ „მცურავ აისბერგს“ ასეულამდე თვითმფრინავი და შვეულმფრენი შეუძლია მიაყენოს ნებისმიერ საზღვაო ქვეყნის სანაპიროს და მის ხელისუფლებას თავისი პოლიტიკური სვლები უკარნახოს.

მკითხველს რომ წარმოდგენა შეექმნას, განვმარტავთ — მსოფლიოში უდიდეს ამერიკულ ატომურ ავიამზიდთან „ეიზენჰაუერთან“ შედარებით, იგივე „ტიტანიკი“ საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. მისი წყალწყვა 91.490 ტ-ს აღწევს. თვითმფრინავების გემბანის ასაფრენი სიგრძე 333 მ-ია, სიგანე კი — 76 მ. ატომური ენერგეტიკული დანადგარის სიმძლავრე 260 ათას ც.ძ-ს აღწევს. ავიამზიდზე 90 ერთეული საბრძოლო თვითმფრინავი და შვეულმფრენია განთავსებული.

ჩვენი კატარღებით რას მივალთ ამერიკულ ავიამზიდებთან, თუმცა ქართულ ფლოტს ამერიკულ გიგანტთან შედარებით ერთი „უპირატესობა“ მაინც გააჩნია — 30 კვანძი/სთ სიჩქარით მოძრავ „ენტერპრაიზს“ ნამდვილად დაეწევიან ქართველი მესაზღვრეების „გრიფები“ (თუმცა საეჭვოა, უზარმაზარი ავიამზიდის 6.300-კაციანი ეკიპაჟიდან, რომელიმემ მაინც შეამჩნიოს ქართული სასაზღვრო კატარღები).

ამ „საზღვაო აისბერგების“ წინააღმდეგ საბრძოლველად მოსკოვს საკუთარი ავიამზიდები არ გააჩნდა. ამიტომაც ბრეჟნევის ხელისუფლებამ ვაშინგტონის „მთავარი არგუმენტის“ ჩასაძირავად ძირითადი აქცენტი მრავალდანიშნულების ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილ ატომურ წყალქვეშა ნავებზე გააკეთა. თუმცა როგორც აღმოჩნდა, ერთ ამერიკულ ავიამზიდს არანაკლებ 12-14 ფრთოსანი რაკეტა უნდა მოხვედროდა, რომ ჩაძირულიყო. მარტო წყალქვეშა ნავები ამერიკულ „მცურავ კუნძულებს“ ვერაფერს დააკლებდნენ დი მოსკოვი იძულებული გახდა, მაინც აეშენებინა საკუთარი ავიამზიდები.

70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში ნიკოლაევის გემთმშენებელმა ქარხანამ ოთხი საბჭოთა 1143 პროექტის ავიამატარებელი კრეისერი — „ნოვოროსიისკი“, „კიევი“, „მინსკი“ და „ბაქო“ დაამზადა. ესენი არ იყვნენ სრულფასოვანი ავიამზიდები, რადგან მათზე მხოლოდ ვერტიკალური აფრენა-დაფრენის თვითმფრინავები Як-38 და შვეულმფრენები ბაზირებდნენ. ცხელ დღეებში, მაღალი ტემპერატურის დროს Як-38-ს თავისი თავის აწევა უჭირდა, არათუ ბომბებისა და რაკეტების, ამიტომაც ავიამზიდის ძირითადი აზრი იკარგებოდა. საჭირო იყო ნამდვილი ავიამზიდი, რომელსაც დიდი ასაფრენი გემბანი ექნებოდა.

სწორედ ასეთ პირველ საბჭოთა ავიამზიდად იქცა „თბილისი“. თუმცა ნურავინ იფიქრებს, რომ გულუხვმა მოსკოვმა საქართველოს დედაქალაქის სახელის უკვდავყოფა მოინდომა მსოფლიო ოკეანის წყლებში. თავდაპირველად 1143.5 პროექტის ავიამზიდის მშენებლობა ნიკოლაევის ქარხნის სტაპელებზე 1982 წელს „რიგის“ სახელით დაიწყეს, ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ 1983 წელს მას „ლეონიდ ბრეჟნევი“ უწოდეს, მაგრამ გორბაჩოვმა 1985 წელს კიდევ ერთხელ შეუცვალა სახელი და „თბილისი“ დაარქვა (შეიძლება შევარდნაძის პატივსაცემადაც კი).

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არც ეს სახელი დარჩა საბოლოოდ. 1989 წელს თბილისში გამოჩენილი ტრანსპარანტების — „გაეთრიეთ, რუსო სამხედროებო, საქართველოდან“, საპასუხოდ, მოსკოვმა ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ავიამზიდს სახელი შეუცვალა და „თბილისის“ მაგივრად „საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი კუზნეცოვი“ უწოდა.

სხვათა შორის, არც „ადმირალ კუზნეცოვს“ უწოდებდნენ ავიამზიდს რუსები და მას მძიმე ავიამატარებელ კრეისერად მოიხსენიებდნენ. მოსკოვის ეს ეშმაკობა კი იმით იყო გამოწვეული, რომ იგი ნიკოლაევში, შავი ზღვის სანაპიროზე დამზადდა, ხოლო მონტრეს 1936 წლის კონვენციის თანახმად, აკრძალულია ავიამზიდების გასვლა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში.

ავიამზიდი „კუზნეცოვი“ 1994 წელს

შავი ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვაში გადაიყვანეს. მანამდე კი შავ ზღვაში მდგარ ავიამზიდზე დაფრენა-აფრენის ჩვევებს ხვეწდნენ მფრინავები. სხვათა შორის, ამ მფრინავების საავიაციო პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი თემურ აფაქიძე იყო — მოგვიანებით, რუსეთის გმირი, გენერალ-მაიორი აფაქიძე ჩრდილოეთის ზღვის ფლოტის შემადგენლობაში მყოფ ავიამზიდ „ადმირალ კუზნეცოვზე“ განლაგებული საავიაციო ნაწილის მეთაური გახდა, მაგრამ სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ ავიაკატასტროფაში დაიღუპა.



ავიამზიდის გემბანზე თვითმფრინავების დასმას რუს პილოტებს გენერალი აფაქიძე ასწავლიდა

„ადმირალ კუზნეცოვის“ ტაქტიკურ-ტექნიკური მაჩვენებლები საკმაოდ ჩამოუვარდება ამერიკული ატომური ავიამზიდებისას. მისი წყალწყვა მხოლოდ 55.000 ტონაა. ასაფრენი გემბანის სიგრძე 304 მ-ია, სიგანე 75 მ. საქვაბე ტურბო-ენერგეტიკული დანადგარის სიმძლავრე 200 ათას ც. ძ-ს უტოლდება, სიჩქარე 29 კვანძი/სთ-ს. სამაგიეროდ, საბჭოთა-რუსულ ავიამზიდს, ამერიკულებისგან განსხვავებით, შეიარაღებაში გააჩნია ფრთოსანი რაკეტების გასაშვები 12 დანადგარი, რომლებიც ძალიან ეშმაკურად, საფრენოსნო გემბანის ქვეშ, ვერტიკალურად არიან განთავსებულნი.

„ადმირალ კუზნეცოვზე“ თავდაპირველად ცდილობდნენ, სამი სახეობის თვითმფრინავები — გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი Су-27-ები, გამანადგურებელი МиГ-29-ები და მოიერიშე Су-25-ები განეთავსებინათ. საბოლოოდ გაიმარჯვა Су-27-ის მოდიფიკაციამ Су-33-მა. ამ თვითმფრინავს ფრთები ეკეცება, რათა ნაკლები ადგილი დაიკავოს ავიამზიდის გემბანზე. ამერიკული ავიამზიდებისგან განსხვავებით, „ადმირალ კუზნეცოვის“ საფრენოსნო გემბანიდან თვითმფრინავები კატაპულტის დახმარებით კი არა, სპეციალური ტრამპლინის საშუალებით ფრინდებიან. 1996 წელს ამ ავიამზიდმა ბარენცის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში საბრძოლო გადასვლა განახორციელა. მის გემბანზე იმყოფებოდა 15 გამანადგურებელი Су-33, ერთი სავარჯიშო ორადგილიანი Су-25УТГ მოიერიშე, წყალქვეშა ნავების აღმომჩენი 11 ცალი Ка-27 შვეულმფრენი და ერთი შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის შვეულმფრენი Ка-31. ამ სამხედრო-საზღვაო მანევრით მოსკოვს უნდოდა ეჩვენებინა ნატოსთვის, რომ ყოფილი იუგოსლავიის საქმეში ბელგრადის მხარდაჭერა საკუთარი ავიამზიდით რუსეთსაც შეუძლია. თუმცა ხმელთაშუა ზღვაში განთავსებული აშშ-ის მე-6 ფლოტისა და ავიამზიდ „ამერიკის“ (თავის 85 თვითმფრინავითა და შვეულმფრენით) ფონზე მოსკოვის სვლა უბრალო ბავშვურ კოკობზიკობად იქცა.

დღეს ავიამზიდი „ადმირალი კუზნეცოვი“ რუსეთის ერთადერთი ავიამზიდია. თუმცა 1985-88 წლებში ნიკოლაევში, შესაბამისად, ორი ავიამზიდის — 1143.6 პროექტის „ვარიაგისა“ და 1143.7 პროექტის ატომურძრავიანი „ულიანოვსკის“ შენებას შეუდგნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორი ავიამზიდის ნახევრად დამთავრებული ჩონჩხი უკრაინას დარჩა. პრეზიდენტმა კრავჩუკმა „ულიანოვსკი“ სასწრაფოდ დააჭრევინა და ჯართად გაყიდა.

საინტერესოა, აგრეთვე ოთხი ავიამატარებელი კრეისერის ბედი. 1993 წლისათვის „კიევს“ 18 წელი შეუსრულდა, „მინსკს“ — 16, ხოლო „ნოვოროსიისკს“ კი 12. ეს მაშინ, როდესაც ამერიკული ავიამზიდები 40-50 წელი დაცურავენ. მიუხედავად ასეთი ახალგაზრდული ასაკისა, სამივე ხომალდი ჯართად გაიყიდა. მიზეზად ის იქნა დასახელებული, რომ მათზე ბაზირებული ვერტიკალური აფრენა-დაფრენის თვითმფრინავები Як-38 შეიარაღებიდან მოიხსნა. თუმცა მოსკოვს არავინ უშლიდა, ეს გემები შვეულმფრენ მატარებლად გადაეკეთებინა. მაგრამ ეტყობა, გრაჩოვის გენერალიტეტს ფული შემოაკლდა, რასაც ხომალდები შეეწირა.

მეოთხე ავიამატარებელი კრეისერი „ბაქოც“ არ დაინდო კრემლმა და „უმადური“ აზერბაიჯანის ჯინაზე მას „ადმირალი გორშკოვი“ უწოდა. იგი გასულ წელს მოსკოვმა ინდოეთს მიჰყიდა.

ავიამზიდი, როგორც სახეობა, მე-20 საუკუნეში დაიბადა და განვითარდა. როგორც სამხედრო სპეციალისტებს მიაჩნიათ, 21-ე საუკუნეში რეალობად იქცევა სუპერავიამზიდები — „მცურავი კუნძულები“, რომლებზეც თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების გარდა, სადესანტო ტანკები, საზღვაო ხომალდები და შეიძლება კოსმოსური რაკეტებიც იყოს განთავსებული.

დღევანდელი ავიამზიდი, თავის გრანდიოზულობით ყველას თრგუნავს და ამასთანავე, აღაფრთოვანებს. მაგრამ რად გინდა? მათ ხომ შავ ზღვაში შემოსვლა ეკრძალებათ!

Су-33-ი ატლანტის ოკეანეში მოცურავე ყოფილი „თბილისის“, ამჟამად „ადმირალი კუზნეცოვის“ გემბანზე დასაჯდომად ემზადება



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ უყვართ ტყუილი მონადირეებსა და მეთევზეებს



**საქართველოში ოდითგანვე ნადირობდნენ. ნადირობა ქართველ მეფეთა საყვარელი საქმიანობა გახლდათ. ახლა კი ჩვენში ალბათ მალე ბრაკონიერებიც აღარ იქნებიან, რადგან მოსაპოვებელი აღარაფერი დარჩებათ. ამ პრობლემასა და ნამდვილ მონადირეთა ბუნებაზე თბილისის მონადირეთა და მეთევზეთა კლუბის პრეზიდენტი, ბატონი დავით ბოკუჩავა გვესაუბრება.**

— ნადირობის სეზონი თებერვლის ბოლოს იხურება. დღეს ჩვენთან ნადირობა კანონით ნებადართულია, ძირითადად, გადამფრენ ფრინველებზე — მწყერზე, გვრიტზე, ღალღაზე, ტყის ქათამზე, ჭოვილზე, იხვზე, ჩიბუხაზე, მელოტაზე... რაც შეეხება სხვა ნადირ-ფრინველს: ხოხობს, კაკაბს, გნოლს, შველს, დათვსა და ა.შ. მათზე ნადირობა ჯერჯერობით აკრძალულია. გადამფრენ ფრინველებზე ნადირობას დასავლეთ საქართველოში ვანიჭებ უპირატესობას. იქ ფრინველიც მეტია და ადგილობრივებსაც უფრო მეტი გამოცდილება აქვთ. საქართველოში უნდა შეიქმნას კეთილმოწყობილი, თანამედროვე სანადირო მეურნეობები.

ეს საქმე უკვე დაწყებულია, მაგრამ ბოლომდე უნდა მიყვანა. ჩვენი, მონადირეთა ასოციაციის 15-მდე პროექტია შეტანილი გარემოს დაცვის სამინისტროში და ალბათ, ეტაპობრივად მოხდება მათი დამტკიცება. თუ სანადირო მეურნეობები არ იქნება, მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობით ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ იმუშავებს. მეურნეობები მოემსახურებიან როგორც უცხოელ ტურისტებს, ისე ადგილობრივ მონადირეებს.

**— რა ტიპის მეურნეობები მოეწყობა?**

— ადგილ-მდებარეობის მიხედვით, შეიძლება იყოს მხოლოდ გარეულ ღორზე გათვლილი, ან კურდღელზე სანადიროდ ნახევრად სტეპური ტერიტორიები, მაგალითად, დედოფლისწყაროს მიდამოებში. შეიძლება შეირჩეს ტერიტორია, სადაც მომრავლდება გარეული იხვი და სანადირო ტრამპლინი მოეწყობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ მოვაშენებთ გარეული იხვს — დილისით გავუშვებთ და საღამოს ისევ თავის კვების ადგილზე დაბრუნდება. ამგვარად იქმნება გადაფრენის ტრასები, სადაც შეიძლება ნადირობის ორგანიზება. ეს ადრე ადვილი მოსაწყობი იყო, მაგრამ ახლა ძნელია, იმიტომ, რომ გართულდა ბრაკონიერებთან ბრძოლა. ეკოლოგიის პოლიცია — ეს უზარმაზარი რგოლი, რომელიც ბრაკონიერებთან ბრძოლას აკონტროლებდა, გაუქმდა. სანაცვლო ორგანო არ შექმნილა. ნაკრძალებისა და დაცული ზონების გარდა, სხვა ტერიტორიები არ კონტროლდება. საპატრულო სამსახურის დებულებაში წერია, რომ უფლება აქვთ დააკავონ ბრაკონიერი თუ მას აღმოაჩნდება მოპოვებული აკრძალული ნადირ-ფრინველი და მოპოვების აკრძალული საშუალებები მხოლოდ ტრასაზე. ბრაკონიერი ხომ ტრასის იქით უამრავ გზას მოძებნის.

**— მეთევზეობაში რა მდგომარეობაა და არის თუ არა**

*ერთი მონადირე ჰყვებოდა 100-კილოგრამიანი დათვი ზურგზე მოკიდებულმა ვატარეო. მერე ახლობელი ეხუმრებოდა, 70 კილოზე მეტი არ ვარ და თუ 100 ნაბიჯზე გადამიყვან, დავიჯერებო.*





დავით ბოკუჩავა



ჩვენ თვითონ მოვაშენებთ გარეული იხვს — დღისით გავუშვებთ და საღამოს ისევ თავის კვების ადგილზე დაბრუნდება

**თებერვალი თევზაობის სეზონი?**

— თევზი თებერვლის ბოლოსა და მარტ-აპრილში უფრო მოდის. ზაფხულში თევზის გამრავლების პერიოდია და შეგნებული კაცი ამ დროს თევზაობას უნდა მოერიდოს. მტკვარში ორაგული, ფაქტობრივად, გაქრა. პირადად მე ბოლოს 1981 წელს ვნახე. ჭანარი ძალიან ცოტაა, მურწაც. ადრე ბორჯომის მიდამოებში მდინარეში ბადით ორი კაცი ჩავდიოდით და ორ საათში 10-12 კილო თევზს ვიჭერდით. ამას წინათ კი ერთიც ვერ დავიჭირეთ. აღარ არის თევზი. ე.წ. დენის აპარატით გაანადგურეს. ანკესით საქართველოს მთელმა მოსახლეობამ რომ ითევზაოს, მდინარეს არაფერი დააკლდება, მაგრამ დენის აპარატით, საწამლავით, დინამიტებითა და მდინარის „გადაგდებით" თევზი ნადგურდება. ექსკავატორით კალაპოტს უცვლიან, გვერდზე „აგდებენ" და დამშრალი ფსკერიდან უამრავ თევზს იღებენ. იქ მარტო თევზი ხომ არ არის, ისპობა სიცოცხლის ათასნაირი სხვა ფორმაც.

— **რით გიზიდავთ ნადირობა?**

— საინტერესო სპორტია. ადამიანებს ერთმანეთთან დაახლოება-დამეგობრების საუკეთესო საშუალებაა. იხვზე ნადირობისას სიცივეში, ქარიშხალში დგახარ საათობით და ელოდები, როდის მოვა ფრინველი. ამ დროს შენს გვერდითაა მეგობარი, რომელიც ან წყალს მოგაწვდის ან სიგარეტს. იქ, როგორც ბრძოლაში, დაზვერვაში, ისე გამოიცდება კაცი. ერთხელ ამ ქარბუქსა და ყინვაში, საღამოს, ტბაზე ყინული ჩაგვიტყდა და დავსველდით. მონადირეების ოთახამდე კილომეტრ-ნახევარი იყო, ეს გზა სულ სირბილით გავიარეთ. ასეთ შემთხვევაში მანქანა თუ გყავს ახლოს, იმას უნდა შეაფარო თავი და სველი ტანსაცმელი აუცილებლად გაიხადო. ან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე სირბილით მიხვიდე, თორემ გაიყინები. ცეცხლს ვერ დაანთებ ქარში. ადრე მონადირეთა კავშირში რომ შესულიყავი, ერთი წელი სათანადოდ უნდა მომზადებულიყავი იარაღის ხმარება-მოვლაში. სტენდზე სროლაში გამოცდებს აბარებდნენ, უსაფრთხოების ზომებს სწავლობდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ მიგიღებდნენ. დღეს ამას არსად ითხოვენ. მაშინდელ მილიციელსაც აუცილებლად უნდა ჰქონოდა მონადირის ბილეთი. ძალიან იმატა უბედურმა შემთხვევებმა თოფით სარგებლობისას გაუფრთხილებლობისა და უცოდინარობის გამო. ბუნებაში გასვლამდე უნდა მოემზადო, რომ მეგობარს არ მოახვედრო.

ერთ ახლობელ მონადირეს ძალიან უყვარდა სოროს ძაღლებით (ტაქსა, ფოქსტერიერი...) ნადირობა. ერთხელ ქორწილში წავიდა და ძაღლიც თან წაიყვანა. სანამ ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა, გზად მელიის სორო შეხვდა. ასეთი სორო შეიძლება 20-30 მეტრსაც კი აღწევდეს. შეუშვა ძაღლი, დაჯდა და დაუწყო ლოდინი. მეორე დილას, როგორც იქნა, გამოაგდო თავისი ძაღლი და მელა. ქორწილს კი უკვე ჩაევლო და ჩვენი მონადირეც უკან, სახლში გაბრუნდა. მსგავსი შემთხვევა ჩვენც გვქონდა. თელავისკენ მივდიოდით სანადიროდ, შევუშვით ძაღლი მაჩვის სოროში. გავიდა 12 საათი, ის კი არ გამოდიოდა. შიგნით ერთი ამბავი იყო. დაახლოებით 15 საათის შემდეგ ბულდოზერი მივიყვანეთ, გამოვათხრევინეთ ორმო და ისე ამოვიყვანეთ ორივე.

— **რატომ იტყუებიან მონადირეები და მეთევზეები?**

— ეს ქართული ხასიათიდან მოდის. მონადირე ტრაბახობს იმით, რომ სხვაზე ძლიერია, მაგარია, უკეთესად ისვრის. ზოგი იმაზეც კი მიდის, რომ ფოტომონტაჟის საშუალებით გაკეთებული სურათებით იწონებს თავს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მონადირის ტყუილი არავის ვნებს, ბოროტებას არ ემსახურება. ამით უბრალოდ კარგ ხასიათზე დაგაყენებს და გაგაცინებს. ერთხელ გურიიდან მონადირე ნათესავი ჩამომივიდა. არიქა, ჩვენში დათვია და ინგლისური სეტერი მაყიდინეო. წავიყვანე ერთ ძველ გამოცდილ მონადირესთან, რომელსაც 11 ლეკვი ჰყავდა. როგორც ყველა მონადირე, ორივე კარგი მოსაუბრე იყო და შეყვნენ ლაპარაკს. მასპინძელმა გაიხსენა, აზერბაიჯანში რომ დავდიოდი — 750, 800 იხვს თითო ნადირობაზე ვკლავდიო. ამანაც გაკვირვების მაგივრად უპასუხა: მაგდენს არა, მარა 350, 400 ცალს ქე ვკლავ ჩვენთან ჯაპანაზეო. არადა, ყველაზე პატარა იხვი კილოზე მეტს იწონის, თანაც ჭაობიანი ადგილია, შენი თავის გამოყვანაც კი გაგიჭირდება, საფლობია ისეთი. ამ ამბის მერე ერთგან 3 გარეული ბატი და 7 თუ 8 იხვი მოვინადირე. ოთხი საათი მოვუნდი ნახევარ კილომეტრზე მათ ნაწილ-ნაწილ გამოტანას. გულში მეცინებოდა, როგორ შეძლო იმ დალოცვილმა 800 იხვის ჭაობიდან გამოტანა-მეთქი. ერთი ყვებოდა 100-კილოგრამიანი დათვი ზურგზე მოკიდებულმა ვატარეო. თან ისეთ ადგილას, სადაც მთის ცივი მდინარე დაახლოებით 25-ჯერ უნდა გადაკვეთო. თითქოს დათვი საკმარისი არ იყო, სხვები, ვინც თან მახლდნენ, დაღლილები იყვნენ და ისინიც რიგრიგობით გადამყავდაო. მერე ახლობელი ეხუმრებოდა, 70 კილოზე მეტი არ ვარ და თუ 100 ნაბიჯზე გადამიყვან, დავიჯერებო.

წინა სანადირო განწყობა განსაკუთრებულია. არ მახსოვს, გამგზავრების წინა ღამეს მძინებოდეს. ეს განწყობა გადამდებია, ძაღლიც გრძნობს, რომ მიდიხარ. მიზანი მაინცდამაინც ბევრის მონადირება არ არის. მთავარია, ბუნებაში გაიარო, თოფი ისროლო, მუხლი გაშალო, მერე კი მეგობრებთან ერთად დაჯდე და ერთი ჭიქით დაილოცო. ნადირობა ოდითგანვე ქართული ჯარის წვრთნის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო. მთავარია, ჩვენი ახალგაზრდობა ფიზიკურად ჯანსალი აღვზარდოთ და ხმაურიანი ქალაქის დამღლელ და ნევროზულ სიტუაციას დროებით მაინც გავაცილოთ.

ლევან ებრალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა








# მთიელის გმირული გული

## ბრიტანული იარაღის სახელი ყოველთვის განთქმული იყო, მაგრამ „დიქსონი" რაღაც განსაკუთრებულია...

უცნაური ხალხია ბრიტანეთის ჩრდილოეთ კუნძულებზე მცხოვრები, ძველი კელტების შთამომავლები. მათ შესახებ მოგვითხრობენ ძველი საგმირო ლეგენდები და თქმულებები. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ევროპელთათვის უცნაურ ქვედაბოლოს ატარებენ, ეს ფაქტი ოდნავადაც არ აფერმკრთალებს ჩვენს თვალში შოტლანდიელი ბიჭების – კეთილშობილი მთიელების: შონ კონორის, ქრისტოფერ ლამბერტის, მელ გიბსონის ვაჟკაცურ ღირსებებს. თუმცა შოტლანდიის დიდება მხოლოდ ჰოლივუდის პავილიონებში არ იჭედებოდა. გავიხსენოთ თუნდაც სერ არტურ კონან დოილი, ანდა პროფესიონალ მონადირეთა შორის არანაკლებ ცნობილი ჯონ ჰანტეირი.




შოტლანდიელებს თამამად შეუძლიათ იამაყონ თავიანთი მეიარაღეებით. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მეცხრამეტე საუკუნეში დიქსონის მიერ შექმნილი დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმი, რომელმაც თითქმის უცვლელად მოაღწია ჩვენამდე და ყოველგვარი მნიშვნელოვანი გადაკეთების გარეშე გამოიყენება თანამედროვე სანადირო იარაღში.

დღეისთვის დიქსონის ორლულიანი სანადირო თოფებისთვის „სოტბის" და „კრისტის" აუქციონებზე ათეულ ათასობით გირვანქა სტერლინგს იხდიან. რა თქმა უნდა, ასეთ დიდ დაფასებას ვერ წარმოიდგენდა საოჯახო დინასტიის დამაარსებელი ჯონ დიქსონი, როცა მან თავისი კარიერის დასაწყისში ქალაქ ედინბურგში ერთ-ერთ საიარაღო სახელოსნოს ოსტატის დამხმარედ დაიწყო მუშაობა.

ედინბურგი ძველთაგანვე ითვლებოდა ბრიტანეთის საიარაღო მრეწველობის ცენტრად.

„დიქსონს" მრავალი წელი დასჭირდა, რომ მისი პროდუქცია (მარკა) ხარისხის უტყუარ გარანტიად ქცეულიყო.

თავიდან მისი სახელოსნო „დიქსონი და შვილი" სხვისი პატენტებით მუშაობდა. თავისი პირველი ჩამკეტი ბერკეტითა და დამშვები კავით აღჭურვილი თოფი დიქსონებმა 1859 წელს შექმნეს. ექვსი წლის შემდეგ კი გამოჩნდა ცენტრალური დარტყმის ორლულიანი თოფები, რომელთაც ავტომატურად ჩამრაზავი საკეტი ჰქონდა (ცნობილ ჯოზეფ ბრაზეს პატენტი).

1866 წელს კი მამა-შვილმა დიქსონებმა გამოუშვეს თოფები, რომელთაც ხორსლის მიერ დაპატენტებული ჩამრაზავი საკეტები ჰქონდა. 1857 წელს ოსტატებს ბედმა უჩვეულო მუშტარი მოუვლინა – ცნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შოტლანდიური დინასტიის წარმომადგენელი, დიდგვაროვანი ჩარლზ გორდონი, რომელმაც მათ 300-ზე მეტი თოფი შეუკვეთა! ამასთან ერთად, მთელი 30 წლის განმავლობაში ექსცენტრულ არისტოკრატს არც ერთხელ ერთმანეთის მსგავსი იარაღი არ შეუძენია, დიქსონები იძულებულნი იყვნენ, მუდმივად რაღაც ახალი კონსტრუქცია გამოეგონებინათ.

ამის გამო ედინბურგელმა ოსტატებმა ერთი ხელის მოსმით წაშალეს განსხვავება გვერდით ფარებზე ჩამკეტებს „საიდ ლოკსა“ (side locks) და ჩამკეტ ყუთებს „ბოქს ლოქს“ შორის, რითაც ამ ორი მექანიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის კამათს სამუდამოდ მოუღეს ბოლო. 1879 წელს ჯეიმს მაკნოტონმა დამშვებ-დამრტყმელი მექანიზმის ორიგინალური სისტემა დააპატენტა, რომელიც მთლიანად განცალკევებულ ქვემოთა კლიტის საპირეში თავსდებოდა. ზუსტად ეს კონსტრუქციული მიგნება დაუდო საფუძვლად დიქსონ უმცროსმა თავის 1880 წელს შექმნილ დამშვებ-დამცემი მექანიზმის შესამართ (ფეხზე შემაყენებელ) სისტემას „რაუნდ ეკშნ“-ი ხუთი წლის შემდეგ მან ეჟექტორული მექანიზმი დააპატენტა, რომლის ჩახმახების შემართვა თოფის დაკეტვის დროს ხდებოდა. ასე დაიწყო თანამედროვე გლუვლულიანი იარაღის სწორუპოვარი ხარისხის, საიმედოობის, სინატიფისა და დღეგრძელობის ეპოქა.

დიქსონის სისტემა იმდენად უბრალო და ეფექტური გამოდგა, რომ ამ გამოგონების წყალობით კომპანიამ უცებ გაითქვა სახელი. მეოცე საუკუნის დასაწყისში დიქსონის 12-კალიბრიანი ორლულიანი თოფი, რომლის ლულათა სიგრძე 70 სმ უდრიდა, მხოლოდ 2,7 კილოგრამს იწონიდა (თანამედროვე „დიქსონების“ წონა ახალი მასალების გამოყენებამ კიდევ 200 გრამით შეამცირა). დიქსონები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთი ნახელავი იარაღის მექანიზმის ბუდის, კლიტეთა და ეჟექტორთა სიმტკიცესა და გამძლეობაში, რომ თოფებს ოცი წლის გარანტიას აძლევდნენ.

დიქსონის იარაღისთვის ერთი თვალის შევლებაც კმარა იმის მისახვედრად, რომ ჩვენ წინ განუმეორებელი ქმნილებაა. დამშვებ-დამცემი მექანიზმი „რაუნდ ეკშნ“-ი მოთავსებულია მომრგვალებულ ბუდეში „რაუნდ ბოდ“-ში, რომელიც მშვენივრადაა შერწყმული კონდახის სახელურის მსუბუქ ხაზებთან. დაუჯერებელია, რომ ასე მცირე ზომის კოლოფში ესოდენ მძლავრი მექანიზმია მოთავსებული. ამის გაკეთება მხოლოდ დიდოსტატს შეეძლო.

პირველი, რომელმაც გადაიღო დიქსონის მექანიზმის ბუდე „რაუნდ ბოდი,“ იყო ფრანგული ფირმა „მონიუფრანსი.“ მან ეს ბუდე 1884 წელს თავის უჩახმახო „იდეალში“ გამოიყენა. დღეისთვის კი თოფებს, რომლებსაც მომრგვალებული მექანიზმის ბუდეები აქვთ, ათეულობით ფირმა უშვებს. მათ შორის არიან სახელგანთქმული „უილიამს პაუელი“, „თომას ბოსი და კო“, „კოგსველ და პარისონ“, „ლებო კურალი“ და „ფამარსი“.

„რაუნდ ბოდის“ ხუნდი, „რაუნდ ეკშნის“ მექანიზმთან ერთად გამოყენებულია დიქსონის სამლულიან თოფში, რომელიც საიარაღო ხელოვნების ბრწყინვალე შედევრს წარმოადგენს. გლუვლულიანი სამეულის კონსტრუქციის საპატენტო განცხადება დიქსონ უმცროსმა 1882 წლის 23 თებერვალს გაგზავნა. მალე თოფებიც გამოჩნდა.

სამივე ლულა ჰორიზონტალურ სიბრტყეშია განლაგებული, სამლულიანები გარეგნულად ფრიად დახვეწილად და ჰაეროვნად გამოიყურებოდნენ. მშვენივრად იყვნენ დაბალანსებულნი (გაწონასწორებულნი) და ფრინველზე სანადიროდ ერთობ მოხერხებულნი. თითოეულ ლულას თავისი დამრტყმელი სასხლეტი კავი ჰქონდა. ორი წინა სასხლეტი დამაგრებული იყო სახსარზე და მსუბუქად იწეოდა წინ, თითის ჩახმახზე გამოკვრის შუალედში.

ყველა სამლულიანი თოფი 16 კალიბრისა იყო, მათ საკეტის გვერდულა ბერკეტი ჰქონდა, რომელიც რბილად მუშაობდა და თოფის გადახსნისას ძალის არავითარ დაძაბვას არ მოითხოვდა.

ლულათა სიმჭიდროვის ხარისხი მარჯვნიდან მარცხნივ იზრდებოდა. პირველი – ცილინდრი, შუა – ნახევრად ჩოკი, მარცხენა – ჩოკი. არავინ იცის დიქსონის სახელოსნომ რატომ გამოუშვა მხოლოდ თერთმეტი ცალი სამლულიანი თოფი – იქნებ ვინმეს იგი შედარებით მძიმე მოეჩვენა, თუმცა მხოლოდ 3.2 კილოგრამს იწონიდა. ცნობილია, რომ ერთი მათგანი რუსეთის იმპერიაში გაიყიდა, მაგრამ ვინ შეიძინა იგი და დღემდე შემონახულია თუ არა, უცნობია. თუმცა რევოლუციებმა, საბჭოთა სისტემამ, არაერთი რარიტეტი გაანადგურა დაუნდობლად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ დიქსონის თოფიც მათ რიცხვში მოხვდა.

1995 წელს დიქსონის თერთმეტი სამლულიანი თოფიდან ერთი, რომლის ნომერიც 3732 იყო, „კრისტის“ ლონდონის აუქციონზე 24 ათას გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.

დიქსონების გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი საირაღო საქმეს 1923 წელს ჩამოშორდა. ფირმა „ჯონ დიქსონი და შვილი“ გადაკეთდა შეზღუდული პასუხისმგებლობის სააქციო საზოგადოებად.

1960 წელს კომპანიამ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა რამდენიმე შოტლანდიური ფირმა, მათ შორის: „მორტიმერი“, „ჯეიმს მაკ ნოტონი“, „ალექსანდრ ჰენრი“ და „ალექს მარტინი“.

დღეისთვის John Dickson & Son LTD საკმაოდ სოლიდური საწარმოა, რომელიც არა მარტო იარაღით, არამედ სხვა სამონადირეო აღჭურვილობითაც ვაჭრობს. საწარმო სახელოსნოები ძველებურად ედინბურგში ფრედერიკ სტრიტზეა განლაგებული, სადაც როგორც ადრე, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს თოფებს ხელით აკეთებენ.

კლიენტებს, რომლებიც საკმაოდ შეძლებული ხალხია, არაერთგზის უწევთ ედინბურგში ჩასვლა, მაგრამ მეიარაღეებს არავინ აჩქარებთ. საჭიროა თოფის მექანიზმის ნაწილები და ცალკეული დეტალები ერთმანეთს მიკრონის სიზუსტით მოერგოს. ფასიც შესაბამისია – ერთი ორლულიანი თოფი დაახლოებით 20 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს.

თორმეტი წლის წინ, როცა ძველი, მომრგვალებულბუდიანი „რაუნდ ეკშენ“ მექანიზმიანი თოფების წარმოება განაახლეს, ედინბურგელი მეიარაღენი შეეცადნენ, გაეუმჯობესებინათ 100 წლის წინ დანერგილი მექანიზმი. მაგრამ საკითხის ძირფესვიანად შესწავლის შედეგად გამოიტანეს დასკვნა, რომ თავდაპირველი სქემისგან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში სისტემის მუშაობა გაუმჯობესების მაგივრად გაუარესდება და მსგავს ექსპერიმენტებს არავითარი სარგებლის მოტანა არ შეუძლიათ.

დიქსონის სანადირო თოფები სამართლიანად ითვლება შოტლანდიის ხარისხის ნიშნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოში გავრცელებული სანადირო ფრინველები, მათზე ნადირობის ხერხები და საშუალებები







**გაგრძელება. სანადირო ცხოველების ჩამონათვალი იხ. „არსენალი" №1**

ხოხობი. ამ ბოლო წლებში ყველგან მნიშვნელოვნად შემცირდა. ამის მიზეზია ბრაკონიერობა, ჭალებში მისი თავშესაფარი ბუჩქნარების ამოძირკვა, ამ ადგილების საძოვრად და სახნავ-სათესად გამოყენება და იქ მოშხამული თესლის დათესვა. არ ითვალისწინებენ, რომ ხოხობს უდიდესი სარგებლობა მოაქვს მავნე მწერებისა და ლოკოკინების განადგურებით. ამასთან, საუცხოო სპორტული სანადიროა, აქვს გემრიელი ხორცი და ლამაზი ბუმბული. მასზე მეძებარი ძაღლით ნადირობენ. ესვრიან 5,6,7 ნომერ საფანტს. ამჟამად ხოხობზე ნადირობა აკრძალულია.

დურაჯი. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ივრის ჭალაში, იქაც ერთეულების სახით ბინადრობს. მისი საბუდარი ჩალიანი ეკალ-ბარდებია. იკვებება მცენარეთა თესლებით, მწერებით, ლოკოკინებით, ბუდეს იკეთებს მიწაზე, დებს 7-9-მდე კვერცხს. კრუხად დედალი ზის, წიწილების აღზრდაზე ორივე მშობელი ზრუნავს. ის ხოხობზე ნაკლებად ფრთხილია, უხმაუროდ ამოფრინდება, თავს დაგანახებს, იქვე ჩაჯდება და გაირინდება. ასეთი ქცევა ღუპავს ამ ფრინველს. მასზე ძაღლითა და უძაღლოდ ნადირობენ. ესვრიან 6 ან 7 ნომერ საფანტს. ამჟამად დურაჯზე ნადირობა აკრძალულია, შეტანილია წითელ წიგნში.

კაკაბი. ბინადრობს აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარში, მშრალ ქვა-ღორღიან კლდიან ადგილებში – უდაბნოში, შირაქში, ყაზბეგსა და ვარძიის შემოგარენში. ბუდობს მიწაზე ბუჩქებისა და ბალახების ძირებში, დებს 9-20 კვერცხს. ბარტყები 26 დღეში იჩეკებიან. მათ აღზრდაზე ორივე მშობელი ზრუნავს.

კაკაბი საუკეთესო სპორტული სანადირო ობიექტია. მასზე ნადირობენ როგორც ძაღლით, ისე უძაღლოდ, ესვრიან 6-7 ნომერ საფანტს. აქვს გემრიელი, რბილი ხორცი.

გნოლი. ამჟამად უკიდურესად შემცირებულია. ამის მიზეზია ბრაკონიერობა და მოშხამული თესლის თესვა. იგი, ძირითადად, კულტურული ლანდშაფტის მოსაზღვრე ბუჩქნარებში ბინადრობს, იკვებება თესლით, მავნე მწერებით. ადგილსამყოფელს არ იცვლის. ერთხელ ამორჩეულ ღელეებში და წარაფებში ბუდობს, ბუდეს მიწაზე იკეთებს, დებს 8-12-მდე კვერცხს და 24 დღეში ჩეკავს წიწილებს. მათ აღზრდაზე ორივე მშობელი ზრუნავს.

გნოლზე ნადირობა იმავე წესით შეიძლება, როგორც კაკაბზე, მაგრამ მასზე ნადირობა დიდი ხანია, აკრძალულია.

მწყერი. გადამფრენია, მაგრამ ჩვენთან ბუდობს. ბუდებს ყანებსა და სათიბებში იკეთებს, 8-15 კვერცხამდე დებს და წიწილებს 18 დღეში ჩეკავს. მათ აღზრდაში მამალი არ მონაწილეობს. პატარები თესლებითა და მწერებით იკვებებიან და მალე იზრდებიან. ამიტომ მწყერი ზოგჯერ ორჯერ გამოჩეკავს

ასწრებს. ამით ერთ-ერთი პერსპექტიული სანადირო ობიექტია. მასზე ნადირობენ როგორც ძაღლით, ისე უძაღლოდ, ესვრიან წვრილ – 9,10,11,12 ნომერ საფანტს. მოიპოვებენ სანადირო ფრინველებითაც. მწყერის პოპულაციას განსაკუთრებით ვნებს ღამით სინათლით ნადირობა, რაც არასპორტულია და ბარბაროსობაა.

**კავკასიური როჭო.** კავკასიის ენდემია. ბინადრობს სუბალპურსა და ალპურ ზონებში. მიწაზე ბალახებში იკეთებს ბუდეს, დებს 8-12 კვერცხს და 28 დღის შემდეგ ჩეკავს წიწილებს.

როჭოზე ნადირობენ შემოდგომასა და ზამთარში, ბრაკონიერები გაზაფხულზე უფრო მარჯვობენ, როცა ბალახი ჩამკვდარია და ხელს არ უშლის. დეკიანებში ნადირობენ ძაღლით, ღია ადგილებში უძაღლოდ, მცირე ყალიბიანი შაშხანით, მას ღუპავს სიბრიყვე, თუ ტყვია არ მოხვდა, ადგილიდან არ იძვრის. მის მოსაპოვებლად საჭიროა 4-5 ნომერი საფანტი.

ამჟამად როჭოზე ნადირობა აკრძალულია. შეტანილია წითელ წიგნში.

**შურთხი.** მუდმივად ალპურსა და სუბალპურ ზონაშია, მხოლოდ ზამთარში ჩამოდის სუბალპურ ტყისპირებში. ბინადრობს მიუდგომელ კლდიან მაღალ ადგილებში, საიდანაც გარემო კარგად მოჩანს. მის მხედველობას საფრთხე არ გამოეპარება, საშიშროების დროს თავისებური კრიახით უსტვენს და სხვასაც აფრთხილებს. ის თითქოს ჯიხვების მწყემსადაა მოვლენილი.

შურთხი მოფარებით, ქვის ძირებსა და ბალახებში იკეთებს ბუდეს და ჯერ კიდევ თოვლის დროს, აპრილში იწყებს კვერცხის დებას. 10-მდე კვერცხს დებს და წიწილებს 28 დღეში ჩეკავს.

შურთხზე ნადირობენ უძაღლოდ, მსხვილი (1,0,2/0) საფანტითა და შორს მსროლელი შაშხანით ან სანადირო კარაბინით – „ბასი“.

**ქედანი.** მტრედისნაირებში ყველაზე დიდია. ბინადრობს ტყეში. საკვებად გამოდის კულტურულ ლანდშაფტში. იკვებება მცენარეთა თესლებით, ნაყოფებითა და ფოთლებით. ეტანება მლაშე გამონაჟონებს. ბინადრობს გუნდების სახით. ბუდეს იკეთებს ხეზე, დებს ორ კვერცხს, კრუხად ორივე მშობელი ზის და 15 დღეში ჩეკავენ ბარტყებს.

ქედანზე ნადირობენ 3-5 ნომერი საფანტით და მცირე ყალიბიანი შაშხანით.

აქ ჩამოთვლილთა გარდა, საქართველოში მოიპოვება სხვა სანადირო ფრინველებიც. განსაკუთრებით წყალში მცურავი და გადამფრენი ფრინველები: სავათი, სარსარაკი, გედი, ბატი, ბოლოსადგისა იხვი, რუხი იხვი, გარეული იხვი, კოკორინა იხვი, მელოტა იხვინჯა და სხვა.

ეს ნადირ-ფრინველი საქართველოში განაწილებულია სამ მილიონამდე ჰექტარ სავარგულში. ამ ტერიტორიაზე არსებული ნაკრძალები, აღკვეთილები და სამონადირეო მეურნეობები ისე არ ფუნქციონირებენ, როგორც ამ საქმეს ესაჭიროება. ნადირის სიმწირის მიზეზებიც ამითაა გამოწვეული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 21-მდე ნაკრძალს, ათეულობით სამონადირეო მეურნეობას და აღკვეთილს ითვლიან, სანადირო ცხოველთა დაცვა-შენარჩუნების საქმეში, შეიძლება აღინიშნოს: ლაგოდეხის, ბაწარის, ბორჯომის, ლიახვის, კინტრიშის ნაკრძალებისა და გარდაბნის სატყეო-სამონადირეო მეურნეობის ღვაწლი. ამ საქმეში ჩვენს ახალგაზრდობას დიდი გარჯა და შრომა დასჭირდება, რისთვისაც საჭიროა ცხოველთა რიცხობრივი მატებისა და კლების ძირითადი მაჩვენებლების ცოდნა.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მირაჟი“ პირაჟიდან გამოდის



ლეგენდარული ფრანგული გამანადგურებლები იარაღის მსოფლიო ბაზარზე ადგილს ამერიკელ და რუს კონკურენტებს ეცილებიან

***40 წლის წინ ახლო აღმოსავლეთის ცაში საჰაერო ბრძოლების მთელი კარუსელი ტრიალებდა — ისრაელის საბრძოლო ავიაცია ეგვიპტელებისა თუ სირიელების „მიგების“ შემოტევებს იგერიებდა და შეტევაზეც ხშირად გადადიოდა...***

სწორედ იმ ხანებში საჰაერო ბრძოლებში ერთმანეთს პირველად დაუპირისპირდნენ საბჭოთა „მიგ“-ები და ფრანგული „მირაჟები“. სუეცის არხის თავზე ებრაელების ფრანგული Mirage III-ები ეგვიპტელების იმ საბჭოთა МиГ-21-ებსა და МиГ-21УБ-ებს ებრძოდნენ, რომელთა ნაწილი სწორედ თბილისის საავიაციო ქარხანაში იყო აწყობილი (ისე, ეს საქართველოსა და საფრანგეთში აწყობილი საბრძოლო თვითმფრინავების ისტორიების პირველი დაკავშირება როდი გახლდათ — 1945 წელს სტალინმა გერმანელი ასების წინააღმდეგ წარმატებით მებრძოლი ფრანგების ესკადრილიას „ნორმანდია-ნემანს“ 40 ცალი Як-3 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი უსაჩუქრა. ამ „იაკ“-ებით ფრანგები თითქმის 1955 წლამდე დაფრინავდნენ, ხოლო — „იაკ“-ის ერთი ეგზემპლარი დღესაც გამოფენილია ლე ბურჟეში, საფრანგეთის ავიაკოსმოსურ მუზეუმში და საგულისხმოა, რომ ეს „იაკ“-იც თბილისშია აწყობილი).

მსოფლიომ ამ საჰაერო ბრძოლების დროს გაიცნო სახელი „მირაჟი“, რომელიც წლების განმავლობაში ასოცირდებოდა თავის კლასში საუკეთესო რეაქტიულ გამანადგურებლებთან, რომელიც ამასთანავე ტოლს არ უდებდა ბევრად უფრო ძვირ ამერიკულ „ფანტომებსა“ და საბჭოთა „მიგ“-ებს.

„მირაჟის“ სახელით ცნობილი პირველი ასეთი გამანადგურებელი „Mirage III“ პირველად 1956 წელს გაფრინდა და იგი 1989 წლამდე იწარმოებოდა სხვადასხვა მოდიფიკაციის სახით. სულ გამოშვებული იქნა 1422 „მირაჟი“, რომლებიც მსოფლიოს 20 ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში იყო.

1969 წლიდან ცნობილმა ფრანგულმა საავიაციო ფირმამ Dassaut-Breguet-მა ცაში ახალი Mirage F.1-იააფრინა. ახალ „მირაჟს“ ძველისგან განსხვავებით, სამკუთხა კი არა, ჩვეულებრივ ისრისებრი ფრთები ჰქონდა და 11 კმ-ის სიმაღლეზე 2260 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა. მისი სერიული წარმოება 1978-90 წწ-ში მიმდინარეობდა და გამოშვებული იქნა 770 ცალი სხვადასხვა მოდიფიკაციის „მირაჟი“. სხვათა შორის, სადამ ჰუსეინს სწორედ ეს Mirage F.1 ჰქონდა დიდი რაოდენობით შესყიდული და მას ინტენსიურად იყენებდა ირანთან ომში. 1991 წლის დასაწყისში „უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციის დროს მართლაც რომ არაორდინარული სიტუაცია შეიქმნა, რადგან ჰუსეინის Mirage F.1-ებს კოალიციური ძალებიდან, ფრანგების ასეთივე „მირაჟები“ დაუპირისპირდნენ და საჰაერო ბრძოლის დროს ძნელი გასაგები იყო, ვინ ვის გამანადგურებელს ესროდა. მაშინ გავრცელდა დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ ვაშინგტონის ზეწოლით პარიზმა „მირაჟების“ მწარმოებელ ფირმას დედამიწის ხელოვნური თანამგზავრიდან გადაცემული სიგნალებით გამოართვევინა ჰუსეინის „მირაჟების“ რადიოელექტრონული მოწყობილობა და ისინი არაბრძოლისუნარიანი გახადა.

1963-68 წწ-ებში საფრანგეთმა შეიარაღებაში მიიღო 62 ცალი ორძრავიანი სტრატეგიული ბომბდამშენი Mirage IV. იგი იმით

**2002 წლის 4-5 ივნისს თბილისს 6-მა ფრანგულმა „მირაჟ 2000“-მა ყირგიზეთის მიმართულებით გადაუფრინა. შემდეგ მათ ავღანეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებშიც მიიღეს მონაწილეობა...**





პილოტის კაბინა

**ჩვენი დოსიე:** ერთადგილიანი Mirage 2000C-ს ასაფრენი მასა 17 ტ-ს აღწევს, ცარიელის კი 7,5 ტ-ს არ აღემატება. გამანადგურებელს ერთი, 9,7 ტ გამწევი სიმძლავრის ტურბორეაქტიული ძრავა უყენია, რომელიც მას 10 კმ-ის სიმაღლეზე მაქსიმალური — 2330 კმ/სთ სიჩქარით ფრენის საშუალებას ანიჭებს. ფრენის მაქსიმალური „ჭერი" 17,7კმ-ს აღწევს. „მირაჟს" 6,3 ტონა საერთო წონის ბომბებისა და რაკეტების წაღება შეუძლია.



MIRAGE F1



MIRAGE III

განსხვავდებოდა სხვა „მირაჟებისგან", რომ შეეძლო ეტარებინა 60 კტ ტროტილის აფეთქების ეკვივალენტი ატომური ბომბი. ეს ბომბდამშენი „მირაჟები", ძირითადად, საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილზე, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაზე იყვნენ „დამიზნებულნი".

და აი, მივუახლოვდით, ჩვენი სტატიის მთავარ გმირს — Mirage 2000-ს. მის მიერ შესრულებული ძალზე ეფექტური საჰაერო პირუეტები პირადად მაქვს ნანახი ლე ბურჟეს ავიაკოსმოსურ გამოფენაზე და ღიად ვიტყვი — მიუხედავად იმისა, რომ ცაში საოცარ მანევრებს ერთმანეთის მიყოლებით აკეთებდნენ ბევრად უფრო თანამედროვე „რაფალი" თუ „ევროფაიტერი", ბევრად უფრო „მხცოვანი" მირაჟი" მაინც გამორჩეოდა თავისი ელეგანტურობითა და საჰაერო პირუეტების შესრულების დახვეწილობით.

„დასოს" ფირმა ახალი „მირაჟის" დაპროექტებისას კვლავ დაუბრუნდა ძველ Mirage III-ის კონფიგურაციას — სამკუთხედ ფრთებს, მაგრამ გამოაკეთა ძველი „მირაჟის" „ავადმყოფობა" — რთული მართვა, განსაკუთრებით აფრენა-დაფრენის დროს. ამისთვის ფრანგმა კონსტრუქტორებმა ახალ Mirage 2000-ს მართვის ელექტროდისტანციური აპარატურა დაუყენეს.

პირველი სერიული Mirage 2000 C ჰაერში 1982 წლის 20 ნოემბერს აფრინდა. გამოშვებულია „მირაჟის" შემდეგი მოდიფიკაციები — ორადგილიანი სასწავლო-სავარჯიშო Mirage 2000; Mirage 2000D — ორადგილიანი დამრტყმელი თვითმფრინავი; Mirage 2000N — ბირთვული ბომბებისა და რაკეტების მატარებელი ბომბდამშენი და Mirage 2000-5 — მასში გამოყენებულია „სტელსის" ტექნოლოგია და თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურა.

Mirage 2000-ებმა საბრძოლო ნათლობა 1991 წელს სპარსეთის ყურეში მიიღეს, როდესაც ათი ფრანგული „მირაჟი" საუდის არაბეთის საჰაერო სივრცეს ჰუსეინის ბომბდამშენების შესაძლო თავდასხმისგან იცავდა.

Mirage 2000E-ს საექსპორტო ვარიანტები შესყიდული აქვთ ეგვიპტეს, საბერძნეთის, ინდოეთის, პერუს, ხოლო 60 ცალი Mirage 2000-5-ი კი ტაივანმა შეუკვეთა საფრანგეთს.

Mirage 2000-ები აღარ გამოირჩევიან იმ სიიაფით, რომელიც მის წინამორბედს Mirege III-ს ახასიათებდა, ამიტომაც მესამე მსოფლიოს ქვეყნები უკვე ფიქრდებიან, რის შესყიდვა ღირს — ძალიან ძვირი ამერიკული F-16-ების, არანაკლებ ძვირი, მაგრამ ნაკლები შესაძლებლოების მქონე ფრანგული Mirage 2000-ების თუ ნაკლებად ძვირი, მაგრამ არათანამედროვე რადიოელექტრონიკით აღჭურვილი რუსული Су-27-ების და МиГ-29-ების. ინდოელებმა საერთოდ მომგებიან ოქროს შუალედს მიაგნეს — ყიდულობენ რუსულ МиГ-29-ებსა და Су-30МКИ-ს, მაგრამ მათში „მირაჟებისთვის" განკუთვნილ რუსულზე უკეთეს ფრანგულ რადიოელექტრონულ აპარატურას აყენებინებენ.

1999 წელს იუგოსლავიის ომმა გამოავლინა ევროპული და, პირველ რიგში, ფრანგული გამანადგურებლების მთავარი ნაკლი — ისინი არ იყვნენ უნივერსალურნი, ანუ ამერიკული F-15E-ებივით ან F-16C-ებივით არ შეეძლოთ ერთდროულად საბრძოლო ამოცანის შესრულება, როგორც ჰაერში ბრძოლა, ისე მიწაზე სამიზნის განადგურება. ფრანგი ავიაკონსტრუქტორები ცდილობენ, რომ ის, რაც აკლდა Mirage 2000-ს, ახალ Rafale-ს შესძინონ — უნივერსალურობა.

*ირაკლი ალადაშვილი*

MIRAGE 2000



„მირაჟი" რეაქტიული ძრავის ფორსირებულ რეჟიმში ფრინდება აეროდრომიდან


არსენალი
Mirage 2000

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სპეციალური დანიშნულების რაზმი იორდანულად



ამერიკელი „მწვანე ბერეტები“ ხშირად ეხმარებიან იორდანიელებს

## სიჯალი

ახლოაღმოსავლური მზით გავარვარებულ პლაჟზე გახუნებულ ამერიკულ კამუფლაჟსა და მუქ შინდისფერ ბერეტებში გამოწყობილი ზორბა ჯარისკაცები ჩამწკრივებულან. ისმის წყვეტილი, ხორხისმიერი ბრძანება და მწკრივი ჯგუფებად იშლება. ინსტრუქტორის კიდევ ერთი შეძახილი და მებრძოლების ხელში მძიმე ბამბუკის ჭოკები და სამართებელივით ბასრი, უცნაურად დაგრეხილი ხმლები ჩნდება.

ეს რომელიმე ბლოკბასტერის გადაღება არ გეგონოთ – იორდანიის სამეფოს სპეცდანიშნულების რაზმის ჯარისკაცები საბრძოლო ხელოვნების, „სიჯალის“ ილეთებს ეუფლებიან. „სიჯალი“ არაბულად „გამოწვევას“ ნიშნავს. ის შეიძლება აიკიდოს მიამსგავსოთ, რომ არა ერთი გარემოება – ხმლებით, რომლებიც ჯარისკაცების ხელში ელავს, იოლად შეიძლება თავის მოკვეთა, ბამბუკის ჭოკებით კი ძვლების გადამსხვრევა. ამიტომაც ტრავმები, რომელსაც ჯარისკაცები წვრთნისას იღებენ, არცთუ იშვიათად, საკმაოდ მძიმეა. ის, რასაც ნებიერი ევროპელები აღმოსავლურ ველურობად და ბარბაროსობად მიიჩნევენ, სპეცდანიშნულების რაზმის ინსტრუქტორებისთვის ნამდვილი კომანდოსის გამოსაწვრთნელი აუცილებელი ელემენტია. „წვრთნა, რომლის დროსაც რისკი პირობითია, არაფრისმომცემია. ჯარისკაცმა ნამდვილი საფრთხე უნდა იგრძნოს, შეეჩვიოს მას ისე, როგორც ქარს ან მზეს, არ უნდა ეშინოდეს მისი და ადეკვატურად უპასუხოს ნებისმიერ გამოწვევას“, – ასეთია იორდანული სპეცნაზის სწავლების უმთავრესი პრინციპი.

ასეთივე რეჟიმით გადიან საცეცხლე მომზადებას. ქალაქ ზარქის ახლოს, პოლიგონზე ჯარისკაცები ქანცის გაწყვეტამდე დარბიან და მუყაოს სამიზნეებს „კალაშნიკოვის“ ავტომატებით უხსნიან ცეცხლს... ნამდვილი ტყვიებით.

## არაბული ლეგიონის მემკვიდრეები

არაბულ სამყაროში იორდანიელი ჯარისკაცები ყველაზე გამობრძმედილ და ბრძოლისუნარიან მებრძოლებად ითვლებიან. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს აღაფრთოვანა ინგლისელი გენერლები ბედუინების საბრძოლო თვისებებმა. ამიტომაც ახლო აღმოსავლეთში ბრიტანული ინტერესების გასამტკიცებლად მათგან არაბული ლეგიონი ჩამოაყალიბეს. სამეთაურო თანამდებობები აქ ბრიტანელ ოფიცრებს ეჭირათ, სარდალი კი „გლაბფაშა“, ინგლისელი გენერალი ჯონ გლაბი იყო.

მეორე მსოფლიო ომის დროს ლეგიონერები დაუნდობლად ანადგურებდნენ გერმანელ დივერსანტებსა და მათ არაბ მხარდამჭერებს. მაგალითად, ლეგიონის საბრძოლო ისტორიის ერთ-ერთი სახელოვანი ოპერაცია იყო პროგერმანულად განწყობილი რაშიდ ალის რეჟიმის დამხობა ერ-

აუში. უპრეტენზიო, ამტანი, უშიშარი ჯარისკაცები, რომლებისთვის უდაბნო სახლი იყო, ასეთ რეგიონებში მძლავრ საბრძოლო ძალას წარმოადგენდნენ.

მოგვიანებით, 1948 წელს ისრაელის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ დაიწყო არაბეთ-ისრაელის ომი. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, არაბეთის ჯარები ცუდად გაწვრთნილი, უწესრიგო და ძნელად სამართავი იყო. სამაგიეროდ, იორდანული ლეგიონი ისრაელ ჯარისკაცებს ღირსეულ მეტოქეობას უწევდა.

ათიათასიანი ლეგიონი, რომლის შემადგენლობაში უდაბნოს სასაზღვრო ნაწილებიც შედიოდა, დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნოდა და პალესტინაში სამანდატო ჯარების (მეტროპოლიის ჯარების) გაყვანამდე მოქმედებდა. მას შეტევის ყველაზე რთული, იერუსალიმის მონაკვეთი ჩაბარეს.

გლაბ-ფაშამ წმინდა ქალაქის არაბული კვარტლები სწრაფად აიღო, მაგრამ ებრაულ ნაწილში მის ჯარებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს დამცველებმა.

მას შემდეგ, როცა ისრაელელებმა სიტუაცია თავიანთ სასარგებლოდ შემოაბრუნეს და მთელ ფრონტზე შეტევაზე გადავიდნენ, ერთადერთი ადგილი, სადაც წარმატებას ვერ მიაღწიეს, ბედუინების პოზიციები იყო. ლეგიონერებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს და მხოლოდ დიდი დანაკარგის ფასად მოახერხა ისრაელის არმიამ მათი შევიწროება.

## „შავი სექტემბრის" გმირები

არაბული ლეგიონის ბევრი ქვედანაყოფი (ლეგიონს 1956 წელს მეფე ჰუსეინმა იორდანიის არაბული არმია უწოდა) სადაზვერვო დავალებებსაც ასრულებდა და დივერსიული აქციებისთვის საჭირო მცირე ჯგუფების ტაქტიკას იყენებდა. 1969 წელს ეს იყო უკვე სპეცდანიშნულების ბატალიონი. საბრძოლო ნათლობა კომანდოსებმა 1970 წელს, სამოქალაქო ომში მიიღეს, რომელსაც „შავი სექტემბერი" ეწოდა.

პალესტინელი ლტოლვილების დიდი ნაწილი იორდანიის ტერიტორიაზე დაბინავდა. აქვე იყო განლაგებული პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის ძირითადი ბაზები. მათ დაავიწყდათ, რომ იორდანიაში მხოლოდ და მხოლოდ სტუმრები იყვნენ და უცხო ქვეყნის ტერიტორია ისრაელის საწინააღმდეგო საბრძოლო მოქმედებების პლაცდარმად აქციეს. პასუხმაც არ დააყოვნა – 1966 წელს ისრაელის თავდაცვის ძალებმა მძლავრი დარტყმა მიაყენეს პალესტინელთა ბაზებს იორდანიაში. მოგვიანებით, 1968 წელს ისრაელის არმიამ მდინარე იორდანე გადალახა და რამდენიმე პალესტინური ბაზა გაანადგურა, სამეფოს ქალაქები კი დაბომბა.

მეფე ჰუსეინი იძულებული შეიქნა ქვეყანაში წესრიგი დაემყარებინა. პალესტინელებს ქვეყნის დატოვება უბრძანეს და ამას სამთავრობო ჯარებთან მათი შეტაკებები მოჰყვა, რაც 1970 წლის ზაფხულის დამლევს სამოქალაქო ომში გადაიზარდა. პალესტინელი პარტიზანების წინააღმდეგ იორდანიას მთელი სამხედრო ძალის გამოყენება მოუხდა. „შავი სექტემბრის" ბრძოლებში (ასე უწოდეს ომს პალესტინელმა ჯარისკაცებმა) ახალმა სპეცდანიშნულების ბატალიონმა თავი ისახელა და გადაწყდა მისი ბრიგადად გადაკეთება. ბრიგადა №101-ის ამოცანა იყო ისრაელთან, სირიასა და



ერაყთან სტრატეგიული წონასწორობის შენარჩუნების მიზნით სპეციალური ოპერაციების ჩატარება, ასევე – ტერორისტებისა და პარტიზანების განადგურება. იორდანია ისრაელზე ნაკლებად როდი იყო დაინტერესებული პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის დამარცხებით.

## სუპერჯარისკაცების სამჭედლო

ბრიგადა №101-ში მოხვედრა იორდანიელი ჯარისკაცისთვის ან ოფიცრისთვის ისეთივე პრესტიჟულია, როგორც ერთ დროს რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრისთვის ლაიბ-გვარდიაში გამწესება. ბრიგადას მისი სამეფო უმაღლესობა პრინცი აბდალა ბინ ალ-ჰუსეინი მეთაურობს. შენაერთის შემადგენლობაში შემავალ შვეულმფრენთა ესკადრილიას მისი უმცროსი ძმა, პრინცი ფეისალი ხელმძღვანელობს.

ასეთი მეთაურების დანაყოფებში სამსახური არა მარტო საპატიოა, არამედ შესანიშნავი ტრამპლინიც გახლავთ კარი-



ტაქტიკური სწავლებები ყოველთვის რეალურ საბრძოლო მოქმედებებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში მიმდინარეობს



იორდანიელები მაქსიმალურად იყენებენ როგორც ტაქტიკურ-თეორიულ, ისე — მატერიალურ დახმარებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერული წინსვლისთვის. ამიტომ შინდისფერი ბერეტის დახურვისა და მკერდზე ოქროს ფრთების (ბრიგადის ემბლემა) დაბნევის მოსურნე უამრავია. ამ რეგალიათა ყველა მაძიებელი შესარჩევი გამოცდების შემდეგ ქალაქ ზაქში, სპეცბატალიონის სკოლაში ხვდება. მათ იქ, ზემოჩამოთვლილი მეცადინეობების გარდა, მრავალკილომეტრიანი ქანცგამწყვეტი მარში-გადარბენები, უწყლო უდაბნოში თავის გადარჩენის უნარის გამომუშავება, დივერსანტ-მზვერავის მოსამზადებელი კურსი და ა.შ. ელოდება. სკოლას კურსანტთა 20 პროცენტი თუ ასრულებს, დანარჩენებს იწუნებენ ან თვითონ მიდიან. კურსდამთავრებულები მომზადების ახალ ეტაპს იწყებენ, ამჯერად უკვე სპეცდანიშნულების ბრიგადაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის პირობებში საბრძოლო მოქმედებებს, პატრულირებას, ჩასაფრებიდან თავდასხმას, დესანტირებას. მომზადების წლიური კურსის გავლის შემდეგ ყველა კანდიდატი – ოფიცერიც და რიგითიც – დივერსანტ-მზვერავის დიპლომს იღებს და 101-ე ბრიგადის სრულუფლებიანი მებრძოლი ხდება.

## სამიზნე – ტერორისტები

1971 წლის ნოემბერში კაიროში, იორდანიის პრემიერ-მინისტრი ბასფი ტალი დაცხრილეს. თავდამსხმელები ორგანიზაცია „შავი სექტემბრის" (ეს სახელი ორგანიზაციას 1970 წლის მოვლენათა აღსანიშნავად დაერქვა) წევრები იყვნენ. ეს პირველი ნიშანი იყო. მეორე – მიუნხენის ოლიმპიადაზე მოწყობილი სასაკლაო შეიქნა.

ტერორიზმთან საბრძოლველად 101-ე ბრიგადის შემადგენლობაში შეიქმნა სპეცდანიშნულების 71-ე ნაწილი, რომელიც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ანტიტერორისტული ქვედანაყოფია. ამანის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში" პალესტინელი ბოევიკების მიერ აყვანილი მძევლების გათავისუფლების ოპერაცია მათი პირველი დავალება იყო. დღეს 71-ე ნაწილში დაახლოებით 200 მებრძოლია – ყველა მათგანი მოხალისეა. ქვედანაყოფების ეროვნული შემადგენლობა ისეთივეა, როგორც იორდანიის მეფის პირად გვარდიაში: ჩეჩნები, ჩერქეზები და ბედუინები. ამ ქვეყნის მონარქები, ტრადიციულად, საკუთარი პერსონის დასაცავად, ჩრდილოკავკასიელებს ანიჭებენ უპირატესობას.

71-ე ნაწილი ელიტის ელიტაა. მასში სამსახურის პრეტენზია მხოლოდ კარგად გაწვრთნილ, საბრძოლო მოქმედებაში გამოცდილ და აშშ-სა თუ ბრიტანეთში დამატებითი მომზადების კურსგავლილ სამხედროს თუ ექნება. გარდა ამისა, კანდიდატს მკაცრი ფსიქოლოგიური და სამედიცინო შემოწმება უტარდება. მაშინაც კი, თუ მებრძოლი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, 71-ე ნაწილში მოხვედრის შანსი მხოლოდ 1:10-თან აქვს.

## კომანდო საზღვარგარეთ

ბრიგადის მეთაურს, მის უმაღლესობა აბდალა ბინ ალ-ჰუსეინს, რენდჰერსტის ცნობილი სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულს, სპეცდანიშნულების ბრიგადა საბრძოლო სულის გამობრძმედის ერთგვარ ლაბორატორიად მიაჩნია. ამასთან, მისი ინტენსიური განვითარებისთვის აუცილებელ პირობად საერთაშორისო თანამშრომლობა ითვლება. ამერიკელ რეინჯერებთან და ბრიტანეთის ავიასადესანტო



„სიჯაბლი" მოქმედებაში...

სპეციალურ სამსახურთან ერთობლივი წვრთნები, იორდანიელი ჯარისკაცების ამ სტრუქტურების სასწავლო ბაზებში სტაჟირება მუდმივი პრაქტიკაა. ანტიტერორისტული 71-ე ნაწილი მომზადებას აშშ-ის ძფბ-ის ჯგუფებთან, ომანის სპეცდანაყოფებსა და საფრანგეთის ჟანდარმერიის ანალოგიურ ქვედანაყოფებთან გადის. თანამშრომლობენ ისრაელის ანტიტერორისტულ ჯგუფთან „იამამთანაც", მაგრამ იმის შიშით, რომ არაბული სამყარო ამას არ მოიწონებს, იორდანიელები ცდილობენ არ გაახმაურონ ეს კონტაქტები. იორდანიელი კომანდოსების ჯგუფი რუსეთშიც, ГРУ-ს სპეცდანიშნულების რაზმის ბრიგადის ბაზაშიც იყო მივლინებული.

იორდანიელი მებრძოლები საზღვარგარეთ მხოლოდ გასაწვრთნელად როდი იგზავნებიან. ცნობილია, რომ „შავ სექტემბრამდე" იორდანიელი კომანდოსების მცირე ჯგუფები ისრაელის საწინააღმდეგო აქციებსაც ახორციელებდნენ სამეფოს საზღვრებს გარეთაც. 1975 წელს მეფე ჰუსეინმა კომანდოსები ომანში, სამხრეთ იემენის გამათავისუფლებელი აჯანყებული სახალხო ფრონტის ჩასახშობად მიახმარა სულთნის არმიას. ისრაელის დაზვერვის მონაცემებით, ზოგიერთი იორდანიელი კომანდოსი, „ტურისტული მოგზაურობის" მოტივით ბალკანეთში, ქაშმირსა და შესაძლოა ჩეჩნეთშიც გადიოდა სტაჟირებას. ძნელი სათქმელია, ამას საკუთარი ინიციატივით აკეთებდნენ, თუ მეთაურობის ნებართვით. ყოველ შემთხვევაში, ბრიგადის ბევრმა მებრძოლმა კარგად იცის რუსული, სერბული, ხორვატული, ფარსის, ჰინდის და პუშტუს ენები...

სადღეისოდ, იორდანიის სამეფო არმიის სპეცდანიშნულების 101-ე ბრიგადა საუკეთესო შენაერთია არაბულ სამყაროში, შეუძლია ნებისმიერი საბრძოლო ამოცანის შესრულება და არისტოკრატიზმის, არაბული მუსლიმანური ტრადიციონალიზმისა და სამხედრო საქმის უახლეს მიღწევათა იშვიათი გაერთიანებაა.



პალესტინელების მიერ „შავი საქტემბრის" შემდეგ დატოვებული ბანაკები შესანიშნავ საწვრთნელ პოლიგონს წარმოადგენს

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი" აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ვეცდებით, შემოგთავაზოთ ერთი თემატიკით გაერთიანებული შეკითხვები.

კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება", რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

— **სამხედრო კათედრების გაუქმების შემდეგ სტუდენტებს გადაუვადდებათ თუ არა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა?**

— პირს გადაუვადდება სამხედრო სამსახურში გაწვევა, თუ არის უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის სტუდენტი და ჩარიცხული იყო სამხედრო კათედრაზე 2005 წლის 1 აპრილამდე, ხოლო პირველი აპრილის შემდეგ გადავადება შეეხება ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს — სასწავლებლის დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს 24 წლის ასაკისა.

— **პირს, რომელიც სწავლობს მაგისტრატურაში, ეხება თუ არა გაწვევა?**

— მაგისტრატურაში სწავლა არ წარმოადგენს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ან გადავადების საფუძველს. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გათავისუფლება ეხება მხოლოდ ასპირანტებს.

— **რა ოდენობით ეძლევათ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს ერთჯერადი დახმარება შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისას?**

— სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის გამო ან რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლებისა) მიხედვით (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების ჩათვლით), ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით:

ა) 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა) — სამმაგი;

ბ) 2-დან 10 წლამდე — ხუთმაგი; ხოლო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს 10 წლამდე — ექვსმაგი;

გ) 10-დან 15 წლამდე — რვამაგი;

დ) 15-დან 20 წლამდე — ათმაგი;

ე) 20 წელი და მეტი — თორმეტმაგი.

კონტრაქტის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისას (გარდა ოფიცერთა შემადგენლობისა) ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება არ გაიცემა.

სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან პირადი განაცხადების (სურვილის) საფუძველზე და ნამსახურები აქვთ არანაკლებ 10 წლისა, ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ორმაგი ოდენობით.

— **რა ვადით ხდება კადრების განკარგულებაში გაყვანა?**

— ოფიცრის თანამდებობიდან გადაყენება კადრების განკარგულებაში გადაყვანით ან მის მიერ თანამდებობის დროებით მოვალეობის შესრულება არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს.

ამასთან, კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეებს უნარჩუნდებათ ფულადი სარგოები ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი და სასურსათო ულუფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაცია არაუმეტეს ორი თვისა.

— **კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემდეგ ხომ არ შეცვლილა გაწვევის გადავადებისათვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა?**

— სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას დაქვემდებარებული პირისთვის კვლავაც შეადგენს ყოველწლიურად 200 (ორას) ლარს ან ერთიანად 2000 (ორ ათას) ლარს.

## სამხედრო ლექსიკონი

**მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი" აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.**

Бомбардировщик – ბომბდამშენი

Бомбоискатель – ბომბსაძებნი

Бомбоубежище – ბომბსაფარი, თავშესაფარი

Бортмеханик – ბორტმექანიკოსი

Бот – კაპანი, ბოტი (სანაოსნო)

Бочка – წრე (ფრენა)

Бочка двойная – ორმაგი წრე

Брешь – რღვეული

Бреящий – მცელავი

Брод – ფონი

Бронеавтомобиль – ჯავშანავტომობილი

Бронебоино-зажигательный – ჯავშანგამტან-ცეცხლგამჩენი

Бронебойный – ჯავშანგამტანი

Бронекатер – ჯავშანკატარღა

Бронетранспортёр – ჯავშანტრანსპორტიორი

Бросание – ტყორცნა, სროლა

Бросок – ნახტომი

Брусчатый – ძელური

Буй – ქერქეჭელა (წყალზე, ტივტივას მსგავსი)

Буй спасательный – მაშველი ქერქეჭელა

Бункер – ხვიმირი

Бухта[1] – უბე (ზღვისა)

Бухта[2] – ზვეულა

Бухта кабеля – კაბელის ხვეულა

Валенки – ბაგვი, ნაბდის ჩექმები

Варежка – ფათათური, ცალთითა (ხელთათმანი)

Ведомость – უწყისი

Ведомость суточная – სადღეღამისო უწყისი

Вездеход – ყველგანმავალი

Вентилятор вытяжной – გამწოვი ვენტილატორი

Вентилятор нагнетающий – საჭირხნი ვენტილატორი

Вероятность отклонения – გადახრის ალბათობა

Вертолёт – შვეულმფრენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სენბერნარი

## მაშველი წმინდა ბერნარის თავშესაფრიდან



ძაღლის ამ ჯიშმა სახელი წმ. ბერნარის მონასტრისგან მიიღო, რომელიც შვეიცარიის ალპებში მდებარეობს. წმ. ბერნარის მონასტერი 1050 წელს ბერმა ბერნარდმა დააარსა. მონასტერი უღელტეხილზე მდებარეობს, რომელიც იტალიასა და შვეიცარიას აკავშირებს. ამ მონასტერთან არსებული თავშესაფარი მოგზაურებისთვის იყო განკუთვნილი. იმ ადგილებში ამინდი დღესაც ძალიან ცვალებადია. ხშირად მთელი ზაფხულის მანძილზე ტემპერატურა ნულს ქვემოთ არის. უხვთოვლობა მუდმივ ზვავსაშიშროებას ქმნის. ქარბუქისა და სუსხიანი ღამეების შემდეგ ბერები და მათი ძაღლები ერთად ეძებდნენ თოვლში დაკარგულებს, რომლებიც შემდგომ საიმედო ადგილას გადაჰყავდათ. ეს ძაღლები საოცარი უნარით გამოირჩეოდნენ. შეეძლოთ 2 მეტრის სიღრმის თოვლში ეპოვათ ადამიანი, დამოუკიდებლად ამოეთხარათ თოვლიდან და სადგომამდე მიეთრიათ... ამ უნარის წყალობით წმ. ბერნარის თავშესაფრის ძაღლებმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს. ძალიან ამტანები და ღონიერები იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ძაღლების შესახებ საზოგადოებისთვის ბევრი რამ იყო ცნობილი, XIX საუკუნის დასაწყისისთვის ჯიშს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკუთარი სახელი. 1820 წელს გერმანიაში გაჩნდა მოსაზრება, რომ მისთვის „ალპური“ ეწოდებინათ. თუმცა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მათ წმინდა ბერნარის მონასტრის ძაღლებად იცნობდნენ და დღევანდელი სახელწოდება ოფიციალურად 1880 წელს, შვეიცარიის კინოლოგიის კლუბმა მიიღო. ამ ჯიშის პირველი გამოფენა ინგლისში გაიმართა, მან საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ინგლისში სენბერნარს მასტიფებთან და ნიუფაუნდლენდთან აჯვარებდნენ, მაგრამ ნაჯვარს სახელი – სენბერნარი რჩებოდა. 1887 წელს საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც ციურიხში ჩატარდა, მიიღეს სენბერნარის ჯიშის სტანდარტი, რომელსაც ინგლისის გარდა ყველა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. ბრიტანელებმა საკუთარი სტანდარტი დაადგინეს. სენბერნარი წლიდან წლამდე უფრო პოპულარული ძაღლი ხდებოდა...

1934 წელს მონასტრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ტრადიციების პატივისცემის ნიშნად სენბერნარები მონასტერში სამუდამოდ დარჩენილიყვნენ, მაგრამ 1953 წელს აღმოჩნდა, რომ ძაღლების მოშენება ძვირი და არარენტაბელური საქმე იყო. ამ „აღმოჩენამ“ და სენბერნარების გამრავლებაზე ხელის აღებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთელ ევროპაში. სხვადასხვა ქვეყნიდან უკმაყოფილოთა წერილების უზარმაზარი ნაკადი დაიძრა. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის დამსახურებაა, რომ დღესდღეობით სენბერნარის ჯიშის ძაღლების უმთავრესი






არსენალი
სენბერნარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშენი ისევ ისტორიულ ადგილზეა განლაგებული.

სენბერნარს ოთხკუთხა ფორმის თავი, მოწითალო ფერის თვალები და ფართო, დაშვებული ყურები აქვს. კარგად განვითარებულ ყბებს მჭრელი და განიერი კბილები ამშვენებს, რომელთა სიმაღლე 3 სმ-ს აღწევს. ხვადი სენბერნარი დაახლოებით 74 სმ-ია, თუმცა არის შემთხვევები, როცა უფრო მაღალიც იზრდება. ძუ, ხვადთან შედარებით უფრო დაბალია. საშუალო წონა 60 კგ-ია, მაგრამ არც 80-100 კგ-იანი ეგზემპლარებია იშვიათობა. მკერდი განიერი აქვს, მუცელი ოდნავ აწეული. როცა ძაღლი მსუქანია, მუცელი ძირს არის დაშვებული და მოძრაობას უშლის. სენბერნარი ძლიერი ძაღლია. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 10 წელიწადს აღწევს. ბუნებით სენბერნარი კეთილი და ძალიან ჭკვიანი ძაღლია. სხვა რომ არაფერი, ის ხომ მაშველია. ძალიან უყვარს ბავშვებთან ურთიერთობა, უყვარს პატრონი და ამავდროულად არც უცხოს ალერსზე ამბობს უარს. ბუნებაში გვხვდებიან მოწითალო-ჭრელი და მოშავო-მუქი წითური სენბერნარები.

# რისთვის დაუდგეს სენბერნარს ძეგლი

***დიდი და ძლიერი, მაგრამ თბილი და მოსიყვარულე, ჭკვიანი და საზრიანი, მაგრამ მსუქანი და მოუქნელი — აი, ასეთი თვისებებით გამოირჩევა სხვა ძაღლებისგან სენბერნარი. იმაზე, თუ როგორ მოვუაროთ ამ ჯიშის ძაღლს და რა დანიშნულებით გამოვიყენოთ, და კიდევ, რატომ აღმართეს მისი ძეგლი ალპებში, — გვესაუბრება კინოლოგი თემურ ბროიანი.***

**— ბატონო თემურ, როდიდან გამოჩნდნენ სენბერნარები საქართველოში?**

— ამ ჯიშის ძაღლები საქართველოში დიდი ხნის წინ შემოიყვანეს შვედეთიდან. ნაწილი რუსეთიდანაც შემოდიოდა. 1980-იან წლებში დაახლოებით 100-მდე სენბერნარი გამოჰყავდათ გამოფენაზე და სხვათა შორის, ეს ძაღლები ძალიან მაღალ ქულებს იწერდნენ.

**— სენბერნარები მთის იალაღებს მიჩვეული ძაღლები არიან. რამდენად ეგუებიან ქალაქში ცხოვრებას?**

— ჩვენთან საკმაოდ ცხელა და სენბერნარები დიდი ბეწვის გამო დისკომფორტს განიცდიან. ამიტომაც ბევრს საქართველოს მთიან რაიონებში მიჰყავს. ამ ძაღლებს სიცხეში ბეწვი უფუჭდებათ და სცვივათ კიდეც. სენბერნარები თოვლის ძაღლები არიან, იქ გრძნობენ თავს საუკეთესოდ.

**— როგორი ხასიათის ძაღლები არიან?**

— ხასიათი კარგი აქვთ. ძალიან უყვართ ბავშვები, პატრონზე გიჟდებიან და უცხოს მოფერებაზეც არ ამბობენ უარს. ხანდახან ხდება, რომ აგრესიულები იზრდებიან. ეს უკვე პატრონზეა დამოკიდებული. თუ ის აგრესიული გაიზარდა, ე.ი. მას პატრონმა ასწავლა აგრესიის გამომჟღავნება. თუ სენბერნარი მცველის როლშია, მისი მხრიდან აგრესიის გამომჟღავნება ჩვეულებრივი მოვლენაა. როცა ის სახლ-კარს იცავს, არავითარ შემთხვევაში არავის არ შეუშვებს.

**— რა დანიშნულების ძაღლები არიან სენბერნარები?**

— მათი დანიშნულება არის ხალხის გადარჩენა. მაგრამ ჩვენთან მათ დეკორატიული დანიშნულება მოუძებნეს. ანუ ამ ძაღლს მხოლოდ სილამაზისთვის ყიდულობენ. ადრე სადარაჯოდაც იყენებდნენ ამ ძაღლებს. თუ გაწვრთნი, მისგან არაჩვეულებრივი დარაჯი გამოვა. თვითონ ჯიშს ბუნებრივად გენში მაშველობა აქვს ჩადებული და ამის სწავლება არც ერთ სენბერნარს არ სჭირდება. ერთმა სენბერნარმა შვეიცარიაში 40 ადამიანი გადაარჩინა და თვითონ დაიღუპა. მას ძეგლიც კი დაუდგეს ალპებში.



**— ალბათ, მას განსაკუთრებული ყნოსვა აქვს.**

— იმდენად განვითარებული ყნოსვა აქვს, რომ შეუძლია ადამიანი ორი-სამმეტრიანი თოვლის ქვეშ იპოვოს.

**— რამდენად მოქნილები არიან და ადვილად თუ ითვისებენ გაკვეთილს?**

— ადვილად ითვისებენ, მაგრამ ერთი პრობლემა აქვთ — დიდი წონის გამო ბევრს ვერ დადიან. ბევრი სენბერნარი გამიზრდია და ძალიან ჭკვიანები და საზრიანები არიან, მაგრამ თავიანთი სიდიდის გამო მოუქნელებიც ხდებიან. თუმცა, ის სენბერნარი, რომელიც ალპებში იზრდება, საკმარისად მოქნილია. სამწუხაროდ, ასეთი სენბერნარი საქართველოში

ჯერ არ არსებობს.

— **როგორ უნდა ვკვებოთ და მოვუაროთ ამ ჯიშის ძაღლებს?**

– ორ თვემდე დღეში ექვსჯერ უნდა ვაჭამოთ. ორი თვიდან სამ თვემდე ხუთჯერ. ოთხი თვის რომ გახდება, აჭამეთ ოთხჯერ. 6 თვიდან წლამდე სამჯერ, ხოლო ერთი წლის შესრულების მერე დღეში ორჯერადი კვებაც საკმარისია. მნიშვნელობა არა აქვს სპეციალურ ძაღლის საჭმელს შეჭამს თუ პატრონის მიერ მომზადებულს. შეგიძლიათ აჭამოთ ხორცი ან გაუკეთოთ ფაფები. სენბერნარმა დღეში მინიმუმ 50 გრამი ხორცი უნდა ჭამოს. რაც შეეხება მის ჯანმრთელობას, თუ აცრას დროზე გაუკეთებთ, არანაირი ავადმყოფობა არ შეეყრება. დიდი ბეწვის გამო მას ხშირი დავარცხნა სჭირდება. წელიწადში ორჯერ უნდა დაბანოთ ცივი წყლით. ეს მისთვის სრულიად საკმარისია. ხშირი ბანვით შეიძლება გაცივდეს. რაც შეეხება მის დორბლიანობას, ერთ რჩევას მივცემთ სენბერნარის პატრონებს – არბენინეთ დღეში დაახლოებით 6 კილომეტრი მაინც. ასეირნეთ რაც შეიძლება ბევრი, რომ მისმა დორბლმა არ შეგაწუხოთ.

— **დაბოლოს, ბატონო თემურ, რას გვირჩევთ, როგორ შევარჩიოთ სენბერნარის ლეკვი?**

– ლეკვის შერჩევა სტანდარტების მიხედვით ხდება. მნიშვნელობა ენიჭება ყველაფერს. როგორი თავი, ცხვირი, კბილები, უკანა და წინა ფეხები აქვს. მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ დგას მისი კუდი. ის უნდა იყოს აპრეხილი, მაგრამ არ უნდა ედებოდეს ზურგს.



# ტორტის მოყვარული შერი!

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისში ძალიან ცოტა სენბერნარია. თუმცა ისეთ ოჯახსაც მივაკვლიეთ, რომელსაც უკვე ხუთი წელია ჰყავს ამ ჯიშის ძაღლი. „ჟაკ-შერი" – ასე ჰქვია სენბერნარს, რომელსაც პირველ იანვარს ხუთი წელი შეუსრულდა. ჟაკ-შერის საინტერესო ისტორია აქვს. მისი ამჟამინდელი პატრონისთვის – თათია ჩიტიშვილისთვის, ორი თვის ლეკვი უჩუქებიათ:

„ძველ პატრონს მისთვის შერი დაურქმევია, თუმცა უხერხული იყო ხვადს შერი რომ ერქვა. არადა, ძველ პატრონს, როგორც ჩანს, ეს სახელი ძალიან მოსწონდა. თანაც, ჩვენი ოჯახის ახლობელიც არის, ამიტომ ხათრი აღარ გავუტეხეთ და ძველი სახელი დავუტოვეთ, იმ განსხვავებით, რომ წინ ჟაკი დავურთეთ", – ამბობს თათია, რომელიც შერისთან დაკავშირებით ბევრ სასაცილო მომენტს იხსენებს. ჟაკ-შერის, რომელიც ორი თვისა 20 კილოს იწონიდა, ძალიან უყვარს ჭამა. როცა შინ არის, ბებიასთან მიდის და თათებით სამზარეულოსკენ ექაჩება, რამე მაჭამეო. მართალია, ამბობენ, სენბერნარს ბავშვები უყვარსო, მაგრამ შერი ამ შემთხვევაში გამონაკლისია, რასაც პატრონი შემდეგით ხსნის: „ძველ პატრონთან ბავშვები ულვაშებს აგლეჯდნენ და აწვალებდნენ. ეს დამახსოვრებული აქვს. ამიტომ, მართალია, ბავშვებს არ ერჩის, მაგრამ მათგან მაინც შორს უჭირავს თავი". შერის, ძალიან უყვარს თავისი პატრონი და ოჯახის წევრები, ამიტომ როცა ისინი ავად ხდებიან, თვითონაც ძალიან იწყენს. „დედაჩემი ავარიაში მოყვა და ექვსი თვე ამნეზია ჰქონდა. მეორე სართულზე იწვა, სადაც შერი არ ადის ხოლმე. მაგრამ იმ პერიოდში სულ დედასთან იყო, ძაღლი ქვემოთ ვერ ჩამოვიყვანეთ. მივიდოდა, დედას დახედავდა და იქვე წვებოდა", – ამბობს თათია. შერი სასეირნოდ ხშირად გაჰყავს ხან თათიას, ხანაც მის ბაბუას. ერთხელაც მორიგი სეირნობის დროს შერის საყელურის გარეშე მოუნდა სეირნობა და პატრონმაც აუშვა. ამ დროს ახალგაზრდა ბიჭი მიდიოდა თურმე ქუჩაში, ცალ ხელში პური ეკავა, მეორეში კი მობილური. მობილურზე საუბრით ისე იყო გართული, რომ ძაღლი არც შეუმჩნევია. შერიც ჩუმად მიჰყვებოდა უკან, პურს დადარაჯებული და როცა მიუახლოვდა, ისე გამეტებით დაჰყეფა, რომ გაოგნებული ბიჭი უკან მოუხედავად გაქანდა... პური და მობილური კი შერის „დაუტოვა".

თათიას დეიდის დაბადების დღეზე კი შერიმ იუბილარის ტორტითაც ჩაიტკბარუნა პირი. „სტუმრები მოსულები არიან, არის ერთი ხმაური. ამ დროს ძაღლი დაიკარგა. კი ვიეჭვე რაღაც, მაგრამ... შერი-მეთქი, დავუძახე და ისიც უცებ გამოვარდა სამზარეულოდან. დრუნჩი ერთიანად კრემით ჰქონდა მოთხვრილი. შუაგული ამოეჭამა, გვერდები კი დაეტოვებინა".

შერის მეფური წარმომავლობა ჰქონია. იგი სუფთა ჯიშის ძაღლია, ამიტომ ქცევებიც და მოთხოვნებიც შესაბამისად თავადური აქვს. თუმცა ერთი სისუსტე ამ ბომბორა ძაღლსაც ჰქონია. „შერის ძალიან ეშინია გასროლის ხმის. ახალ წელს, როცა ყველა ისროდა, შერი დასამალ ადგილს ეძებდა", – ამბობს თათია. პატრონს ძაღლი თბილისისთვის ეცოდება. „ცოდოა ბინისთვის ამხელა ძაღლი, მეხვეწებიან, რაიონში წავიყვანოთო, მაგრამ მთელი ოჯახი ისე შევეჩვიეთ, რომ ველარ ვიშორებთ".



**რუბრიკა მოამზადეს**
**მაკა ქობალიამ**
**და სალომე გოგოხიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კურსკი“ აშშ-ის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა, მაგრამ პუტინი და კლინტონი შეთანხმდნენ, დაემალათ სიმართლე. 118 ადამიანი დაიღუპა ატომური წყალქვეშა ნავის „კურსკის“ ავარიის შედეგად. 118 ოჯახი ელოდება სიმართლეს, რომელსაც ვერასოდეს გაიგებენ და რომელიც შესაძლებელია, არა ცივი, არამედ ყინულოვანი ომის უკანასკნელ აქტად ქცეულიყო“ – წერს სკანდალური იტალიური გაზეთი *„ლა სტამპა“*



# „კურსკი“ ამერიკელებს „შემოაფეთქდათ“?!

ამ, ასე ვთქვათ, გაუხსნელი სიმართლის ფრაგმენტი შესაძლებელია იმ ათიოდე სტრიქონში იმალებოდა, რომლებიც 2000 წლის 22 აგვისტოს გამოჩნდა ინტერნეტ-საიტზე „Правда.ру“.

შეტყობინება, რომელიც არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული ბეჭდვით სერიაში, ინტერნეტის ვირტუალურ სამყაროში მხოლოდ რამდენიმე საათი არსებობდა. მოჩვენებითი სამყაროდან გამოგზავნილი ტექსტის შინაარსი ასეთია: „შაბათს, 12 აგვისტოს მომხდარ ინციდენტს, მესამე მსოფლიო ომის გამოწვევა შეეძლო. რამდენიმე დღის განმავლობაში მშვიდობა ძაფზე ეკიდა და ნებისმიერ არასწორ პოლიტიკურ ნაბიჯს შესაძლოა ბირთვული დარტყმების ურთიერთგაცვლამდე მივეყვანეთ. საბედნიეროდ, ინციდენტი დიპლომატიური გზით მოგვარდა“.

ეს იყო ატომური წყალქვეშა ნავის „კურსკის“ დაღუპვის დღეები. ნავი გაუნძრევლად იდო ასი მეტრის სიღრმეზე თავისი საბრძოლო ტვირთით, მთელი ეკიპაჟითა და საიდუმლოებით დამძიმებული. კატასტროფის საიდუმლოთი, რომელიც არასოდეს გაიხსნება. 22 აგვისტოს გამოცხადებული შეტყობინების თანახმად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი, მრავალრიცხოვანი კონფიდენციალური სატელეფონო საუბრის შედეგად შეთანხმდნენ, საქმის მშვიდობიანად მოგვარების შესახებ. მაგრამ როგორ მოხდა, რომ ტრაგედიიდან ორი წლის შემდეგ რუსეთის პროკურატურამ საქმის ძიება შეწყვიტა თვალთმაქცური მოტივაციით – დანაშაულის არარსებობის გამო. როგორც La Stampa წერს, „კურსკი“ არა საკუთარმა ტორპედომ, არამედ ამერიკულმა წყალქვეშა ნავმა „მემფისმა“ ჩაძირა.

გამომცემლობის აზრით, მანევრები, რომელსაც რუსები ატარებდნენ, მიზნად ისახავდა ჩინელებისთვის რუსული სამხედრო ტექნიკის ერთ-ერთი უკანასკნელი მარგალიტი ეჩვენებინათ. ეს გახლდათ ტორპედო „შკვალი“, რომელსაც ფენომენალური, 500 კმ/სთ სიჩქარით წყალქვეშ გადაადგილება შეუძლია. მსგავსი იარაღი ამერიკელებს დღემდე არ გააჩნიათ.

„კურსკის“ დაღუპვის ეს ვერსია ფრანგი ჟურნალისტების სამწლიანი გამოძიების შედეგია. ამ გამოძიების მასალები დაედო საფუძვლად რეჟისორ მიშელ კარეს ფილმს, რომლის პრემიერაც Franse TV-ზე იანვრის პირველ რიცხვებში შედგა. La Stampa-ს ჟურნალისტებმა ნახეს ეს ფილმი. მასში არ არის არავითარი ერთმნიშვნელოვანი მტკიცებულებანი (რომელ ფილმს შეუძლია ისტორიის მსვლელობის შეცვლა), მაგრამ იმ საშინელი ათი დღის რეკონსტრუქცია, როცა მთელი მსოფლიო ტელევიზიის საშუალებით თვალს ადევნებდა რუსი მეზღვაურების წინასასიკვდილო აგონიას, ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. მართალია თუ არა მათი ვერსია, ძნელია ამაზე პასუხის გაცემა, მაგრამ ფილმი საკუთარ ახსნას უძებნის ვლადიმერ პუტინის არანორმალურ ქცევებს – ეს დამოკიდებულება რუსული ხელისუფლებისა საკუთარ მოქალაქეთა სიცოცხლის მიმართ, მარადიული ჩლუნგი გულგრილობითაა გამოწვეული.

იმ დროისთვის პუტინის პრეზიდენტად არჩევიდან ექვსი თვეც არ იყო გასული. პუტინი შავი ზღვის სანაპიროზე, სოჭში ისვენებდა. იმ ავადსახსენებელ აგვისტოს „კურსკი“ ორი დღის განმავლობაში გაუნძრევლად იდო ბარენცის ზღვის ფსკერზე, ამის შესახებ კი არავინ არაფერს ამბობდა. მომხდარ უბედურებას მალავდნენ და თან იმაზე ფიქრობდნენ, როგორ გაეხმაურებინათ ფაქტი ისე, რომ ხელისუფლებისთვის მომგებიანი ყოფილიყო.

ყველასათვის მოულოდნელად პუტინმა აგარაკზე დარჩენა გადაწყვიტა. იქიდანვე თქვა უარი დასავლეთის დახმარებაზე – გადაერჩინათ „კურსკის“ ეკიპაჟი. მთელი ერთი კვირის განმავლობაში არავითარი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიუღია. მურმანსკის ნავმისადგომებთან ზღვაში ცოცხლად დამარხული მეზღვაურების დედები და ახლობლები ტიროდნენ და ამაოდ ემუდარებოდნენ რუსეთის ოფიცრობას შველას. დიდი ბრიტანეთიდან და ნორვეგიიდან კრემლში მივიდა წინადადება მეზღვაურთა გადარჩენის ოპერაციის სპეციალური ბატისკაფით ჩატარების თაობაზე. მსგავსი ტექნიკა რუსებს არ გააჩნდათ. ფერმკრთალი და შეუბრალებელი რუსეთის პრეზიდენტი შეუვალი იყო. ამ გამოძიების ნამდვილი აღმოჩენა გამოდგა ის ფაქტი, რომ „კურსკის“ სასწავლო მანევრებს ჩინელებიც ესწრებოდნენ. ფრანგებამდე ამის შესახებ არავის არაფერი უთქვამს. ფილმში არის კადრები, სადაც ჩანს რამდენიმე ჩინელი სამხედრო რუს კოლეგებთან ერთად. ფილმის მიხედვით, ჩინელების სასწავლო მანევრებზე ყოფნა, ძლიერ აღიზიანებდათ ამერიკელებს, რომელთაც სურდაც რუსული მაღალეფექტური შეიარაღების

ჩინელებისთვის მიყიდვისთვის ხელი შეეშალათ.

პუტინი კრემლში ახალი დამკვიდრებული იყო, როცა ФСБ (უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა) მოსკოვში დააპატიმრა ამერიკელი „მეწარმე“ ედუარდ პოუპი, რომელიც წარსულში აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების საიდუმლო სამსახურის თანამშრომელი იყო. პოუპი „შკვალის“ კონსტრუქციით იყო დაინტერესებული. ეს ამბავი „კურსკთან“ არავის დაუკავშირებია. სინამდვილეში კი პოუპი, რომელსაც რამდენიმე წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, წყალქვეშა ნავის საქმის დახურვის შემდეგ, სულ მცირე ხანში სასწრაფოდ გადააგზავნეს შეერთებულ შტატებში. სავარაუდოა, რომ ეს საქმე „კურსკის პაკეტის“ ნაწილი იყო.

მაინც რა მოხდა სინამდვილეში წყალქვეშ? საქმე შეიძლება ასე ყოფილიყო:

სატორპედო დუელის ვერსია: იმ დროს, როცა რუსეთი სამხედრო წვრთნებს ატარებდა და ჩინელებს უახლეს იარაღს უჩვენებდა, იქვე ახლოს ორი ამერიკული წყალქვეშა ნავი თვალყურს ადევნებდა მათ საქმიანობას. შემთხვევითობა გამორიცხული არ არის. შეიძლება ამერიკელებმა დაცვითი რეაქცია გამოავლინეს და სწორედ ეს იყო ტორპედო MK48-ის გაშვების მიზეზი. ეს უკანასკნელი არაბირთვულ იარაღს წარმოადგენს, რომელსაც გაღარიბებული ურანის ქობინი აქვს, რომლის დახმარებითაც იგი ჯავშანს შიგნით შეღწევას ახერხებს.

„კურსკი“ უფრო უმწეო აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ტორპედომ გამოიწვია ორი შიდა აფეთქება და რუსეთის ყველაზე სრულყოფილი ატომური წყალქვეშა ნავი ფსკერზე დაეშვა. ამ ვერსიის სისწორეზე მეტყველებს „კურსკის“ კორპუსზე არსებული უზარმაზარი ხვრელი, რომლის ნაპირებიც შიგნითაა შეღუნული. ფილმში ეს ფრაგმენტი ნაჩვენებია. ამას გარდა, MK48-ის ფრაგმენტების შესახებ რუსული გაზეთი „ვერსიაც“ იუწყებოდა, მაგრამ უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა (ФСБ) სასწრაფოდ ჩაატარა რედაქციაში ჩხრეკა და გაზეთი აიძულეს დადუმებულიყო.

საზღვაო დუელის დროს „მემფისიც“ დაზიანდა... ამერიკულ წყალქვეშა ნავს ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ ნორვეგიის სარემონტო ბაზაზე გადაუღეს სურათი. მეორე წყალქვეშა ნავი „ტოლედო“ დაზიანებული დაბრუნდა შეერთებულ შტატებში. რამდენიმე თვის შემდეგ „ნიუ იორკ თაიმსმა“ მოუთხრო მკითხველებს გემის იდუმალებით მოცულ თავგადასავლებზე.

საერთო ჯამში, მოსკოვსა და ვაშინგტონს ამ ინციდენტის შესახებ ბევრი რამ დაუგროვდათ დასამალი, მაგრამ პუტინმა და კლინტონმა ყველა დააშოშმინეს, ოფიციალური ინფორმაცია ამ ინციდენტის შესახებ ვერასდროს გამოჟონავს, იმიტომ, რომ „კურსკი“ ზღვის ფსკერიდან კი ამოიღეს, მაგრამ ის მონაკვეთი, სადაც აფეთქება მოხდა, კორპუსს მოაჭრეს. ამინ! – მეტალის ჯართს და 118 რუსი მეზღვაურის ხსოვნას, რომელთა სიკვდილისწინა აგონიამ მთელი მსოფლიო შეძრა – ასკვნის La Stampa.

ტარანის ვერსია: ამერიკელებმა არაერთხელ უარყვეს „კურსკის“ კატასტროფაში თავიანთი მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტ „ლოს-ანჯელესის“ ორი წყალქვეშა ნავი „მემფისი“ და „ტოლედო“ 2000 წლის 12 აგვისტოს სწორედ ბარენცის ზღვის იმ მონაკვეთში იმყოფებოდნენ, სადაც რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტის წყალქვეშა ატომური ხომალდი სასწავლო წვრთნებს აწარმოებდა. კატასტროფის შემდეგ „მემფისი“ ნორვეგიის პორტ ბურგანში შევიდა და სარემონტოდ დადგა. ამერიკის თავდაცვის სამინისტრომ რუსეთის მხარეს უფლება არ მისცა დაეთვალიერებინა ეს ხომალდი.

გამოძიების დასაწყისში შეჯახების ვერსია, სამ ვერსიას შორის, ერთ-ერთი ძირითადი იყო. მას მთლიანად ემხრობოდა ფლოტის ხელმძღვანელობა, რომელიც პუტინის ბრძანებით შემდეგ გაათავისუფლეს.

25 ოქტომბერს რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის ყოფილმა სარდალმა ვლადიმირ კუროედოვმა განაცხადა, რომ „კურსკის“ სხვა წყალქვეშა ნავთან შეჯახებაში ეჭვი არ ეპარებოდა. შეჯახების ვერსიაზე ესაუბრა ესპანურ გაზეთ „ელ მუნდოს“ კორესპონდენტს ჩრდილოეთის ფლოტის ყოფილი სარდალი ვიაჩესლავ პოპოვიც. 5 ნოემბერს რუსეთის ფლოტის მთავარი შტაბის წარმომადგენელმა ტელეკომპანია НТВ-ს ეთერში განაცხადა, რომ სამხედრო საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს არა ვერსიას, არამედ იმ პოზიციას, რომ „კურსკის“ დაღუპვის მიზეზი გახდა უცხოურ წყალქვეშა ნავთან შეჯახება. მისი სიტყვებით, ითვალისწინებს რა ბრალდების მთელ სიმძიმეს, რომელიც ამ სახელმწიფოს წარედგინება, რუსეთის მხარე ზედმიწევნით ფრთხილად აწარმოებს ღონისძიებათა კომპლექსს, დამნაშავე სუბმარინის იდენტიფიკაციისთვის“.

17 ნოემბერს გაზეთ „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ჩრდილოეთის ფლოტის შტაბის უფროსმა მიხაილ მოცაკმა კვლავ დაადასტურა, რომ „კურსკის“ დაღუპვის მიზეზი ამერიკული წყალქვეშა ნავი იყო. მისი სიტყვებით, „კურსკის“ სიახლოვეს წყალქვეშა ობიექტი კრეისერ „პიოტრ ველიკის“ ჰიდროაკუსტიკურმა საშუალებებმა დააფიქსირეს. 13 აგვისტოს საღამოს კი სამხედრო მფრინავებმა დაინახეს საწვავის ბუშტულები, რომლებიც კატასტროფის ადგილიდან 18 მილის მოშორებით ზღვის სიღრმიდან ამოდიოდა. შემდეგ კი ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავის პილოტებმა შეამჩნიეს უცნობი წყალქვეშა ნავი, რომელიც ბარენცის ზღვის ზონიდან გადიოდა.

ამრიგად, ნათლად წარმოგვიდგება 2000 წლის 12 აგვისტოს მომხდარი ტრაგედიის სურათი:

უცხოურმა წყალქვეშა ნავმა, რომელიც უთვალთვალებდა რუსულ ატომურ ხომალდს, „კურსკის“ მახლობლად გააკეთა რაღაც სახიფათო მანევრი, რის შედეგადაც ორი წყალქვეშა ნავი ერთმანეთს შეეჯახა.

დარტყმის შედეგად დაზიანდა ტორპედო ან ტორპედოს აპარატი. შესაძლებელია ნავის კორპუსის ჰერმეტიზაციაც დაირღვა – ჰაერი სწრაფად შეიკუმშა და რამდენიმე ასეულ გრადუსზე გახურდა, რასაც ტორპედოს დეტონაციის გამოწვევა შეეძლო.

მოხდა უძლიერესი აფეთქება, რომელიც არა მარტო ჩრდილოეთის ზღვაში მყოფმა გემებმა, არამედ კონტინენტზე მომუშავე სეისმოლოგებმაც დააფიქსირეს.

ფლოტის ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ აფეთქების შედეგად წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის 95 პროცენტი დაღუპული იყო. რის შესახებაც მოახსენა კიდეც ზემდგომთ. თავად კი სამაშველო ოპერაციების მომზადებას და შესაბამის ბრძანებას დაელოდა. „კურსკს“ უბედურების მაუწყებელი სიგნალი არ გადაუცია, SOS სიგნალი სხვა გემმა გაავრცელა ეთერში – რომელმაც თავიდანვე დააბნია რუსეთის ფლოტის ხელმძღვანელობა. ვიცე-ადმირალ მიხაილ მიცაკის სიტყვებით, „კურსკის“ ნაცვლად ავარიის შემდეგ საგანგაშო სიგნალით ეთერში გადიოდა ვიღაც „უცნობი კორესპონდენტი“.

კავშირის სეანსები შედგა 19.30, 20.30 და 1.30 წუთებზე, როცა განგაში უკვე გამოცხადებული იყო, სამი საათით ადრე, სანამ „პიოტრ ველიკი“ აღმოაჩენდა ჩაძირულ „კურსკს“, ფლოტის ხელმძღვანელობას ეგონა, რომ მასთან კავშირი ჰქონდა. ვინ ატყუებდა რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობას, ჯერჯერობით არავის განუცხადებია.

ახლა ისინი არ გამორიცხავენ, რომ ეს იყო უცხოთა მიერ წინასწარ განზრახუ-

ლი საეთერო ფანდი. აღსანიშნავია, რომ საგანგებო შემთხვევის დროს, ამერიკელების წყალქვეშა ნავის ინსტრუქცია მოწინააღმდეგის რადიოსიხშირის გამოყენებას ითვალისწინებს ე.ი. ამ შემთხვევაში „კურსკის“ საცნობარო სიგნალები გამოიყენა ამერიკულმა წყალქვეშა ნავმა, ამასთან ერთად, ამოისროლა საგანგაშო რადიოტივტივა, რომელიც რუსმა მეზღვაურებმა ამოიღეს, კურსკიდან რადიოტივტივა არ ამოუსროლიათ.

კატასტროფიდან რამდენიმე საათის შემდეგ, რომლის შესახებაც არავითარი შეტყობინება არ ყოფილა, ხელისუფლება მიხვდა, რომ „კურსკის“ ეკიპაჟის გადარჩენის პრაქტიკული შანსი ნულის ტოლი იყო.

პუტინი უკავშირდება კლინტონს, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო – პენტაგონს. კატასტროფის ადგილზე მყვინთავები მუშაობენ. ზემოთ კი ისევ მოხსენება, რომ მსგავსი დაზიანების შემთხვევაში ეკიპაჟის გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა. 12 და 13 აგვისტოს მიმდინარეობს ამერიკელებთან მოლაპარაკება. საბოლოოდ, ორივე მხარე თვლის, რომ შეჯახების ფაქტის გახმაურება არ შეიძლება და მხოლოდ 2 დღე-ღამის შემდეგ – 14 აგვისტოს, 11 საათზე იწყება სპექტაკლის გათამაშება – პრესსამსახური აცხადებს, რომ წყალქვეშა ნავზე მომხდარი რიგი ტექნიკური უწესრიგობის გამო იგი იძულებული გახდა, ფსკერზე დაშვებულიყო...

რუსეთისა და შეერთებული შტატების მიერ „კურსკის“ დაღუპვის ნამდვილი მიზეზების დაფარვის საიდუმლო შეთანხმების არსებობის დასამტკიცებლად სხვადასხვა ანალიტიკოსს შემდეგი ფაქტები მოჰყავთ – რუსეთისა და ამერიკის ლიდერების სასწრაფო სატელეფონო საუბარი – ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) დირექტორის ჯორჯ ტენეტის საიდუმლო ვიზიტი მოსკოვში, დაბოლოს, ბილ კლინტონის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით სისტემებზე მოულოდნელი უარის თქმა, რაც რუსეთის მიმართ დათმობად აღიქმება...

საზოგადოებისთვის ჯერჯერობით დანამდვილებით არ არის ცნობილი, „კურსკის“ დაღუპვის რომელი ვერსიაა სწორი, ოფიციალური მოსკოვის მიერ გამოცხადებული, თუ ზემოთ მოყვანილი ორი ვარიანტი. ამის გაგებას შესაძლოა ათწლეულები დასჭირდეს, ან კიდევ საერთოდაც არასოდეს გახმაურდეს 118 ადამიანისა და ვითომ ზესახელმწიფოს, მართლაც ზეარაღად მიჩნეული ატომური ნავის დაღუპვის რეალური დეტალები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან

დასაწყისი იხ. „არსენალი“ № 3,4,5,6

**შავ ზღვაში საბრძოლო მოქმედებები მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე რვა თვით ადრე დასრულდა. 1944 წლის 9 სექტემბერს ბულგარეთის პორტებში, ბურგასსა და ვარნაში გადასხმული შავი ზღვის ფლოტის საზღვაო დესანტი ომის დამამთავრებელი ოპერაცია აღმოჩნდა. დადგა მშვიდობიანი ხანა, რასაც გაპარტახებული სამხედრო-სასაზღვრო ინფრასტრუქტურის აღდგენა, გასანაღმი ოპერაციები, ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისა და საბრძოლო შემადგენლობის განახლების პროცესი მოჰყვა.**

## საბჭოთა კავშირის დაშლის წინ

### ფლოტი ომის შემდგომ პერიოდში

ომმა ფლოტს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. სახომალდო შემადგენლობას გამოაკლდა 1 კრეისერი, 3 ლიდერი, 11 საესკადრო ნაღმოსანი, 27 წყალქვეშა ნავი, 2 საკანონირო ნავი, 4 ნაღმჯადამღობი და ა.შ. დანაკარგების ნაწილობრივი კომპენსირება დამარცხებული ქვეყნების ფლოტების ხარჯზე მოხერხდა. იტალიიდან მიღებულ იქნა: სახაზო ხომალდი, კრეისერი, 5 საესკადრო ნაღმოსანი, 2 წყალქვეშა ნავი, 10 სატორპედო კატარღა და სხვ. სულ 45 ერთეული. რუმინეთიდან: 2 საესკადრო ნაღმოსანი, 2 წყალქვეშა ნავი, საკანონირო ნავები, მონიტორები... გერმანიიდან: 40-ზე მეტი მტრალავი, 20-ზე მეტი სადესანტო ბარჟა და 30-მდე სატრანსპორტო გემი.

გემთმშენებელ ქარხნებში განახლდა ომის გამო შეწყვეტილი ხომალდების მშენებლობა. ძირითადად, ეს იყო საესკადრო ნაღმოსნები, წყალქვეშა ნავები, მტრალავები და სხვა უფრო დაბალი კლასის ხომალდები და კატარღები.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ფლოტს ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა და მისი განვითარება რამდენიმე წელზე გათვლილი პროგრამების შესაბამისად მიმდინარეობდა. პროგრამით განისაზღვრებოდა ასაგები ხომალდების კლასები, რაოდენობა, შეიარაღება და სხვ. ტრადიციისამებრ, ამა თუ იმ საკითხის განხილვისას ობიექტურ მოსაზრებებს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის სურვილები და სუბიექტური შეხედულებები სჭარბობდა. ფლოტის სიძლიერეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სტალინი – 1947 წლის 19 აგვისტოს იგი სევასტოპოლში ჩავიდა, დაათვალიერა ხომალდები, გაეცნო ფლოტის საქმეებს, შეხვდა მეზღვაურებს.

50-იანი წლებიდან საბჭოთა ფლოტი კიდევ უფრო შეივსო. მას შეემატა კრეისერები: „კუიბიშევი“, „ფრუნზე“, „ძერჟინსკი“, „ორჯონიკიძე“, „ადმირალი ნახიმოვი“, „მიხაილ კუტუზოვი“, აგრეთვე, 32 საესკადრო ნაღმოსანი, 80-მდე წყალქვეშა ნავი, 20-მდე სადარაჯო ხომალდი, მტრალავები, სადესანტო ხომალდები, სატორპედო კატარღები და ა.შ. წყალზედა ხომალდების მთავარ შეიარაღებად კვლავინდებურად არტილერია რჩებოდა. კრეისერები 152 მმ-იანი, ხოლო საესკადრო ნაღმოსნები 130 მმ-იანი საარტილერიო სისტემებით აღიჭურვა. თუმცა ხომალდებზე ნელნელა ჩნდებოდა სხვადასხვა დანიშნულების მართვადი რაკეტებიც.

60-იანი წლებიდან ფლოტის მთავარი ძალა სარაკეტო ხომალდი და კატარღები გახდა. საბრძოლო ხომალდების შეიარაღებაში მთავარი ადგილი „ხომალდი-ხომალდი“, „ხომალდი-ჰაერი“ და „ხომალდი-წყალქვეშა ნავი“ კლასის რაკეტებმა დაიკავა. ფლოტს შეემატა შვეულმფრენმზიდები „მოსკვა“ და „ლენინგრადი“, სპეციალური სადესანტო ხომალდები, სხვადასხვა დანიშნულების მტრალავები...

საბჭოთა კავშირში 80-იანი წლების მეორე ნახევარში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სირთულეებმა სახომალდო შემადგენლობის განახლებაც შეაფერხა. თავი იჩინა ფლოტის მშენებლობაში არასწორი მიდგომის შედეგად დაშვებულმა შეცდომებმა. ამიტომ ბევრი ხომალდი დროზე ადრე ჩამოიწერა. მიუხედავად ამისა, 1990 წელს შავი ზღვის ფლოტი 45 დიდ, 300 საშუალო და პატარა წყალწყვის საბრძოლო ხომალდს, 28 წყალქვეშა ნავს, 151 თვითმფრინავსა და 85 სახომალდო შვეულმფრენს ითვლიდა.

ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირი კავკასიაში შესაძლო მოწინააღმდეგედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

NATO-ს წევრ თურქეთს განიხილავდა. საქართველო თურქეთს ესაზღვრება და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში საბჭოთა ფლოტის ერთადერთი სამხედრო-საზღვაო ბაზა ქალაქ ფოთში იყო განთავსებული.

კავკასიის სანაპიროსთან ოპერატიული რეჟიმის შესანარჩუნებლად ფოთში სხვადასხვა დანიშნულების ოპერატიულ-ტაქტიკური შენაერთებისგან საზღვაო რაიონის დაცვის 184-ე ბრიგადა ჩამოყალიბდა. ბრიგადის ფუნქციებში შედიოდა სანაპირო ზოლში ხომალდების ცურვისა და ბაზირების პუნქტებში დგომის უსაფრთხო პირობების შექმნა; საპატრულო სამსახურის ორგანიზება-წარმოება; ხომალდების ღია ზღვაში გასვლისა და ბაზაში დაბრუნების უზრუნველყოფა; პოლიგონებისა და ხომალდების სადგომების ნაღმებისგან დაცვა; ომის დროს მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე ზემოქმედება და სხვ...

საბჭოთა საზღვაო სტრატეგებს მთავარ საშიშროებად NATO-ს ქვეყნების წყალქვეშა ნავები მიაჩნდათ და ამიტომ 184-ე ბრიგადის მთავარ ძალას წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო 181-ე დივიზიონი წარმოადგენდა. დივიზიონში შედიოდა 50-ე პროექტის სადარაჯო ხომალდები: „ვოლკი" (დაცურავს 1954 წლიდან), „ვორონი" (1955 წ.), „კუნიცა" (1954 წ.), „პანტერა" (1954 წ.), „იაგუარი" (1954 წ.), СКР-57 (1956 წ.), СКР-77 (1958 წ.). გარემონტების შემდეგ, 1979 წლის 21 მაისიდან „იაგუარს" „კომსომოლეც გრუზიი" ეწოდა. სადარაჯო ხომალდები ფოთის ბრიგადის ყველაზე დიდი საბრძოლო ერთეულები იყო.

დივიზიონის სახომალდო შემადგენლობა დროდადრო იცვლებოდა. 1978 წელს „პანტერა" და СКР-77 კასპიის ზღვაში გადაიყვანეს. „კომსომოლეც გრუზიი" ჩამოიწერა. მისი სახელი გადაეცა წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო პატარა ხომალდს МПК-127, რომელსაც ის 1992 წლის 18 მარტამდე ატარებდა. 1989 წელს ჩამოიწერა СКР-57, ხოლო „ვორონი" კიევის ნორჩ მეზღვაურთა სკოლას გადაეცა. 1991 წელს „ვოლკი" ჯართად დაიჭრა.

სადარაჯო ხომალდების სამსახური იოლი არ ყოფილა – ხდებოდა ავარიები და უბედური შემთხვევები. 1981 წლის მარტში, პორტში შესვლისას, „კუნიცას" სახიფათო მანევრებს 2 მეზღვაურის ზღვაში გადავარდნა და დაღუპვა მოჰყვა.

181-ე დივიზიონში შედიოდა საგანგებოდ წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველი 204-ე პროექტის ხომალდები: МПК-19 (1965 წ.), МПК-68 (1964 წ.) და МПК-100 (1966 წ.). 80-იანი წლების ბოლოს 204-ე პროექტის ხომალდებს სამსახურის ვადა გაუვიდათ და დივიზიონმა თანამედროვე 1124-ე პროექტის 2 ხომალდი МПК-207 და МПК-217 მიიღო.

ბრიგადის მეორე, 182-ე დივიზიონი მტრა-



1124 პროექტის წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ხომალდი

ლავი ხომალდებით იყო დაკომპლექტებული. მასში ირიცხებოდა საბაზო მტრალავები: БТ-202 (1976 წ.), БТ-728 (1976 წ.), БТ-241 (1990 წ.). საზღვაო მტრალავები: „ივან მახლოვი" (1967 წ.) და „კაზარსკი" (1966 წ.). სარეიდო მტრალავები: РТ-42 (1982 წ.) და РТ-249.

82-ე დივიზიონი სასწავლო ხომალდებს აერთიანებდა. ფოთში შავი ზღვის ფლოტის მეათე სასწავლო ცენტრი მოქმედებდა. საბჭოთა კავშირი მოძმე ქვეყნებს, განსაკუთრებით, აფრიკასა და არაბეთს, საბრძოლო ხომალდებსა და კატარღებს უანგაროდ გადასცემდა. ტექნიკის ათვისებასა და ეკიპაჟების მომზადებას ფოთის სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფდა. დივიზიონის განკარგულებაში იყო სადარაჯო ხომალდი СКР-27 (პ. 50.), საარტილერიო კატარღა АК-382 (პ. 1400.), სატორპედო კატარღები ТКА-94 და ТКА-127 (პ. 206 рэ), სარაკეტო კატარღა Р-370 (პ. 205 М') და მცურავი ყაზარმა „სალგირი".

39-ე დივიზიონი 1176-ე პროექტის 107 ტონა წყალწყვის 9 პატარა სადესანტო კატარღას ითვლიდა.

ბრიგადის საბრძოლო ხომალდებსა და კატარღებს ემსახურებოდა 1171-ე სანაპირო ბაზა (2 სასწავლო-საწვრთნელი და 5 ზონარჩამწყობი გემი) და 58-ე უზრუნველყოფის ჯგუფი (სახანძრო კატარღები, სარეიდო ბუქსირები, სატრანსპორტო გემები, ნაგავშემგროვებელი, ენერგეტიკული გემი, სხვადასხვა ბარჟა – სულ 17 ერთეული).

კავკასიის სანაპირო ზოლში უსაფრთხო ნავიგაციის უზრუნველსაყოფად ფოთის 55-ე ჰიდროგრაფიულ რაიონს 7 დიდი და პატარა ჰიდროგრაფიული კატარღა ჰყავდა.

რადიოტექნიკური პოსტები ბათუმში, ფოთში, ოჩამჩირეში, სოხუმსა და ბიჭვინთაში „MIS"-ის ტიპის რადიოლოკაციური სადგურებით იყო აღჭურვილი. 50-იან წლებში დამზადებული სადგურები 185 კმ-ის მანძილზე მცურავი საშუალებების გაკონტროლების შესაძლებლობას იძლეოდა.

მერიის აეროდრომზე დისლოცირებულ 841-ე შვეულმფრენთა ცალკეული პოლკისთვის მთავარი მოვალეობა წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა და ზღვაზე საავარიო-სამაშველო ოპერაციების წარმოება იყო. პოლკს შეიარაღებაში □И-14 და სხვა ტიპის შვეულმფრენები ჰყავდა.

კავკასიის სანაპიროზე შავი ზღვის ფლოტის ქვედანაყოფების ჰაერიდან დაცვას საჰაერო თავდაცვის 96-ე დივიზია უზრუნველყოფდა. ფოთს იცავდა 266-ე საზენიტო-სარაკეტო ბრიგადა, რომლის დივიზიონები С-75 და С-125 კომპლექსებით იყო აღჭურვილი. საჰაერო სამიზნეების გასანადგურებლად მზად იყო ბომბორას აეროდრომზე განლაგებული 171-ე საავიაციო პოლკის Су-27 ტიპის ავიაგამანადგურებლები.

საზღვაო საზღვრების დაცვა სასაზღვრო ჯარების მეექვსე საზღვაო ბრიგადას ევალებოდა. ბრიგადის შტაბი ოჩამჩირეში მდებარეობდა, ხოლო დივიზიონები საპატრულო სამსახურს ბათუმში, ფოთში, ოჩამჩირეში, სოხუმსა და გუდაუთაში ეწეოდნენ. ბრიგადა „გრიფისა" და „ტარანტულის" ტიპის 30-მდე საპატრულო-სადარაჯო კატარღას ითვლიდა. გარდა ამისა, მაღალი დონის სახელმწიფო და პარტიული პირებისათვის ბრიგადას სამთავრობო იახტა „კავკაზი" ჰყავდა.

ზემოთ ნაჩვენები სურათი საქართველოს სანაპირო ზოლის შესაძლებლობებზე მეტნაკლებ წარმოდგენას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სანაპირო პრაქტიკულად ყოველმხრივ დაცული იყო და ტექნიკის ნაკლებობას არ უჩიოდა, ისიც შესამჩნევია, რომ შეიარაღების ცალკეული სახეობა საკმაოდ მოძველებული და შესაცვლელი იყო. საბჭოთა კავშირში 80-იანი წლების ბოლოს დაწყებული პროცესები კი მათ განახლებას გამორიცხავდა.

## ქართული გემთსაშენი საწარმოები

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის მუშაობდნენ ბათუმის გემთსაშენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფოთის გემთსაშენ-გემთშემკეთებელი ქარხნები, თუმცა პარალელურად სამოქალაქო პროდუქციასაც აწარმოებდნენ.

ბათუმის ქარხანამ 1947 წლის დამლევს 40 ტონა წყალწყვის მშრალტვირთიანი, ლითონისკორპუსიანი ბარჟების მშენებლობა დაიწყო. მათ რეიდზე მდგარი გემებიდან ტვირთის ნაპირზე გადასატანად იყენებდნენ. მათ მოჰყვა 123 მგზავრის გადასაყვანი სასეირნო თბომავლები „ქემჩუქინა“ და „მაგნოლია“. 1953-59 წლებში ასეთი 55 თბომავალი აიგო. 1958-64 წლებში აშენდა გაუმჯობესებული „არკადიას“ ტიპის 90 მგზავრისთვის განკუთვნილი 25 სასეირნო თბომავალი.

1957 წელს ბათუმელმა გემთმშენებლებმა თბილისის 1500 წლის იუბილესთვის აგეს და დედაქალაქში გამოგზავნეს 60 მგზავრის გადასაყვანი „აჭარა“ და 150 მგზავრზე გათვლილი „თბილისის 1500 წლისთავი“, რომლებიც თბილისის ზღვაში დაცურავდნენ.

1959-74 წლებში ბათუმში შენდებოდა „ვოლგას“ ტიპის წყალქვეშა ფრთებიანი კატარღები. 2 ტონა წყალწყვის „ვოლგას“ 6 მგზავრი გადაჰყავდა და 28 კვანძს ავითარებდა. კატარღები დაცურავდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ზღვაში, იგზავნებოდა საექსპორტოდაც.

70-იანი წლებიდან ქარხანა მესაზღვრეებისთვის აგებდა 1400 პროექტის, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ „გრიფის“ ტიპის საპატრულო კატარღებს.

*50-ე პროექტი: წყალწყვა 1186 ტონა, სიგრძე 91,6 მეტრი, სიგანე 10,2 მეტრი, წყალჯდომი 2,8 მეტრი, სიჩქარე 29,5 კვანძი, ეკიპაჟი 148 კაცი, მათ შორის 11 ოფიცერი, ავტონომიურობა 5 დღე.*

*შეიარაღება: 3X1 – 100 მმ-იანი ქვემეხი, 2X2 – 37 მმ-იანი ავტომატი, 1X2 – 533 მმ-იანი სატორპედო აპარატი, 16-ლულიანი 2 ბომბმსროლელი РБ -2500, 2 ბომბჩამგდები.*

„გრიფები“ სხვა ქვეყნებშიც გადიოდა.

ფოთის გემთსაშენ-გემთშემკეთებელი ქარხანა 1954 წლიდან წვრილსერიულად უშვებდა სასეირნო კატარღას „კრილია სოვეტოვ“ (КС-1)-ს. 1961 წლიდან დაიწყო 116 მგზავრზე გათვლილი წყალქვეშა ფრთებიანი „კომეტების“ წარმოება. ასზე მეტი „კომეტა“ საზღვარგარეთ გაიყიდა, ხოლო 30-მდე შავი ზღვის პორტებს ემსახურებოდა. „კომეტას“ შემდგომი განვითარება 155-ადგილიანი „კოლხიდა“ იყო. გარდა ამისა, ქარხანა აწარმოებდა 6,2 მეტრი სიგრძის თევზმჭერ ბოტებს, იახტებსა და სხვა მცურავ საშუალებებს. ქარხნის მთავარ დანიშნულებად მაინც საბრძოლო ხომალდებისა და კატარღების შეკეთება რჩებოდა.

## ქართველები საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტში

ქართველი სამხედრო მეზღვაურები სამხედრო-საზღვაო დროშას ერთგულად ემსახურებოდნენ, თუმცა მათ თავდადებას ხშირად სახელმწიფოსგან ჯეროვანი დაფასება არ მოჰყოლია. რუსები ქართველების ფარულ დისკრიმინაციას ყოველთვის ეწეოდნენ, ხოლო სტალინის გარდაცვალების შემდეგ ასეთი დამოკიდებულება აშკარად თვალში საცემი გახდა. ამის გამო ქართველებს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ძალზე იშვიათად ნიშნავდნენ.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი სამხედრო მეზღვაურებიდან ვიცე-ადმირალმა გიორგი აბაიშვილმა, კონტრადმირლებმა: სეით კაპანაძემ, ვლადიმერ ლეჟავამ, სიმონ რამიშვილმა და კონსტანტინე სუხიაშვილმა 60-იანი წლებისთვის სამსახური დაასრულეს და თადარიგში გავიდნენ. თვისებრივად და ხარისხობრივად სავსებით განსხვავებული საბჭოთა საოკეანო სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნაში უკვე სხვა პირებმა შეიტანეს წვლილი.

1942-62 წლებში შავი ზღვის ფლოტის სპეციალური ობიექტების მშენებლობას, მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზის, სევასტოპოლის აღდგენას ხელმძღვანელობდა ერთადერთი ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-პოლკოვნიკი, ინჟინერი არჩილ გელოვანი, რომელსაც საბჭოთა სამხედრო იერარქიაში მნიშვნელოვანი პოსტები ეჭირა.

პირველ და ერთადერთ რუსულ ავიამზიდ „ადმირალ კუზნეცოვზე“ მოიერიშე თვითმფრინავის Су-25-ის ათვისებას პოლკოვნიკი, შემდგომში გენერალ-მაიორი და რუსეთის გმირი თემურ აფაქიძე აწარმოებდა. სამწუხაროდ, ამ მამაცმა და ნიჭიერმა მფრინავმა თავისი შესაძლებლობების მთლიანად გამოვლინება ვერ მოასწრო. 2001 წლის 17 ივნისს ფსკოვში, რუსეთის საზღვაო ავიაციის იუბილესთან დაკავშირებულ ავიაშოუზე საავიაციო ტექნიკის დემონსტრირებისას, იგი საზღვაო გამანადგურებლის, Су-33-ის გადარჩენას შეეცადა, მაგრამ მცდელობა ტრაგიკული შედეგით დასრულდა.

ბალისტიკურრაკეტებიან ატომურ წყალქვეშა ნავს К-415 მეთაურობდა II რანგის კაპიტანი ალექსანდრე ჯავახიშვილი. მისი მეთაურობით К-415-ით უპრეცედენტო საზღვაო ლაშქრობა მოეწყო. 1972 წლის 17 იანვარს ჩრდილოეთის ფლოტის გაჯიევოს ბაზიდან გამოსული სუბმარინა წყალქვეშა მდგომარეობაში ატლანტის ოკეანის გავლით წყნარ ოკეანეში გადავიდა და 1972 წლის 31 მარტს კამჩატკაში რიბაჩის ბაზაში შევიდა. ლაშქრობის მანძილზე К-415-ს წყლის ზედაპირზე არც ერთხელ არ ამოუყვინთავს და მას არც უზრუნველყოფის გემი მიაცილებდა. ქართულმა ფაქტორმა აქაც იჩინა თავი და ჯავახიშვილი სარდლობამ მხოლოდ(!) სანადირო თოფით დაასაჩუქრა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ ათეულობით ქართველ საზღვაო ოფიცერს სხვადასხვა თანამდებობაზე მოუსწრო და ბევრი მათგანისთვის სამსახურის მომდევნო ადგილი ეროვნული სამხედრო-საზღვაო ფლოტი გახდა.



50-ე პროექტის სადარაჯო ხომალდები ფოთის რეიდზე





83 წლის წინ, მსოფლიოს ელვის სისწრაფით მოედო ცნობა, რომელმაც 1922 წლის სხვა დანარჩენი სენსაციები უმალვე დაჩრდილა. ნოემბრის ბოლოს ინგლისელმა არქეოლოგმა ჰაუარდ კარტერმა, ეგვიპტის მეფეთა ველზე 16 წლის ძიების შემდეგ, ფარაონ ტუტანხამონის აკლდამის კარი აღმოაჩინა. მოგვიანებით, აფეთქების ეფექტი იქონია ცნობამ, რომ კარტერმა თავისი კოლეგისგან განსხვავებით, მძარცველებისგან ხელუხლებელი სამარხები აღმოაჩინა, სადაც ფარაონთა ლეგენდარული ოქროს ტახტი, სარკოფაგი, მუმია და მრავალი ნივთი ინახებოდა.

# პირამიდების საუკუნოვანი საიდუმლო

## მონათმფლობელი ეპოქის უდიდესი მშენებლობები

ეგვიპტის მთავარი ღირსშესანიშნაობები, რა თქმა უნდა, პირამიდებია, რომელთაგან სამი უდიდესი — ხეოფსის, ხეფიზენისა და მიკერინისა, ნილოსის ნაპირზე, გიზის უდაბნოში მდებარეობს. მოდარაჯე სფინქსის გრანდიოზულ ქანდაკებასთან ერთად, პირამიდები ჩვენამდე მოღწეული სამყაროს შვიდი საოცრებიდან ერთადერთი გადარჩენილი ნაგებობებია. საუკუნეების სიღრმიდან დღემდე მათ მრავალი ცივილიზაცია გამოიარეს, გადაიტანეს ათასი წარღვნა და მიწისძვრა, ომები, თავდასხმები, დამპყრობელთა ძარცვა-გლეჯა, ათასი ჯურის მპარავისა და ყაჩაღის, მარტოხელა, თუ სახელმწიფოს სახელით მოქმედი ქურდის ვერაგობა.

პირამიდები ყოველთვის იზიდავდნენ სხვადასხვა განძის მოყვარულთაც — მისტიკოსებსა და მეცნიერებს, რომელთათვისაც იდუმალება, საიდუმლოებები და გამოცანები ყველა ნივთიერ სიმდიდრეზე ფასეულია ამქვეყნად.

რეალურად, პირამიდების ოთხი საიდუმლო არსებობს: როდის ააშენეს ისინი, ვინ და რით (რა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით) და მთავარი — რისთვის? პირველ ორ კითხვას მეცნიერებამ პასუხი გასცა, ორ დანარჩენზე წამოაყენა საკმაოდ დამაჯერებელი ვერსიები. ყველასთვის დამაჯერებელი გარდა მისტიკოსებისა, რომელთაც ყოველთვის მოეპოვებათ საკუთარი პასუხი ნებისმიერ კითხვაზე.

მეცნიერების აზრით, პირველი პირამიდის ბალავარი, დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინ გაიჭრა. ათენისა და ანტიკური ცივილიზაციის პირველი ნაბიჯების დროს, ხეოფსის პირამიდა ათასი წლისა იყო, რომის დაარსებისას კი — ორი ათასისა.

ჰეროდოტე, პირველი ევროპელი, რომელმაც დაგვიტოვა ცნობები სამყაროს შვიდი საოცრების შესახებ, უძველესი თქმულებებისა და მოვლენების შესახებ წერისას, ეგვიპტელ ქურუმთა ცნობებს იყენებდა. ისტორიის მამამ პირველმა აღწერა როგორ გადაჰქონდათ უზარმაზარი ლოდები არაბეთის მთების ქვის სამტეხლოებიდან ნილოსის ნაპირამდე ფარაონ ხეოფსის 100 ათას ქვეშევრდომს. ათი წელი მარტო იმ გზის მშენებლობას დასჭირდა, რომელზეც ლოდებს მიათრევდნენ. მთლიანად მშენებლობას კი — ორჯერ მეტი დრო. როგორ და რა მეთოდით აგებდნენ პირამიდებს, დღესაც საიდუმლოდ რჩება. არსებობს მრავალი ვერსია, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ძველ ინჟინერ-მშენებლებს ღირსეულად წარმოაჩენენ. ყოველ შემთხვევაში, მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ პირამიდები სწორედ ძველი ეგვიპტელების აგებულია. ნაგებობების მათემატიკური გამოთვლები და ნახაზებიც მათივე შესრულებულია. იმასაც ამტკიცებენ, რომ მშენებლობაზე ისინი იმდროინდელ „მაღალტექნოლოგიურ" ტექნიკურ საშუალებებს: ბერკეტებს, ბლოკებს, ურმებში შებმულ „ცხენის ძალას" იყენებდნენ.

## სამყაროს პირველი გენიოსი

მეფის მრჩეველი იმხოტეპი თამამად შეიძლება ვაღიაროთ დედამიწის უპირველეს გენიოსად. მასზე არავითარი წერილობითი საბუთი არ მოიპოვება. ის იყო მეცნიერი, ქურუმი. ხუროთმოძღვრების გარდა, იგი ნიჭს უმაღლეს მწვერვალებზე აჰყავდა ლიტერატურასა და მედიცინაში. იმხოტეპმა სიც-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცხლეშივე მიიღო ჯადოქრის ტიტული. რაც იმ დროისთვის ნორმად ითვლებოდა, ხოლო სიკვდილის შემდეგ მწერალთა მფარველ ღმერთად შერაცხეს. ორი ათასი წლის შემდეგ კი იმხოტეპი ორგზის ღმერთი შეიქმნა – ბერძნებმა მკურნალთა ღმერთადაც აღიარეს.

ღვთაებრივი სამართლიანობის წყალობით, პირამიდების მშენებლობაზე ჩვენთვის უფრო მეტია ცნობილი, ვიდრე მათ გვირგვინოსან დამკვეთებზე, რომლებიც სიცოცხლეშივე ღმერთებად იყვნენ შერაცხულნი. ისტორია აშორიშორებს მარადიულსა და დროებით დანალექს, მოჩვენებითს: ჯერ კიდევ რომაელმა ისტორიკოსმა პლინიუს უფროსმა უწოდა პირამიდებს „პატივმოყვარეობისა და მოჭარბებული ფუფუნების უაზრო გამოვლინება“. მანვე გასცა პასუხი კითხვას, რომელიც დღესაც ბევრს აწვალებს (რა მიზნით აშენებდნენ პირამიდებს). ფარაონებს შემდეგი ზრახვები ამოძრავებდათ: „ისინი ისწრაფვოდნენ, საკუთარი განძეულობა არ დაეტოვებინათ მემკვიდრეებისა და მტრებისთვის“, ანდა ამოძრავებდათ „კაცთმოყვარული“ გრძნობები – დაესაქმებინათ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა.

ცნობილია, რომ პირამიდების მშენებლობის დროს აღინიშნა დოკუმენტურად დადასტურებული პირველი გაფიცვები. ერთ-ერთი მსგავსი გაფიცვის შესახებ მოგვითხრობს გასული საუკუნის 40-იან წლებში აღმოჩენილი პაპირუსი. ამ დოკუმენტიდან გახდა ცნობილი, რომ მონათა გვერდით, პირამიდების მშენებლობაზე თავისუფალი მოქალაქეებიც მუშაობდნენ, რომელთაც ფარაონის მოხელეებმა, როგორც ეს დღესაც ხდება ხოლმე, კუთვნილი ხელფასი „მოუტეხეს“...

რა თანხა დაჯდებოდა პირამიდების აშენება, იმავე ჰეროდოტეს ზოგადი გამოთვლებიდან შეიძლება ვიმსჯელოთ (მის ცნობებზე უტყუარად დაყრდნობა არ შეიძლება – სხვა ცნობები კი უბრალოდ არ მოიპოვება). გაანგარიშებისას ბერძენმა ფილოსოფოსმა იმ დროისთვის მიმოქცევაში მყოფი ვერცხლის ტალანტი გამოიყენა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პირამიდების მშენებლებმა მხოლოდ თალგამზე, ხახვსა და ნიორზე, რომელთაც მონებს აჭმევდნენ, 1,6 ათასი ტალანტი დახარჯეს. შედარებისთვის: ერთ ტალანტად მაშინ ათენში 3 ათასი გოჭის ყიდვა შეიძლებოდა. ამავე ფასად შენდებოდა სამხედრო ხომალდიც.

## მძარცველები და ფარაონები

საუკუნეების განმავლობაში ქვის გიგანტების ძირში ბანაკდებოდნენ განცვიფრებული დამპყრობლები, ავანტიურისტები, მეცნიერები, მოგზაურები და მსტოვრები. ზოგი მათგანი პირამიდების შიგნით შეღწევასაც ახერხებდა. ესენი იყვნენ საშუალო დონის მძარცველები და ცივილიზებული მოროდიორები, რომლებიც უძველესი კულტურის განძეულობას შემდეგ ევროპის მუზეუმებსა და კერძო კოლექციის მფლობელებს მაღალ ფასად სთავაზობდნენ.

თუმცა განძეულზე მონადირეთა ყურადღებას, არა მარტო პირამიდები იპყრობდა, არამედ ფარაონთა სხვა განსასვენებლებიც, კერძოდ, ვრცელი მიწისქვეშა ნეკროპოლი, რომელიც ნილოსის ზემო წელში მდებარეობს და „მეფეთა ველი“ ეწოდება. თავზეხელაღებული თავგადასავლების მაძიებლები, რომლებიც ღმერთების რისხვას არ უფრთხოდნენ, ჯერ კიდევ ფარაონთა სიცოცხლეშივე ახერხებდნენ მათ სასუფეველში შეღწევას. განსასვენებლები უზარმაზარი ფართობის სივრცეს წარმოადგენდნენ, ყოველ მათგანს დაცვას ვერ დაუყენებდნენ, ამიტომ დაუპატიჟებელი სტუმრებისგან თავდასაცავად ძველი მშენებლები მრავალნაირ იდუმალ ხერხს და გამანადგურებელ ხაფანგებს მიმართავდნენ, რომლებიც მიწისქვეშა აკლდამების შესასვლელებს იცავდნენ. მაგრამ როგორც დრომ დაგვანახა, დაცვითი სისტემების საიმედოობასა და მძარცველთა მოხერხებულობას შორის შეჯიბრი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა.

ჩვენი წელთაღრიცხვის 642 წელს ეგვიპტე არაბებმა დაიპყრეს და მაშინვე დაიწყეს ფარაონთა განძეულობაზე ნადირობა. თუმცა ამ დროისთვის ზოგი პირამიდა და მიწისქვეშა აკლდამა უკვე დაცარიელებული იყო. მუმიები კი ქურუმების მიერ გამოტანილი და გადამალული, რადგან გაქურდულ და წაბილწულ განსასვენებელში მათი დატოვება გვირგვინოსანთა სულების იმქვეყნად სატანჯველად განწირვას ნიშნავდა.

არადა, არაბებსაც ერგოთ რაღაც. პირველი ხელისუფალი, რომელმაც ხეოფსის პირამიდაში შეაღწია, სახელგანთქმული ხარუნ არრაშიდის შვილი, ბაღდადის ხალიფა ალმამუნი იყო. არ არის ზუსტად ცნობილი, რა იპოვა მან პირამიდაში, თუმცა ფაქტია, რომ პირამიდებმა მისი რისხვა გამოიწვიეს... საბედნიეროდ, მათი დანგრევა ხალიფას ძალებს აღემატებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამყაროს ერთადერთი შემორჩენილი საოცრებაც აღარ იარსებებდა.

არაბების შემდეგ მოვიდნენ ინგლისელები, იტალიელები, გერმანელები, ფრანგები... მათგან ცოტამ თუ დასძლია ცდუნება – სამშობლოში გაეყოლებინა „სამახსოვრო სუვენირი“. ერთ-ერთმა ასეთმა „არქეოლოგმა“ ჯოვანი ბულცონიმ ბრიტანელი კონსულის დავალებით, მოისყიდა თურქული ადმინისტრაციის „საჭირო კაცი“, რის შემდეგაც რეგულარულად აგზავნიდა ლონდონში ფასდაუდებელ სიძველეებს, რომლებიც შემდეგ ბრიტანეთის მუზეუმის საცავებში ილექებოდა.

ეგვიპტით დაინტერესებამ უმაღლეს წერტილს მე-18 საუკუნის ბოლოს მიაღწია, ამ საქმეში დიდი ღვაწლი სამ ფრანგს მიუძღვის: ნაპოლეონს, დენონს და შამპოლიონს.

მათგან პირველს და მესამეს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდებათ. 1798 წელს გენერალმა ბონაპარტმა თავისი ლეგიონები ეგვიპტეში, თურქებთან საბრძოლველად შეიყვანა. ამასთან ერთად, სურდა, საფრანგეთის დიდი ხნის მტრის, ინგლისის გავლენის შესუსტება აღმოსავლეთში. პირამიდებთან სახელგანთქმული ბრძოლის წინ ნაპოლეონმა სიტყვით მიმართა ჯარს: „ჯარისკაცებო, 40 საუკუნე გადმოგყურებთ პირამიდების სიმაღლიდან“ (უნებურად 500 წლით შეამცირა


„ფარაონთა წყევლამ“ ბევრი შეაშინა, მაგრამ თავგადასავალთა მაძიებლების რიგები არ შეთხელებულა


150-ტონიანი სტელა „კლეოპატრა“ ინგლისელებს ალი ფაშამ იმიტომ აჩუქა, რომ ეგონა ვერაფერს მოუხერხებდნენ... ახლა ის ლონდონში ტემზის სანაპიროს ამშვენებს.

ბიბლიოთეკა





*ამ სამ ადამიანს — ნაპოლეონს, დენონსა და შამპოლიონს ერთი რამ აერთიანებთ: პირველმა მიიყვანა მეორე ეგვიპტეში, მეორემ რაც შეძლო, ყველაფერი ლუვრში გადაეზიდა, მესამემ კი ეს ყველაფერი აამეტყველა...*

მათი ასაკი), შემდეგ კი ბრძანა: „სახედრები და მეცნიერები შუაში მოაქციეთ“. მომავალი იმპერატორი გულის სიღრმეში ალექსანდრე მაკედონელს ედრებოდა, რომელსაც განსწავლული ადამიანების გარემოცვაში ყოფნა უყვარდა, ამიტომაც წამოიყვანა მან ლაშქრობაში სამოქალაქო მეცნიერები... ასე მოხვდა ეგვიპტეში დომენიკ ვივიან დენონიც, რომლის შესახებაც ცოტა რამ თუა ცნობილი, ყოფილი არისტოკრატი (რევოლუციის შემდეგ მგზნებარე რესპუბლიკელი) ხატვისა და სიძველეთა მოყვარული იყო, ბრძოლის დროს დენონი ისე გაერთო პირამიდების ცქერით, რომ ტყვიების ზუზუნსა და ზარბაზნების გრიალში სიკვდილს ძლივს გადაურჩა...

მან საფრანგეთში ფასდაუდებელი ალაფი ჩაიტანა: ასზე მეტი ნახატი, რომლებმაც ევროპელებს ძველი ეგვიპტის განძეულობები აღმოაჩენინა. ამასთან ერთად, არ იუკადრისა წამოეღო ხელოვნების რეალური ნიმუშები, რომლებმაც შემდგომ ლუვრის დარბაზები დაამშვენეს. ამ დამსახურების გამო, დენონი საფრანგეთის მუზეუმების გენერალურ დირექტორად დაინიშნა. დენონის ავტორობით გამოცემულ მრავალტომეულში, რომელსაც „ეგვიპტის აღწერილობა“ ეწოდება, წარმოდგენილია სიძველეთა მხოლოდ მშვენიერი ნახატები. რას წარმოადგენდნენ ეს ნივთები და ნაგებობები და რა იყო მათი ძირითადი დანიშნულება, იმ დროის ევროპაში არავინ იცოდა, სულ უბრალო მიზეზის გამო – არავის შეეძლო ეგვიპტური იეროგლიფების ამოკითხვა.

პირველმა ეს შეძლო ფრანსუა შამპოლიონმა 1820 წელს, რომლის შემდეგაც უძველესი კულტურა ამეტყველდა.

ყველაზე მასიური ისტორიული ნაალაფარი, რომლის გადმოტანაც მოხერხდა ევროპაში, ქვის სტელაა. მას კლეოპატრას უწოდებენ. ამ შემთხვევაში კვლავ ინგლისელებმა გამოიჩინეს თავი. მე-18 საუკუნის დასაწყისში მათ აიძულეს მაშინდელი ეგვიპტის გამგებელი მუჰამედ ალი ფაშა ბრიტანეთის სამეფო ტახტისთვის სხვა ნივთებთან ერთად 150-ტონიანი 20 მეტრის სიმაღლის ობელისკი ეჩუქებინა. ალი ფაშამ იოლად დათმო ეს უკანასკნელი, რადგან ვერ წარმოედგინა ამოდენა ქვის ცხრა ზღვას იქით გადატანა. ნახევარი საუკუნე ობელისკი თავის ადგილას ხელუხლებელი იდგა. სანამ ვინმე ოფიცერმა ჯეიმს ალექსანდერმა არ მოიფიქრა „საჩუქრის“ სამშობლოში გადატანის ხერხი. სტელა მოათავსეს საგანგებოდ გაკეთებულ წყალგაუმტარ რკინის დიდი მოცულობის საცავში და ზღვამდე ხის ბორბლებიანი პლატფორმით მიიტანეს. შემდეგ საცავს გაუკეთეს კილი, საჭე, გემბანი და მინაშენი რამდენიმე მეზღვაურისთვის, რის შემდეგაც ჩაუშვეს ზღვაში. ეს უცნაური მცურავი საშუალება გემმა „ოლგამ“ გამოიბა ბუქსირზე... ბისკაის ყურეში ამოვარდნილმა ქარიშხალმა „ოლგას“ კაპიტანი აიძულა, საბუქსირო ბაგირის გადაჭრის ბრძანება გაეცა, რომლის აღსრულებასაც რამდენიმე მეზღვაური შეეწირა. პრესამ ძვირფასი საჩუქარი დაკარგულად გამოაცხადა. მაგრამ ერთი თვის შემდეგ სხვა გემმა შემთხვევით აღმოაჩინა ტალღებზე დინჯად მოტივტივე ეს მართლაც უჩვეულო მცურავი საშუალება. დღესდღეობით ობელისკი ლონდონში, ტემზის სანაპიროს ამშვენებს. მისი ორეული კი მოგვიანებით ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში დაიდგა.



*უძველესი პირამიდის არქიტექტორი იმხოტეპი სიცოცხლეშივე დააჯილდოეს ჯადოქრის საპატიო წოდებით...*

## ფარაონთა წყევლა

მე-20 საუკუნის დასაწყისში ეგვიპტოლოგია მოდად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპელები, განსაკუთრებით ძვირფასს ან ძვირად ღირებულს ეგვიპტიდან აღარაფერს ელოდნენ, ყოველი ახალი არქეოლოგიური ექსპედიცია მაინც დიდი ყურადღების ცენტრში ექცეოდა.

ეგვიპტით ინგლისელი არისტოკრატი, ლორდი კარნარვონიც დაავადდა. სწორედ მის მფლობელობაში გადავიდა 1914 წელს მეფეთა ველზე გათხრების კონცესია, რომელიც ადრე ეგვიპტის ხელისუფლებამ ამერიკელ თეოდორ დევისს მიჰყიდა. ეგვიპტოლოგიით გატაცებამდე ახალგაზრდა ლორდი მშვენიერი იახტსმენი გახლდათ და დედამიწის ირგვლივ მოგზაურობაც ჰქონდა გამოვლილი. მონაწილეობდა ავტოშეჯიბრებებში. ის იყო მესამე ადამიანი, ვინც ბრიტანეთში მანქანის მართვის უფლება, ოფიციალურად მიიღო. ამას გარდა, იყო ანტიკვარიატის თავგადაკლული კოლექციონერი. მას შემდეგ, რაც ავტოავარიაში ფილტვები დაუზიანდა, ექიმებმა ლორდს ინგლისურ ცივ და ნესტიან ზამთარში ყოფნა აუკრძალეს და პირველსავე ზამთარს მშრალ და თაკარა ეგვიპტეში გაემგზავრა. აქ იგი შემთხვევით წააწყდა არქეოლოგიურ გათხრებს და მაშინვე მიხვდა, რომ ეს საქმე მისთვის, როგორც აზარტული სპორტსმენისა და არანაკლებ აზარტული კოლექციონერისთვის, ზედგამოჭრილი იყო.

კარნარვონმა საკუთარი არქეოლოგიური გათხრები წამოიწყო. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ამ საქმეში ნამდვილი პროფესიონალი არქეოლოგის დახმარება იყო საჭირო. ნაცნობი ისტორიკოსის რჩევით, ენერგიული და ამბიციური სპეციალისტი, ჰაუარდ კარტერი მოძებნა და ექსპედიციის ხელმძღვანელობა შესთავაზა. კარტერი დათანხმდა და რვაწლიანი წინასწარი გამოკვლევების შემდეგ შეუდგა ახალგაზრდა ფარაონის ტუტანხამონის ლეგენდარული სამარხის ძიებას, რომლის შესახებაც ეგვიპტურ ტექსტებში ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ურთიერთსაპირისპირო აზრები იყო გამოთქმული.

1917 წელს, როცა კარნავორნისა და კარტერის ექსპედიციამ წინასწარ დაგეგმილი გათხრები დაიწყო, მეფეთა ველი უკვე თავიდან ბოლომდე საფუძვლიანად იყო გადათხრილი.

ხუთი გრძელი წელიწადის განმავლობაში ავიწროებდა კარტერი საძიებო არეალს და აი, 1922 წლის 3 ნოემბერს მუშები, მიწის ფენის ქვეშ რაღაც მყარ საგანს წააწყდნენ, რომელიც გათლილ-გაპრიალებული ქვის საფეხური აღმოჩნდა – საფეხური ქვევით მიდიოდა. რამდენიმე დღის შემდეგ კარტერი აკლდამის შენიღბულ კართან აღმოჩნდა, რომელსაც ხელუხლებელი სამეფო ბეჭედი ამშვენებდა. ყოველივე იმაზე მეტყველებდა, რომ აკლდამა, დაახლოებით, ოცი დინასტიის მანძილზე, ე.ი. სამი ათას წელზე მეტ ხანს არ იყო გაღებული. კარტერმა მოთმინება შეინარჩუნა და ინგლისში მყოფ კორნარვონს დეპეშა გაუგზავნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა




მისი ჩამოსვლის მოლოდინში კი ფრთხილად, სანტიმეტრობით დაიწყო შესასვლელის გარშემო სივრცის გასუფთავება.

როცა ლორდი ქალიშვილთან ერთად 23 ნოემბერს მეფეთა ველზე მივიდა, მთელი მსოფლიო სულმოუთქმელად ელოდა აკლდამის კარის გახსნას. არქეოლოგებს ცუდი წინათგრძნობა ჰქონდათ, რადგან ხშირად მსგავსი აკლდამები ცარიელი ხვდებოდათ ხოლმე. მაგრამ ამჯერად კარტერსა და მის სპონსორს ბედმა გაუღიმა. მალე მათ აღმოაჩინეს მიწისქვეშა სათავსო, სადაც სხვა ნივთებთან ერთად ფარაონის მდიდრული ოქროს ტახტი იდგა.

კარტერი პირველი შეძვრა აკლდამაში. როგორც კი შიგნით მოხვდა, მისი სანთლის ალი წამსვე ათამაშდა ოქროს ნივთებზე. კარნარვონი კართან იდგა, იგი მოუთმენლად შეეკითხა პარტნიორს, დაინახა თუ არა რამე. ვხედავ, უპასუხა კარტერმა, აქაურობა განძითაა სავსე.

მათ მიერ ნაპოვნი განძეულობა, რა თქმა უნდა, ოქროზე მეტად ფასობდა, მაგრამ მთავარი აღმოჩენა მკვლევრებს მოგვიანებით ელოდათ. რამდენიმე თვის ჩაკირკიტებული მუშაობის შემდეგ მეცნიერებმა მეორე სათავსოში შეაღწიეს, რომლის შესასვლელიც გულმოდგინედ იყო შენიღბული. იქ მათ აღმოაჩინეს ოქროს სარკოფაგი, რომელშიც კარგად შენახული, ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი მუმია განისვენებდა, თავის ოქროს ნიღაბთან ერთად. აკლდამაში აღმოჩენილი სარიტუალო და საყოფაცხოვრებო ნივთების რაოდენობამ და მათმა მრავალსახეობამ მოულოდნელი გადატრიალება მოახდინა ეგვიპტოლოგიაში. 1924 წლის მაისში აკლდამაში აღმოჩენილი ყველა ნივთი ზემოთ ამოიტანეს, ფრთხილად შეფუთეს, 34 დიდ ყუთში ჩაალაგეს და საგანგებო, დაბალი ოთხთვალებით, გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით ჩაიტანეს კაიროში. შემდეგ ეგვიპტისა და ბრიტანეთის ხელისუფლების ჩარევით, აღმოჩენილი ნივთები გაიყო (რისთვისაც ავტორიტეტული საერთაშორისო კომისიის შექმნა გახდა საჭირო), რის შემდეგაც განძეულის ნაწილი ინგლისში წაიღეს. განძეულის ისტორია ამით არ დამთავრებულა: პირიქით, მან სამწუხარო, ბნელით მოსილი ხასიათი მიიღო. მალე უეცრად გარდაიცვალა ლორდი კარნარვონი. ექიმებმა სიკვდილის მიზეზად მოწამლვა ივარაუდეს. ამ დროისთვის ცნობილი ექსპედიციის კიდევ რამდენიმე მონაწილე გარდაიცვალა. ჟურნალისტებმა მაშინვე ფარაონთა წყევლა გაიხსენეს.

ტუტანხამონის ბეჭედზე, რომელიც შენიღბულ კარს ედო, გამოსახული იყო სტანდარტული, ქურდების დასაფრთხობი ნიშანი: „კადნიერს, რომელიც გაბედავს მიცვალებულთა მყუდროების დარღვევას, სასჯელი ელის“. როგორც ვიცით, კარტერი და კარნარვონი ვერ შეაჩერა ამ სიტყვებმა. როცა კარტერმაც სპონსორის ბედი გაიზიარა, „მისმა სიკვდილმა ფარაონთა წყევლა“ მსოფლიოში ნომერ პირველ სენსაციად აქცია.

მოგვიანებით მეცნიერებმა სიკვდილის შესახებ უფრო რეალისტური ვერსიები გამოაქვეყნეს: მოწამლვა გამოიწვია გაზმა, რომელიც დაგროვდა სამი ათასი წლის განმავლობაში გაუნიავებელ სათავსოში, რომელშიც მუმია იყო, — მაგრამ ფარაონების წყევლის დღესაც ბევრს სჯერა.

გაზეთებს თუ დავუჯერებთ, „ფარაონთა წყევლამ“ 1920 წლიდან მოყოლებული 21 ადამიანი იმსხვერპლა, რომელთა შორის აკლდამის პირველაღმომჩენ კარტერსაც ასახელებდნენ. ინგლისელი არქეოლოგი, რომელმაც მშვიდობიანად იცხოვრა 1939 წლამდე, იძულებული ხდებოდა, მისი ნეკროლოგების ავტორებისთვის ღია წერილებით მიემართა. ერთ-ერთი მათგანი ასე მთავრდებოდა: სულიერებაში ჩვენ ძველ დროსთან შედარებით არც ისე შორს წავსულვართ, ვიდრე ეს, ზოგიერთ პატიოსან ადამიანს ჰგონია.

## ბიზნესი პირამიდებით

ამჯერად საუბარი ქვის პირამიდებზე გვექნება, რომებლიც ეგვიპტისთვის სტაბილური საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. ფული მდინარესავით მოედინება. ქვეყნის ხაზინა ივსება ექსკურსიებით, რომელიც გიზასა და მეფეთა ველზე ტარდება; სუვენირების გაყიდვით; გრანდიოზული სანახაობებით, რომელსაც ვარსკვლავიანი ცის ფონზე ლაზერებით აწყობენ. არანაკლები შემოსავალი მოაქვს ჯარიმებს. სამარისმთხრელებს, ათასობით წლის მანძილზე აკლდამის შიგნით დამალული განძი აინტერესებდათ, მაგრამ არც გარეთა ქვის ლოდებია მხოლოდ დროის მდინარებით შელახული. ჩაქუჩებითა თუ სხვა მყარი ნივთებით შეიარაღებული ათასობით სუვენირის მოსურნე ცდილობს პირამიდას სამახსოვრო ნაწილი ჩამოატეხოს. აღსანიშნავია, რომ ენთუზიასტმა სუვენირის მოყვარულებმა საუკუნეების მანძილზე, ხეოფსის პირამიდის წვერის ცხრა მეტრი წაიღეს სახსოვრად. დღეისთვის პირამიდას წვერის ნაცვლად სწორკუთხა კორტოხი აქვს.

კიდევ ერთი შემოსავლის წყაროა კინო. პირამიდებს შორის დასდევდა დამნაშავეებს ერკულ პუარო. ბანდიტები კი თავის მხრივ აქვე ნადირობდნენ ჯეიმს ბონდსა და ავანტიურისტ არქეოლოგ ინდიანა ჯონსზე...

რაც შეეხება პირამიდების საიდუმლოებათა თემაზე შექმნილ ბესტსელერად ქცეული წიგნების ავტორებს, მათ ფული აწვიმთ. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გამოჩნდა თხზულებები, რომლებშიც ხეოფსის პირამიდის მასისა და განზომილებების მიხედვით გამოითვლებოდა ყველაფერი, რასაც კაცი მოისურვებდა: მანძილი მზესა და დედამიწას შორის, ტრანსცედენტური მუდმივა „π“, დედამიწის სფეროს მასა და კიდევ ათასი რამ, რომელთა შესახებ ძველ ეგვიპტელებს, რა თქმა უნდა, წარმოდგენა არ ჰქონდათ. შემდეგ ეს დაქსაქსული მოჩვენებები, ერთ მძლავრ საგამომცემლო ინდუსტრიაში, პირამიდოლოგიის სახელწოდებით გაერთიანდნენ, რომლის ძირითადი არსიც, მოკლედ რომ ვთქვათ, იმაშია, რომ ეს უზარმაზარი ნაგებობები ძველ ეგვიპტელებს საკუთარი ხელით, თავისთვის კი არ აუგიათ, არამედ პირამიდები ააშენეს ღმერთებმა: საიდუმლო ოკულტური ცოდნის მქონე, უცხო გალაქტიკიდან მოსულებმა და საერთოდ, ვინც გნებავთ, ოღონდ არავითარ შემთხვევაში — ეგვიპტელებმა.

მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ მსგავსი გამოთვლების უმრავლესობას საყრდენად ქვიშა უდევს, ანდა უფრო ხშირად კი აშკარა უმეცრება, რის გამოც პირამიდოლოგები უფრო სხვა სახელს, „პირამიდიოტებს“ უფრო იმსახურებენ. ასე რომ, გამომცემლობიდან გამომცემლობაში მოხეტიალე „ეგვიპტელთა წმინდა ციფრი 108“, უბრალო ბლეფია: ძველმა ეგვიპტელებმა ნულის ცნება არ იცოდნენ. პირამიდების განზომილებიდან „π“ მუდმივა არ გამოდის. საკმარისია, აიღოთ უბრალო კალკულატორი და ამაში თავად დარწმუნდებით; არავინ იცის დღეისთვის ხეოფსის პირამიდის ზუსტი მასა. მის სიმაღლესაც კი მეცნიერები მიახლოებით ასახელებენ. მაგრამ სკეპტიკოსთა ეს გაუთავებელი ყაყანი ვერ შეაჩერებს იმათ მძლავრ პიარს, ვინც „პირამიდების საიდუმლოს“ გაუხუნარი ლეგენდებით იკვებება. ამ ოქროს მთებთან შედარებით არარაობაა ტუტანხამონის სარკოფაგი, ტროას განძი და მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმების საგანძურები.

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 4. ძლიერი ფეთქებადი ნივთიერება; 5. მხედრის დასაჯდომი მოწყობილობა ცხენის ზურგზე; 6. გენერალ-გუბერნატორი ძველ ჩინეთში; 8. ქაღალდის ფულის გამოშვება; 11. ქვის წვრილი ნამსხვრევები, სილა; 13. მჭევრმეტყველი ადამიანი; 15. საფრენი აპარატი; 16. ამერიკული საბრძოლო ვერტმფრენი; 17. ორადგილიანი ველოსიპედი; 20. სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების დიდი შენაერთი; 23. რუსული მცირელიტრაჟიანი ავტომობილი; 25. სამურაების სამშობლო; 27. ოპტიკური მრგვალი მინა, რომელსაც იკეთებენ ცალი თვალის ფოსოში სათვალის მაგივრად; 28. რელიგიური ჯგუფი, რომელიც განდგომილია გაბატონებული ეკლესიისგან; 29. კრივის მოედანი.

**შვეულად:** 1. რაიმე მოქმედებისთვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი, ბიძგი; 2. ინგლისური მცირეგაბარიტიანი ნავსაწინააღმდეგო ტორპედო; 3. ღვინისა და დროსტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 6. ფეთქებადი ნივთიერება, რომელიც თავისი აფეთქებით იწვევს სხვა ფეთქებადი ნივთიერების უეცარ აფეთქებას; 7. ინგლისური 105 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი; 9. სუფთა მოგება ძიუდოში; 10. წრიული ან ნახევარწრიული უსახურავო ნაგებობა, რომლის მოედანზეც იმართებოდა გლადიატორების ბრძოლა; 11. კურკოვანი ხილი; 12. იტალიური სახმელეთო მართული რაკეტა; 14. ჩინელი დიქტატორი; 18. ვაგონებისა და ლოკომოტივების სადგომი; 19. მიქოიანისა და გურევიჩის მიერ კონსტრუირებული რეაქტიული თვითმფრინავი; 21. იაპონური ჭიდაობა; 22. ხომალდი, რომლითაც იაზონი კოლხეთში ოქროს საწმისის მოსატაცებლად ჩავიდა; 24. ავტომობილის მექანიკური სასიგნალო საყვირი; 26. ჯარისკაცი; 27. ფართო მოსასხამი.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 4. კასტეტი; 5. ერევანი; 6. მაიორი; 8. ინაური; 11. გეიმი; 13. ეკიპაჟი; 15. ტაისონი; 16. ზორგე; 17. ნესტარი; 20. ინდოეთი; 23. უტა; 25. იმპერია; 27. გალიონი; 28. ვისკი; 29. ნარდი. **შვეულად:** 1. შკიპერი; 2. შტურვალი; 3. თიქრითი; 6. მაკედონელი; 7. ოკაპი; 9. არესი; 10 ინდიქტიონი; 11. გრიზლი; 12. „ინტერი“; 14. ზრო; 18. როკი; 19. „როკი“; 21. ნოტა; 22. ორბი; 24. ტრისტარი; 26. ავიანო; 27. გილდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელიტური მებრძოლი

## საწყისი ვარჯიშები

**როგორც ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, ელიტური მებრძოლისთვის ფიზიკურ მომზადებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ფიზიკური მომზადება კი აუცილებლად მოთელვით უნდა დაიწყოთ. მოთელვისთვის განსაზღვრული ვარჯიშთა კომპლექსის შესრულების შემდეგ შეისვენეთ ნახევარი წუთით. ამის შემდეგ კი მიზანშეწონილია დაიწყოთ ვარჯიშები მოქნილობასა და გაწელვაზე. მოქნილობის გასაუმჯობესებელი ვარჯიშები უნდა დაიწყოს სხეულის ზედა ნაწილიდან და თანდათანობით დაუყვეთ მთელ სხეულს დაბლა.**



დაიწყეთ თავისა და კისრის ვარჯიშები:

დადექით თავისუფლად. ხელები თეძოებზე შემოიწყვეთ და ფეხები მხრების სიგანეზე დადგით. დაიწყეთ თავის ტრიალი საშუალო ტემპში, გააკეთეთ დიდი წრეები. თავს ძალიან უკან ნუ გადაწევთ, რომ კისრის მალები არ გეტკინოთ. თავის წინ მობრუნებისას შეეცადეთ, ნიკაპით მკერდის ზედა ნაწილს შეეხოთ. ექვსი ბრუნი გააკეთეთ საათის ისრის მიმართულებით, ექვსი – საპირისპირო მიმართულებით;

შემდეგ მიაბრუნეთ თავი მარცხნივ და მარჯვნივ. შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტად მიაბრუნოთ თავი ისე, რომ დაინახოთ ყველაფერი, რაც თქვენ უკან არის. ვარჯიში გაიმეორეთ თორმეტჯერ. პირველ დღეებში ვარჯიში ნელა შეასრულეთ. თქვენი კისრის კუნთები თანდათანობით უფრო მოქნილი გახდება და ვარჯიშის უფრო სწრაფად შესრულებასაც შეძლებთ.

დახარეთ თავი წინ ისე, რომ ნიკაპით მკერდის ზედა ნაწილს შეეხოთ. შემდეგ ნელ-ნელა უკან გადასწიეთ, მანამ, სანამ ჭერს ან ცას არ დაინახავთ. შემდეგ გადახარეთ თავი მარცხნივ. ვარჯიში გაიმეორეთ, მხოლოდ თავი ამჯერად მარჯვნივ გადახარეთ. ვარჯიში თორმეტჯერ შეასრულეთ. ექვსჯერ მარჯვნივ გადახრით, ექვსჯერ – მარცხნივ.

გადადით მხრების ვარჯიშებზე:

დადექით თავისუფლად. ფეხები დადგით მხრების სიგანეზე. ხელები განზე გაშალეთ, თითები მსუბუქად მომუჭეთ და დაატრიალეთ ხელები თორმეტჯერ წინ, თორმეტჯერ უკან;

იმისთვის, რომ კოორდინაცია გამოგიმუშავდეთ, ეს ვარჯიში კიდევ თორმეტჯერ გააკეთეთ, მაგრამ ხელები საპირისპირო მიმართულებით ატრიალეთ, ერთი წინ, მეორე უკან;

გააგრძელეთ ხელების ტრიალი საპირისპირო მიმართულებით, იმავდროულად სამ თვლაზე (ხელების სამი ბრუნი) დახარეთ წინ $90^0$-იანი კუთხით. გააგრძელეთ ხელების ტრიალი და ისევ სამ თვლაზე ტანი გაასწორეთ. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება ხელების სხვადასხვა მიმართულებით ტრიალთან ერთად შედარებით რთული შესასრულებელია, მაგრამ ეს ვარჯიში აუცილებლად შეასრულეთ, რადგან იგი კოორდინაციის გამომუშავებაში დაგეხმარებათ;

გაშალეთ ხელები განზე, შემდეგ ასწიეთ მაღლა ისე, რომ ხელები ერთმანეთს შეეხოს და მკვეთრი წრიული მოძრაობით დაუშვით დაბლა. შეასრულეთ თორმეტჯერ;

დადექით სწორად და ატრიალეთ ხელები ისე, რომ ისინი რაც შეიძლება ახლოს იყოს ტანთან, თორმეტჯერ წინ, თორმეტჯერ უკან.

შემდეგ ტანი ავარჯიშეთ:

დადექით თავისუფლად. ფეხები მხრების სიგანეზე დადგით. მარცხენა ხელი თეძოზე შემოიდეთ და გადაიხარეთ მარჯვნივ ისე, რომ მარჯვენა ხელის გული მუხლს შეეხოს. შეეცადეთ, მუხლები არ მოხაროთ და არც წინ გადაიხაროთ. იგივე ვარჯიში მარცხენა მხარესაც შეასრულეთ. ორივეს მხარეს თორმეტ-თორმეტჯერ;

ფეხები დადგით მხრების სიგანეზე და წინ დაიხარეთ. შეეცადეთ, ხელის გულით იატაკს შეეხოთ. შემდეგ გადაიხარეთ მარჯვნივ, მარცხნივ, უკან და ასევე შეეცადეთ, შეეხოთ იატაკს. ეს ვარჯიში ოთხი გადახრისგან შედგება – წინ, მარჯვნივ, მარცხნივ და უკან. ვარჯიში შეასრულეთ სამჯერ, ანუ სულ თორმეტი გადახრა.

დაბოლოს, ფეხების ვარჯიში.

დადექით სწორად. ფეხები გადგით რაც შეიძლება განზე. მობრუნდით მარჯვნივ და იმავდროულად მოხარეთ მარცხენა ფეხი მუხლში. მარჯვენა ფეხი არ მოხაროთ. დაიხარეთ და ხელით შეეხეთ მარჯვენა ტერფს. ამ მდგომარეობაში გაჩერდით სამი წამი და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. შემდეგ ვარჯიში მეორე ფეხით გაიმეორეთ. თითოეული ფეხით ვარჯიში ექვსჯერ შეასრულეთ;

ვარჯიში მთავრდება სირბილით, ნელ ტემპში გაირბინეთ სამი წრე, თან დაფერთხეთ ხელები.

***დაიმახსოვრეთ!** თუ ვარჯიში სიამოვნებას არ განიჭებთ, რაღაც დროის შემდეგ ალბათ მას თავს დაანებებთ. ასე რომ არ მოხდეს, ჩააბით ვარჯიშში თქვენი რომელიმე მეგობარი. ივარჯიშეთ მუსიკის თანხლებით. ეს ვარჯიშს უფრო სასიამოვნოს გახდის. ადამიანთა დიდ ნაწილს არ უყვარს ვარჯიში და საერთოდ სპორტი, ზოგს სკოლის ფიზკულტურის გაკვეთილები ახსოვს ცუდად, ზოგსაც სხვა მიზეზით. სპორტი მართლაც რთული სამუშაოა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ — ეს არის გზა თქვენი ჯანმრთელობისკენ. ამიტომ შეეცადეთ, დასძლიოთ თავს და სულ ცოტა ხანში ვარჯიში თქვენთვის სასიამოვნო საქმიანობად და მოთხოვნილებადაც კი გადაიქცევა. სპორტომანია ერთ-ერთი საუკეთესო ჩვევაა.*

# ცეცხლის დანთება ექსტრემალურ სიტუაციაში

**ქვემოთ ექსტრემალურ სიტუაციაში ელემენტარული კომფორ-ტის შექმნის რამდენიმე ხერხს შემოგთავაზებთ.**



ალბათ ყველას გაინტერესებთ, როგორ უნდა მოიპოვოთ ცეცხლი, თუ თან არა გაქვთ ტრადიციული ასანთი ან სანთებ-ლა: ასეთ შემთხვევაში ცეცხლის წყაროდ გამოიყენება მშრალი აბედი, რომელიც ქარისგან და სინესტისგან დაცულ ადგ-ილზე უნდა მოაგროვოთ. ყველაზე კარგი აბედია ფუტურო ხის გამომშრალი ნაჭრები, ქსოვილის ნაძენძი, დაქუცმაცებული მშრა-ლი ხის ქერქი, ჩიტის ბუდეები. ხავსისე-ბური მცენარეები, ხის ქერქის ქვეშ მწ-ერებისგან დახრული ხის ნაფხვენები. იმისთვის, რომ აბედი შემდგომშიც გამ-ოიყენოთ, იგი წყალგაუმტარ მასალაში შეინახეთ.

ცეცხლის დასანთებად შეგიძლიათ გამოიყენოთ ფოტოაპარატის, ჭოგრიტის ან სათვალის ლინზა. ლინზის საშუალებით მზის სხივები მიმართეთ აბედზე, რაც აბე-დის აალებას გამოიწვევს.

თუ თან გაქვთ მოგრძო ფოლადის მავთული, შემოატარეთ იგი მიწაზე დადე-ბულ ხის მსხვილ ტოტს, მავთულის ბო-ლოებზე ხის ტოტებისგან სახელურები გააკეთეთ და ე.წ. ბირდაბირის მოძრაო-ბით სწრაფად უხახუნეთ ტოტს. ხახუ-ნის შედეგად მავთული გახურდება. ტო-ტისა და მავთულის შეხების ადგილზე დაყარეთ დენთი, დადეთ ფოტოფირი ან სხვა ადვილად აალებადი მასალა...

ცეცხლს ადვილად დაანთებთ, თუ გაქვთ კაჟი ან მაგარი ქვა და ფოლადის დანა ან სხვა ნაკეთობა. კაჟი რაც შეი-ძლება ახლოს დაიჭირეთ აბედთან და ძლიერად დაარტყით დანის პირი ისე, რომ დარტყმისას წარმოქმნილი ნაპერ-წკლები აბედის შუაგულში მოხვდეს. როგორც კი აბედი გაღვივდება, ნელა შეუბერეთ და ააალეთ. შემდეგ თანდა-თანობით დაუმატეთ საწვავი (შეშა ან სხვა მასალა).

თუ ვაზნები გაქვთ, ქარისგან მოფარე-ბულ ადგილზე შეაგროვეთ ტოტები. რამ-დენიმე ვაზნიდან გადმოყარეთ დენთი და დაყარეთ გროვის ძირში. აიღეთ ორი ქვა, ერთ ქვაზე დაყარეთ ცოტაოდენი დენთი, მიიტანეთ გროვის ძირში დაყრილი დენ-თის ახლოს და მეორე ქვით სწრაფად უხახუნეთ. ხახუნის შედეგად აალდება ქვაზე დაყრილი დენთი და ალი შეშის ძირში დაყრილ დენთსაც მოედება.

# სროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან

**ელიტური მებრძოლი აუცილებლად უნდა ფლობ-დეს სროლის ტექნიკასაც, რაც მას კიდევ უფრო გაუადვილებს ექსტრემალურ სიტუაციაში სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლას. ელიტური მებრძოლები-სთვის განკუთვნილი იარაღიდან ერთ-ერთი ძირითადია ზუსტი სროლის იარაღი. ეს არის შაშხანა, რომლის შექმნის ისტორია რამდენიმე ასეულ წელს ითვლის.**



შაშხანის შექმნასთან ერთად მსროლელები ამჩნევდნენ, რომ ტანის, ხელების, ფეხების, თავის გარკვეული მდგომარეობის დროს სროლა უკეთესად გამოსდიოდათ. ამას უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ და მალე გრძელლულიანი იარ-აღიდან სროლის ძირითადი პრინციპები გამოიკვეთა, ანუ როგორ უნდა იჯდე ან იწვე, ან რით რას მიეყრდნო. ეს კლასიკური წესებია, რომლებიც ერთნაირია ყველა მსროლელ-ისთვის. პრაქტიკაში ამ წესებიდან ბევრი ძალზე ძნელი შესას-რულებელია, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არავის გაუუმჯობესებია.

მსროლელის სწორ მდგომარეობას სროლის დროს მზადყ-ოფნა ეწოდება. ყოველგვარი გადახვევა სასროლო მზადყოფნის კლასიკური პოსტულატებიდან დამწყებ მსროლელს ჩიხში შეიყვანს. შაშხანით სტატიკური მზადყოფნა (გაუნძრევლად), რაც რამდენიმე საათს გრძელდება, დამწყებთათვის ძნელი გადა-სატანია. არ არსებობს დამწყები მსროლელი, რაიმეს თავისე-ბურად გაკეთება რომ არ უნდოდეს, რათა ეს ყველაფერი მოსაბეზრებელი არ იყოს. და მაინც, მიეცით სხეულს ისეთი მდებარეობა, როგორიც ზუსტი სროლის საშუალებას მოგცემთ და არა ისეთი, როგორიც თქვენ გსურთ. წინააღმდეგ შემთხვევა-ში, ვერასოდეს მიხვდებით, რატომ ვერ ისვრით მიზანში. მართა-ლია, ყოველ თქვენგანს ინდივიდუალური ანატომიური და ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებები აქვს, მაგრამ სასროლო მზადყოფნა შეგიძლიათ მხოლოდ მაშინ შეცვალოთ, როცა სროლის მყარი ჩვევა გამოგიმუშავდებათ. ნებისმიერ შემთხ-ვევაში ეს უნდა გააკეთოთ ინსტრუქტორთან კონსულტაციითა და მისი მეთვალყურეობით.

დაიმახსოვრეთ! ოპტიკური სამიზნით მიზანში მოხვედრა უფრო ადვილია, მაგრამ სროლა — უფრო ძნელი. ამიტომ ოპტიკით სროლაზე გადადით მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვეუ-ლებრივი სამიზნით სროლის მაღალ სიმჭიდროვეს მიაღწევთ.

*ჟურნალის მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ სროლის ტექნიკის შესწავლის კონკრეტულ სავარჯიშოებს.*

**მაიორი ზურაბ ხუციშვილი**

# პარკეტზე [illegible] ყველგანმავალი






# BMW X5

X5-ის მსგავს მანქანებს ხუმრობით „პარკეტის ყველგანმავლებსაც“ უწოდებენ. ეს მეტსახელი ავტომობილის ფორმების, დანიშნულებისა და მისი პრაქტიკული გამავლობის ერთგვარი შეუთავსებლობის გამო წარმოიშვა. თუმცა მსგავსიო, ტყუილად არ გვიხსენებია, იმიტომ, რომ BMW X5-ს „საპარკეტოს“ ალალი გულით ვერ უწოდებ. ჯერ ერთი, რომ X5-ის შექმნისას ბავარიელი კონსტრუქტორები სტანდარტული ყველგანმავლის შექმნას არც აპირებდნენ და მეორეც – BMW ხომ „ბე-ემ-ვე“ არ იქნებოდა, მთებზე მოძრომიალე, მაგრამ მოუქნელი, ზანტი და დინჯი რომ იყოს. ამიტომ, თუ ხარაგაულში, ხულოში, რაჭასა და ყაზბეგში სამოძრაოდ გინდათ, მთლად X5-ის იმედზე ნუ იქნებით. სამაგიეროდ, თუ შელახული ხრეშიანი გზით აგარაკზე მიქროლება დაგჭირდათ, ანდაც მოყინული გზით საზამთრო კურორტზე სხვებზე უფრო სწრაფად მისვლა – BMW X5 ამისთვის ზედგამოჭრილია.

როდესაც X5-ის საჭესთან ზიხარ, თუ გარეთ არ გაიხედე, თავი მეხუთე სერიის BMW-ში გეგონება. არადა, ფანჯრიდან აშკარად უკეთ ჩანს არემარე და ტროტუარზე ასვლა-ჩამოსვლისასაც საშინელი ხრჭიალი გულს არ გაგიხეთქავთ.







არსენალი
BMW X5

ეროვნული ბიბლიოთეკა









სამაგიეროდ, ნებისმიერ BMW-სათვის დამახასიათებელი სიმკვირცხლე და ძრავის, რბილად რომ ვთქვათ, – აგრესიულობა X5-შიც შესანიშნავად აღიქმება. მიუხედავად იმისა, რომ მანქანა საკმაოდ დიდია და აქ თავი უნდა ეჩინა ყველგანმავლებისთვის დამახასიათებელ შენელებულ რეაქციებს (როგორც საჭეზე, ასევე აჩქარებასა და დამუხრუჭებაზე), შეიძლება ითქვას, რომ X5 არა მარტო „მყარად დგას ფეხებზე", არამედ შესანიშნავადაც იყენებს მათ. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი მუხრუჭები. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საბურავებისთვის განკუთვნილ ელეგენატურ ღრმულებში ოთხი ბოროტი სიჩქარიჭამია დისკო ცხოვრობს. ამ დისკოებით საიმედო ABS-ი მანიპულირებს და უმოკლეს მანძილზე ხდის შესაძლებელს აწყვეტილი მონსტრის შეჩერებას.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება რჩება მანქანის მაღალ სიჩქარეზე მოსახვევებში მართვისასაც. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკის კანონების თანახმად, მაღალი X5 მაღალ სიჩქარეზე მოსახვევებში ნაკლებად მყარად უნდა იდგეს ბორბლებზე, მანქანა გზაზე, როდსტერისთვის დამახასიათებელი მოჭიდებულობის დემონსტრირებას ახერხებს.

კიდევ ერთი თვალშისაცემი განსხვავება, რომელიც სხვა ყველგანმავლებსა და X5-ს შორის არსებობს, არის ტრანსმისიის სარეგულირებელი ბერკეტის არარსებობა. ამით კონსტრუქტორები მძღოლებს მიახვედრებენ, რომ 18 სანტიმეტრიანი კლირენსისა და ალუმინის სარქველიანი საკიდარის მქონე მანქანით მხოლოდ სულელი თუ შევარდება გაუვალ ტალახში. X5 სულ სხვა რამისთვის არის მოწოდებული...

როდესაც BMW-ს ნებისმიერ მოდელს ახასიათებ, ვერაფრით გაექცევი ერთ ფაქტს:




აუცილებლად უნდა შეადარო მერსედესის ანალოგიურ მოდელს, თორემ მკითხველი ათასგვარი კითხვით დაიტანჯება... ამ ორი გერმანული კომპანიის პაექრობის შესახებ ბევრი რამ არის ცნობილი. სწორედ ეს ორი მწარმოებელიც კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ჯანსაღი კონკურენცია წარმატების საწინდარია. თუმცა ამ შემთხვევაში, შედარება ნაკლებეფექტური გამოგვივა, იმიტომ, რომ მერსედესის ანალოგიური მოდელი ML სხვა მიზნებს ისახავს და მისი სტიქია სწორედაც რომ უფრო ექსტრემალური გზებია, X5 კი მხოლოდ კარგ გზაზეა ორიენტირებული. მათი შედარება დაახლოებით ისეთივე აბსურდი იქნებოდა, როგორც ბავშვობაში დასმული კითხვა, – „მოკრივე აჯობებს, თუ კარატისტი"...

კარატისტის რა მოგახსენოთ, მაგრამ X5 100 კმ/სთ-მდე 7.5 წამში ჩქარდება და მაქსიმალური 230 კმ/სთ-ის განვითარება შეუძლია. ეს მონაცემები ჩვეულებრივ, რიგით X5-ს ეკუთვნის. სატიუნინგო ფირმების მიერ დამუშავებული მანქანები კი ბევრად უფრო მაღალი მაჩვენებლებითაც გამოირჩევიან.







ეროვნული ბიბლიოთეკა

07/27

# ავტომატური „სტეჩკინი" ვისთვის „სამარიაჟო", ვისთვის საბრძოლო

**ამ ორიოდე წლის წინ თბილისში, იარაღის ერთ-ერთ მაღაზიაში „სტეჩკინის" ავტომატური პისტოლეტის დახლზე თავისუფალმა გაყიდვამ იარაღისმოყვარულთა შორის დიდი ფურორი მოახდინა.**

მიუხედავად იმისა, რომ „სტეჩკინის" გასაყიდი ფასი „იკბინებოდა" – 5000 ლარი, ყიდვის მსურველები საკმაოდ გამოჩნდნენ. არადა, მანამდე ცოტა ხნით ადრე, ეს შეუძლებელი გახლდათ, რადგან „სტეჩკინი" ავტომატური ჯერით მსროლელ პისტოლეტთა კლასს (როდესაც შეგიძლია სასხლეტზე თითის აუღებლად განახორციელო მორიგი გასროლა) განეკუთვნებოდა და მის გაყიდვას მოქალაქეზე, თუნდაც სახლში შენახვის უფლებით, საქართველოს კანონმდებლობა კრძალავდა.

ძნელი სათქმელია, რომელმა ლობმა ითამაშა გადამწყვეტი როლი, მაგრამ საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესწორება იარაღის შესახებ კანონში, რომლის ერთ-ერთი თავიდანაც „ამოვარდა" აკრძალვა მოკლელულიანი ავტომატური იარაღის გაყიდვაზე და ასეთი აკრძალვა მხოლოდ გრძელლულიან ავტომატურ იარაღზე დარჩა.

არადა, „სტეჩკინი" იმავე „მაკაროვისაგან" განსხვავებით, თუნდაც იმიტომაა საშიში ჩვეულებრივი „ობივატელის" ხელში, რომ მან სასხლეტზე თითის ერთი, ხანგრძლივი დაჭერით უბუდურება შეიძლება სწიოს თავის თავსაც და მის ახლო მყოფთაც.



„სტეჩკინის" ავტომატურ პისტოლეტს АПС-ს უკავია შუალედური ადგილი თვითდამტენ, არაავტომატურ პისტოლეტებსა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს შორის. მათ სხვანაირად საიერიშო პისტოლეტების კლასსაც აკუთვნებენ.

თუმცა, 1951 წელს, როდესაც „სტეჩკინი" საბჭოთა არმიის შეიარაღებაში მიიღეს, იგი განკუთვნილი იყო იმ ოფიცრებისა და ჯარისკაცების შესაიარაღებლად, რომლებსაც შტატით არ ეკუთვნოდათ ავტომატები ან შაშხანები – მაგალითად, ტანკების ეკიპაჟებსა და ჰაუბიცების გათვლებს.

თავდაპირველად „სტეჩკინის" კომპლექტაციაში მაღალი ხარისხის ხის ბუდეები შედიოდა, რომლებიც მოგვიანებით

ჩვენი დოსიე: სტეჩკინის ავტომატური პისტოლეტის АПС-ის მასა ვაზნების გარეშე 1,02 კგ-ია, 20 ცალ 9X18V ვაზნასთან ერთად 1,22კგ, ხოლო ბუდე-კონდახთან ერთად — 1,78კგ. პისტოლეტის სიგრძე 22,5სმ-ია, ბუდე-კონდახით კი 54სმ. ლულის სიგრძე 14სმ-ის აღწევს. გასროლისას ტყვიის საწყისი სიჩქარე 340მ/წმ-ია. „სტეჩკინის" სამიზნე 200მ-ზეც ყენდება, მაგრამ როგორც წესი, ეფექტური სროლის მანძილი 25-50მ უფროა.



„სტეჩკინი" მასზე დამაგრებული ბუდე-კონდახითა და სათადარიგო მჭიდებით

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამძლე პლასტმასისგან დამზადებულებით შეიცვალა. ავტომატური ჯერით სროლისას ბუდე პისტოლეტს კონდახად უყენდებოდა და მსროლელს იარაღი უფრო დაფიქსირებულად ეჭირა ხელში.

მოზრდილი ბუდე შეიძლება კარგი კონდახი იყო, მაგრამ მასში ჩადებულ მძიმე პისტოლეტის თრევა ყველას როდი ეხალისებოდა. მით უმეტეს, რომ ტანკის ვიწრო ლუკში ჩაძრომისას მხარზე გვერდულად გადაკიდებული ბუდე ტანკისტებს ხელს ძალიან უშლიდა. ამასთან, „ცივი ომის“ პერიოდში მთელი ყურადღება სარაკეტო და ბირთვულ შეიარაღებას ეთმობოდა და პისტოლეტი უფრო განიხილებოდა, როგორც „თავის მოკვლის“ ან ლუდის ბოთლის საცობის ახდის საუკეთესო საშუალება.

ოფიცრებს ერჩივნათ თითქმის ორკილოგრამიანი „სტეჩკინის“ ნაცვლად მისი ნახევარი წონის „მაკაროვი“ ეთრიათ. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა „სტეჩკინების“ თითქმის მთელი რაოდენობა სამხედრო ნაწილების საიარაღო ოთახების ყველა ბნელ კუთხეში მიგდებული. მაგრამ გადის 35 წელი და საბჭოთა კავშირში „პერესტროიკასთან“ ერთად კარგად შეიარაღებულ დამნაშავეთა ჯგუფები ჩნდებიან. საბჭოთა სამართალდამცავების „მაკაროვები“ უძლურია დამნაშავეთა მიერ შავ ბაზარზე ნაყიდ „კალაშნიკოვებთან“ და ამიტომაც დგება „სტეჩკინის“ მეორედ დაბადების ხანა...

დღეს რუსეთში, რამდენიმე სახეობის თანამედროვე პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები იწარმოება, მაგრამ ნახევარსაუკუნოვანი „სტეჩკინები“ მაინც რჩებიან ბევრის ოცნების საგნად.

სხვათა შორის, თუკი საბჭოთა არმიის ჩვეულებრივი დანაყოფების ოფიცრებმა თავიდან ვერ გაუგეს მულამი „სტეჩკინს“, იმავეს თქმა არ შეიძლება მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ГРУ-ს დივერსიული რაზმების მებრძოლებზე. მათ შეიარაღებაში გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა „სტეჩკინის“ სპეციალური მოდიფიკაცია – АПСБ ან სხვანაირად АО-44. ჩვეულებრივი „სტეჩკინისაგან“ განსხვავებით, მას წაგრძელებული ლულა აქვს, რომელზეც იხრახნება მაყუჩი უცეცხლო და უხმო სროლების განსახორციელებლად. დივერსიების უხმაუროდ ჩასატარებლად განკუთვნილ ამ ავტომატურ პისტოლეტს მასიური და მოუხერხებელი ბუდის ნაცვლად კონდახის სახით უყენდება გამძლე მავთულის კონსტრუქცია.

აფხაზეთის ომის დროს ყველა, საკუთარი თავის ცოტაოდენი პატივისმცემელი მეთაური ცდილობდა გვერდზე „სტეჩკინი“ ჩამოეკიდებინა – ზოგისთვის ეს „მარიაჟობის“ უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენდა, ზოგისთვის კი ეფექტურ საბრძოლო იარაღს.

„სტეჩკინიდან“ სროლა საკმაოდ განსხვავდება „მაკაროვისაგან“ გასროლისაგან, მით უმეტეს, ავტომატური ჯერით. თუკი პისტოლეტს კონდახად ბუდეც უკეთია, მაშინ იგი კარგად ფიქსირდება ხელში და მხარზეა მიბჯენილი. ასეთ დროს გასროლის უკუდარტყმა არცთუ ისე საგრძნობია. „სტეჩკინის“ ტარში სროლის ტემპის შემანელებელი მექანიზმია ჩამონტაჟებული, ესეც დადებითად მოქმედებს მიზანში ზუსტად სროლის გასაუმჯობესებლად. ზოგიერთი თავის „სტეჩკინს“ იმისათვისაც იმეტებს, რომ სასხლეტის წინ სპეციალურ ღარებს ჩარხავს, რომელზეც ლაზერის მიზანმაჩვენებელს უყენებს, რაც ასევე აუმჯობესებს ზუსტად სროლას.

დღესდღეობით საქართველოში „სტეჩკინების“ გაყიდვა მოქალაქეებზე შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად დროებით შეჩერებულია.

*ირაკლი ალადაშვილი*

*მადლობას ვუცხადებთ ცეცხლსასროლი იარაღის მაღაზია-სალონ „17/21“-ს (სანაპიროს ქ.№2) პისტოლეტის გამოცდაში გაწეული დახმარებისთვის.*

*ფოტოზე – სააგენტო „ნატალის“ მოდელი თათია ხურცილავა*


არსენალი
ИС 2291 1955
ИС 2291
АПС